

**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
ბიზანტინოლოგია საქართველოში – 5:**

**„შავი ზღვა და შავიზღვისპირეთის
ქვეყნები – კულტურათა და
ცივილიზაციათა გზაჯვარედინი
IV-XV საუკუნეებში“**

2019 წლის 11-14 ოქტომბერი
ბათუმი-ტრაპიზონი

აბსტრაქტების კრებული - Abstracts

International Scientific Conference Byzantine Studies in Georgia – 5:

**"The Black Sea and the Black Sea Region Countries – the Crossroads
of Cultures and Civilizations in the 4th-15th Centuries"**

11-14th of October 2019 - Batumi - Trabzon

ბათუმი - 2019 - Batumi

კონფერენცია ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

The conference was organized with the financial support of the
Minister of Education, Culture and Sport of Autonomous
Republic of Adjara

რედაქტორები: ნელი მახარაძე
მარინე გიორგაძე
ერეკლე ჟორდანია

Editors: Nelly Makharadze
Marine Giorgadze
Erekle Jordania

ISBN 978-9941-488-40-05

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის
საქართველოს ეროვნული კომიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. გ. წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის
განყოფილება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
ბიზანტინოლოგია საქართველოში – 5:

„შავი ზღვა და შავიზღვისპირეთის ქვეყნები – კულტურათა და
ცივილიზაციათა გზაჯვარედინი IV-XV საუკუნეებში“

აბსტრაქტების კრებული

2019 წლის 11-14 ოქტომბერი
ბათუმი-ტრაპიზონი

ბათუმი-2019

Georgian National Committee of the
International Association of Byzantine Studies

Faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University

Department of Byzantine Studies of Giorgi Tsereteli Institute of
Oriental Studies of Ilia State University

Institute of Classical Philology, Byzantine and Modern Greek Studies
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

International Scientific Conference Byzantine Studies in Georgia - 5:

**"The Black Sea and the Black Sea Region Countries – the Crossroads
of Cultures and Civilizations in the 4th-15th Centuries"**

Abstracts

11-14th of October - Batumi - Trabzon

Batumi – 2019

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

დიმიტრიოს კარაბალისი, საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე

ერეკლე ჟორდანია, საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კავშირის პრეზიდენტი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

მერაბ ხალვაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე

მარინე გიორგაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე

ნელი მახარაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე

თინა დოლიძე, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე

ვალერი ასათიანი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე

ნინო ინაიშვილი, ბსუ, ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ლალი ზაქარაძე, ბსუ, პროფესორი, ფილოსოფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

შოთა მამულაძე, ბსუ, ემერიტუსი პროფესორი

გიორგი თავამაიშვილი, ბსუ, ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ემზარ კახიძე, ბსუ, ასოცირებული პროფესორი
ნინო ძნელაძე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი
ირინე ვარშალომიძე, ბსუ, ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
რამაზ ხალვაში, ბსუ, პროფესორი, დიგიტალური ჰუმანიტარიის ცენტრის ხელმძღვანელი
ჯემალ კარალიძე, ბსუ, ასოცირებული პროფესორი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ხათუნა დიასამიძე, ბსუ, ასისტენტ-პროფესორი
თამილა დავითაძე, ბსუ, ასისტენტ-პროფესორი
ნანა მაზმიშვილი, ბსუ, ასისტენტ-პროფესორი
თეონა აბულაძე, ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
შოთა ჯიჯიეშვილი, ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
გიორგი მაჭარაშვილი, საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კავშირის მდივანი
თათია დავითაძე, ბსუ, მაგისტრანტი

The Organizing Committee of the Conference

Dimitrios Karabalis-Honorary chair - Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of the Hellenic Republic in Georgia

Erekle Jordania - President of the Georgian National Committee of Byzantine Studies, Chair of the Conference Organizing Committee

Merab Khalvashi - Rector of Batumi Shota Rustaveli State University, Co-chair of the Conference Organizing Committee

Marine Giorgadze - Dean of the Faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University, Co-chair of the Conference Organizing Committee

Nelly Makharadze – Head of Department of Byzantine Studies at G.Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University, Co-chair of the Conference Organizing Committee

Tina Dolidze – Professor, Director of the Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies, Iv.Javakhishvili Tbilisi State University, Co-chair of the Conference Organizing Committee

Valeri Asatiani - Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Co-chair of the Conference Organizing Committee

Nino Inaishvili - Chief Researcher at N. Berdzenishvili Institute of BSU

Lali Zakaradze - BSU professor, Head of the Department of Philosophy

Shota Mamuladze - BSU Emeritus Professor

Giorgi Tavamaishvili - Chief Researcher at N. Berdzenishvili Institute of BSU

Emzar Kakhidze - BSU Associate Professor

Nino Dzneladze - Researcher at Batumi Archaeological Museum

Irine Varshalomidze - Senior Researcher at N. Berdzenishvili Institute of BSU

Ramaz Khalvashi - BSU Professor, Head of the Centre of Digital Humanities

Jemal Karalidze - BSU Associate Professor, Head of the Department of History, Archeology and Ethnology

Khatuna Diasamidze - BSU Assistant Professor

Tamila Davitadze - BSU Assistant Professor

Nana Mazmishvili - BSU Assistant Professor

Teona Abuladze - BSU, Deputy-Dean of the Faculty of Humanities

Shota Jijieshvili - BSU, Deputy-Dean of the Faculty of Humanities

Giorgi Macharashvili - Secretary of the Georgian National Committee of Byzantine Studies

Tatia Davitadze - BSU MA Student

კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტი

ერეკლე ჟორდანია, საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კავშირის პრეზიდენტი

ნელი მახარაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი

თინა დოლიძე, თსუ, პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი
მარინე გიორგაძე, ბსუ, პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ევანგელოს ხრისოსი, ათენის უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი

შარლ რენუ, ემერიტუსი, საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი (CNRS)

ჟაკლინ ხრისტიანი, პროფესორი, პარიზის X უნივერსიტეტი (ნანტერი), საფრანგეთი

სტეფან შუმეიკერი, პროფესორი, ორეგონის უნივერსიტეტი, აშშ
ბოჟანა პავლოვიჩი, სერბეთის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის ბიზანტინოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

გიორგი ალიბეგაშვილი, თსუ, პროფესორი, ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე

ვალერი ასათიანი, თსუ პროფესორი

ლევან გიგინეიშვილი, თსუ პროფესორი

მამია ფაღავა, ბსუ, პროფესორი, ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი

მაია ბარამიძე, ბსუ, პროფესორი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ნინო ინაიშვილი, ბსუ, ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ნანა ხახუტაიშვილი, ბსუ, პროფესორი

Scientific Board of the Conference

Erekle Jordania - President of the Georgian National Committee of Byzantine Studies

Nelly Makharadze - Head of Department of Byzantine Studies at Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University

Tina Dolidze – Professor, Director of the Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Marine Giorgadze - BSU Professor, Dean of the Faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University

Evangelos Chrysos - University of Athens, Professor Emeritus

Charles Renoux - Professor Emeritus, CNRS, France

Jacqueline Christien - Professor, Paris-X, Nanterre, France

Stephen Shoemaker - Professor, University of Oregon, USA

Bojana Pavlović - Researcher at the Institute for Byzantine Studies of the Serbian Academy of Sciences and Arts

Giorgi Alibegashvili - TSU Professor, Chief of the Department of State Language

Valeri Asatiani - TSU Professor

Levan Gigineishvili - TSU Professor

Mamia Pagava - BSU, Head of the Centre of Kartvelology

Maia Baramidze - BSU Professor, Head of the Department of Georgian Philology

Nino Inaishvili - BSU, Chief Researcher at N. Berdzenishvili Institute

Nana khakhutaishvili - BSU Professor

გიორგი ალიბეგაშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ეპიფანე კვიპრელის „თვალთაძს“ სახისმეტყველებითი ისტეტიკა

ეპიფანე კვიპრელის „თვალთაძს“ სახეობრივი და სიმბოლური განმარტებები ბიბლიურ ტექსტთა ალეგორიულ, სახისმეტყველებით გააზრებასთან არის დაკავშირებული, რომელსაც ქრისტიანობამდე გაცილებით ადრე, იუდეველთა თალმუდურ ლიტერატურაში ჩაეყარა საფუძველი. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ეს ტრადიცია „ჰერმენევტიკური თვითნებობის“ თითქმის დაუშვებელ საზღვრებამდე დაიყვანა ფილონ ალექსანდრიელმა, თუმცა ადრექრისტიანმა მოაზროვნეებმა შემდგომ ის კვლავ ზომიერი ეგზეგეტიკის ფარგლებში მოაქციეს. სახისა და სიმბოლოს თეორიის მრავალი ასპექტი, მონიშნული ფილონისა და ადრექრისტიანი მოღვაწეების მიერ, აქტიურად განავითარეს ბიზანტიის ეკლესიის მამებმა, განსაკუთრებით კი ალექსანდრიულ-კაბადოკიური სკოლის წარმომადგენლებმა პატრისტიკის „ოქროს საუკუნეში“ (IV-V სს.).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქრისტიანული ეგზეგეტიკის ისტორიაში გამოიყოფა სამი პერიოდი: დასაწყისი, პირველი სამი საუკუნის განმავლობაში; კლასიკური, IV-V საუკუნეებისა და ბიზანტიური, რომელიც VI საუკუნიდან იწყება და თითქმის კონსტანტინოპოლის დაცემამდე გრძელდება.

ეპიფანე კვიპრელი ე. წ. რეალისტურ-ტრადიციული საღვთისმეტყველო მოძღვრების ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა იყო IV საუკუნის აღმოსავლეთში, თუმცა მისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო წმიდა წერილის ცალკეულ ტექსტთა სახისმეტყველებითი ინტერპრეტაციის მეთოდი.

პირველმდევდელმთავარ აარონის შესამოსელის შემამკობელი თორმეტი პატიოსანი ქვის ისტორიული და სიმბოლურ-ალეგორიული განმარტებები „თვალთაძში“ ოთხი კუთხითაა წარმოდგენილი: რეალურით – რაშიც იგულისხმება მინერალთა სახელდებანი და ცნობები მათი გეოგრაფიული გავრცელებისა და მოპოვების შესახებ; მისტიკურით – თუ რა იდუმალ ძალას ფლობენ ეს ძვირფასი თვლები; სახისმეტყველებით – როგორცაა ისრაელის თორმეტი შტოს სახელების შესაბამის ქვებზე დაწერილობის მნიშვნელობა, და ლიტურგიკულით – რა მიმართებით გამოიხატებოდა ღვთისმსახურებისას კავშირი უზენაესსა და რჩეულ ერს შორის.

Giorgi Alibegashvili

Saint Andrew the First-Called

Georgian University of the Patriarchate of Georgia

AESTHETICS OF SYMBOLIC-ALLEGORIC INTERPRETATION OF "TVALTAI" BY EPIPHANIUS OF CYPRUS

Allegoric and symbolic interpretations of "Tvaltai" by Epiphanius of Cyprus are related to the figurative understanding of Biblical texts, which was laid down in the Talmudic literature of the Jews long before Christianity. The scientific literature indicates that Philo of Alexandria brought this tradition to the almost unacceptable boundaries of "hermeneutical arbitrariness", although early scholars later again converted it into moderate exegetics. Many aspects of the theory of tropology, selected by Philo and early Christian scholars, were actively developed by the Byzantine church fathers, especially by the representatives of the Alexandrian-Cappadocian school in "the Golden Age" of Patristics (IV-V centuries).

Based on all the above, the history of Christian exegetics is divided into three periods: the initial – for the first three centuries; Classical – for the IV-V centuries and Byzantine, which begins from the 6th century and continues until the fall of Constantinople.

Epiphanius of Cyprus was one of the prominent figures of the so-called realistic and traditional theological doctrines in the east of the IV century, but the figurative interpretation method for some texts of the Holy Scriptures was also important to him.

Historical and symbolic-allegorical explanations of twelve gemstones decorating the breastplate of Aaron, the first High Priest are represented in "Tvaltai" in four ways: in the sense of reality – the mineral names and information of their geographical distribution and extraction; in the sense of mystery – what a mysterious power these gems possess; in the symbolic-allegoric meaning such as the meaning of writing the names of Twelve Tribes of Israel on the relevant stones; and in the liturgical meaning – how was the connection between the Most High and the Chosen People expressed.

ვალერი ასათიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაქსიმე აღმსარებელი და საქართველო

უკანასკნელი წლების კვლევა-ძიების შედეგად ნათელი მოეფინა წმ. მაქსიმე აღმსარებლის საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხებს.

1. მე-7 ს-ის ბერძნულ წყაროებში, რომლებიც მოგვითხრობენ წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ბოლო პერიოდზე (ანასტასი აპოკრიფის წერილი თეოდოსი ღანღრელისადმი და თეოდორე სპუდეოსის „Hypomnesticon“-მოსახსენებელი)

პირდაპირ ნათქვამია მისი გადასახლების შესახებ ლაზიკაში (დასავლეთ საქართველო) – ციხესიმაგრე სხიმარისში (Σχιμαρι), სადაც იგი აღესრულა.

2. საუკუნეების მანძილზე საქართველოში არსებობს ადგილობრივი გადმოცემები წმ. მაქსიმე აღმსარებლის საფლავის არსებობის შესახებ ცაგერის მახლობლად მურის ციხის ძირში მდებარე მისი სახელობის მონასტერში, რაც შემონახულია დღემდე. ეს წერილობით დასტურდება მე-12 საუკუნის ქართულ დოკუმენტში, რომელიც აღმოაჩინა კ. კეკელიძემ, აგრეთვე ფოლკლორული მასალით.

3. 1914 წელს წმ. მაქსიმეს მონასტერში ჩატარდა არქეოლოგიური კვლევა. წმ. მაქსიმეს წმიდა ნაწილები მაშინ ვერ აღმოაჩინეს. 2010-2011 წლებში წმ. მაქსიმეს მონასტერში მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია. ეკლესიის წმიდა ტრაპეზის ქვემოთ აღმოჩნდა ადამიანის ნეშტები.

4. თანამედროვე სამეცნიერო კვლევებმა (არქეოლოგი რევაზ ხვისტანი და ანთროპოლოგ-პალეოპათოლოგი ვლადიმერ ასლანიშვილი), რომლებიც ჩატარდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად, დაადასტურეს ზემოხსენებული გადმოცემა: აღმოჩენილი წმიდა ნაწილები ნამდვილად ეკუთვნის წმ. მაქსიმე აღმსარებელს. არც გადმოცემებისა და არც მეცნიერული კვლევების უარმყოფელი სერიოზული არგუმენტები არ არსებობს.

5. აღმოჩენის მნიშვნელობას მეტად თვალსაჩინოს ხდის ისიც, რომ დღემდე არ არის ცნობილი წმ. მაქსიმეს არავითარი სხვა წმიდა ნაწილი, გარდა მისი მარჯვენა ხელის ნაწილისა, რომელიც ინახება წმ. პავლეს მონასტერში ათონის მთაზე. დადგინდა, რომ წმ. მაქსიმეს სახელობის ერთადერთი ძველი ტაძარი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში არის ცაგერთან მდებარე მონასტერში არსებული ტაძარი. მისი არსებობა

ქართულ წყაროში ფიქსირდება, როგორც მინიმუმ მე-12 საუკუნიდან. დიდია იმის ალბათობაც, რომ წმ. მაქსიმეს წმიდა ნაწილებთან აღმოჩენილი ორი სხვა პირის ნაწილები, შესაძლოა, ეკუთვნოდეს წმ. ანასტასი აპოკრისიარს და მის მოწაფე წმ. ანასტასი ბერს. ეს საკითხი შემდეგ კვლევას მოითხოვს.

Valeri Asatiani
Tbilisi State University

ST. MAXIMUS THE CONFESSOR AND GEORGIA

The study and investigation carried out in recent years revealed the issues of life and public work of St. Maximus the Confessor in Georgia.

1. In Greek primary sources of the 7th Century that record the last days of life of St Maximus(the letter of Anastasius the Apocrisarius to Theodosius of Gangra and HYPOMNOSTICON of Theodoros Spudacus)Lazica(Western Georgia)is mentioned as the place of his exile in the fortress Schemaris, where he died.

2. For many centuries there has been in Georgia a local tradition about the burial of St. Maximus the Confessor near Tsageri, by the fortress Muri in the monastery dedicated to him. This national tradition was preserved intact, and is preserved intact, among the local population. It is confirmed in writing in the Georgian document dated to the 12th century, which was discovered by academician Korneli Kekelidze as well as in folklore material.

3. In 1914, after the preparatory investigations by several outstanding scholars in the monastery of St. Maximus the Confessor, an archeological expedition was conducted which resulted in the exami-

nation of the territory around the church. Even though the relics of St. Maximus were not found at that time, the members of the expedition pointed out the necessity for further excavations. In 2010-2011 another scholarly expedition was conducted in the monastery of St. Maximus the Confessor. The remains of human bodies were found in the place indicated by a long tradition, under the sanctuary of the holy church.

4. Contemporary scholarly studies (by the archaeologist Revaz Khvistani and anthropologist-paleologist Vladimer Aslanishvili), based on the results of the excavations confirmed this national tradition mentioned earlier; discovered remains (holy relics) genuinely belong to St. Maximus the Confessor. It should be underlined that no substantial contrary arguments objecting to the tradition as well as to results of the mentioned scholarly studies exist.

5. The significance of the discovery is especially evident, giving information that up to the present there has been no trace of any relics of St. Maximus the Confessor anywhere else except the part of his right hand preserved on Mount Athos. As far as we assume, there does not exist any other church in the world dedicated to St. Maximus the Confessor, but only the ancient church of the monastery in Tsageri, Georgia. Its existence is recorded in a Georgian source of the 12th century. It is very likely that the other two relics found together with the remains of St. Maximus the Confessor belong to his companions, St. Anastasius the Apokrisiarius and his disciple Anastasius the monk. This issue needs to be investigated.

თეონა აბულაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ეროვნული იდენტობა

საქართველოში მიგრირებულ ბერძენთა ცხოვრებაში განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა დიდი გავლენა მოახდინა ბერძენთა არა მარტო ყოფაზე, არამედ მეტყველებასა და მსოფლმხედველობაზე, რამაც საფრთხე შეუქმნა ბერძენთა ეროვნულ იდენტობას. მოხსენების ფარგლებში განვიხილავთ საქართველოში, კერძოდ, აჭარის შავიზღვისპირეთსა და წალკის რეგიონში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველების სოციოლინგვისტურ მახასიათებლებს, რაც ბერძენთა იდენტობის მანიშნებელია. საკვლევად ვიყენებთ ემპირიულ მასალას, რაც ცხადყოფს, რომ აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძენთა ეროვნული იდენტობის მთავარი დასტური ენაა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობს, რასაც ვერ ვიტყვით წალკის რეგიონის ბერძენებზე, სადაც ენა გაქრობის ზღვარზეა.

Teona Abuladze

Batumi State University

THE NATIONAL IDENTITY OF THE PONTIC GREEKS LIVING IN GEORGIA

Development of the historical events in the life of the Greeks who migrated to Georgia not only had a huge impact on the Greeks' life, but also created a threat to their world perception, speech as well as national identity.

The research presents the analysis of the social-linguistic aspects of the speech of the Pontic Greeks in the Black Sea coastal zone and the region of Tsalka as we consider the language as the indicator of the Greeks' identity. The empirical material we use for our research

reveals that the main proof of the national identity of the Greeks living in the Black Sea coastal region is their language which continues existence what can not be stated about the Greeks in Tsalka where the language is under threat of death.

მაია ბარამიძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პარალელური ენობრივი ფორმები თეოფანე კესარიის კაპადუკიელის „თჳსულის“ ეფთვიმე ათონელისაჲლუ თარგმანში

„თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა თეოფანე მთავარეპისკოპოსისაჲ, კესარია კაპადუკიელისაჲ“ ბერძნულიდან უთარგმნია ეფთვიმე ათონელს. თხზულება ორი ხელნაწერთაა მოღწეული.

ერთი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A-1101 ნუსხაში, რომელიც გადაწერილია საბერძნეთში 1047 წელს, მთაწმინდის ღვთისმშობლის მონასტერში, არსენი გოგოფაის მიერ; მეორე კი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის XIX საუკუნის ასკეტიკურ კრებულში – №234.

თეოფანეს თხზულება მოიცავს A-1101 ხელნაწერის 170r-196r გვერდებს. „თქუმული“ წარმოადგენს მორწმუნეთა დასამოდვრ სიტყვებს, ქადაგებებს; სულ ხუთი ასეთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქადაგებაა. ესენია: 1. „თქუმული სულისა მიმართ თვისა“; 2. „თავისა თვისა მიმართ“; 3. „ლოცვაჲ სინანულისათჳს“; 4. „შიშისათჳს ღმრთისა“ და 5. „სწავლაჲ მცნებათა ღმრთისათა დაცვისათჳს“.

„თქუმულის“ ენა ძირითადად ძველი, კლასიკური ქართულია, თუმცა გვხვდება ამ ნორმათაგან გადახვევის შემთხვევებიც, ამიტომ ძეგლში ბევრია პარალელური ფორმა.

პარალელური ფორმები დასტურდება როგორც ორთოგრაფიაში (საქმეთა ჩემთა ბოროტთა ხედავს მზღ და მთოვარეცა და სიმრავლე ვარსკულავთაჲ 174r; რომელმან ტაძარი ღმრთისაჲ განჯრწნა, განხრწნას იგი ღმერთმან 171r...), ასევე ფონეტიკასა (...რომელნი განრდომილ იყვნენ 188v. შდრ.: წინაშე ფერკთა მისთა შევრდომილ ვიყავ 185r; ...რომლისა მიერ ყოველი ბუნებაჲ ცხონდების 186r. შდრ.: რომლისა მიერ მეძავი ცხონდა 185v) და მორფოლოგიაში (შევიდეთ სამოთხესა საშუებლისასა 194v; მიერიოთგან ვიქმენ დასაშჯელ და საშუებლისაგან სამოთხისა განძებულ 178v; ხოლო მე შეგინებულებითა მით ცოდვისაჲთა პირი ჩემი სირცხლეულ ვყავ 186v; მოვიკსენო ... საქმეთა ჩემთა შეგინებულობაჲ 177v...).

ზოგ შემთხვევაში უკვე დამკვიდრებული ჩანს ახალი ქართულისებური ნორმა: „დაჰზადა“ ზმნის კონვერსიული ვნებითი ი- პრეფიქსით არის ნაწარმოები: არა-არსისაგან დავიბადე 178v; კავშირებითი მწკრივის ფორმას ერთვის -მცა ნაწილაკი, რაც ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით არაა მოსალოდნელი: მემცა გემსგავსლ შენ, გიხილო და წარმოვადგინნე წინაშე პირსა შენსა ცოდვანი შენნი 171v.

თხზულება მრავალფეროვან მასალას იძლევა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის გასათვალისწინებლად.

Maia Baramidze

Batumi State University

PARALLEL LANGUAGE FORMS IN THEOPHANE KESARIA KAPADUKIELI'S "SPEECH" TRANSLATED BY EPTVIME ATONELI

"Speech" by Holy Father Teopane Archbishop, Kesaria Kapadukieli, was translated from Greek by Eptvime Atoneli. This composition has reached the present time in form of the two manuscripts.

One of the manuscripts is preserved on the list A-1101 in the National Centre of Manuscripts of Georgia, which was rewritten in Greece in 1047 in Mtatsminda Holy Mother Virgin Monastery by Arsen Gogopai. The second is kept in the 19th century ascetic collection– №234 at Kutaisi State Historical Museum.

Teopane's composition comprises 170r-196r pages of A-1101 manuscript. "Speech" is made up of the teaching words, preaching to religious people. There are on the whole five separate sermons: 1. "Said for your own soul"; 2. "Said for yourself"; 3. "A prayer for repentance"; 4. "A prayer for the fear of God"; 5. "How to keep the Commandments of God".

The language of "Speech" is basically old classical Georgian, though there are some cases of violation of the norm. Therefore, a great number of parallel forms are found.

The parallel forms are verified in orthography (*saqmet^ha čem^ha borott^ha hedavs mzej da mt^hovareca da simravle varsk'ulav^haj 174r; romelman tajari ġmrt^hisaj ganqrc'na, gan^hrc'nas igi ġmert^hman 171r...*), as well as phonetics (*...romelni ganrdomil iq'vnen 188v. comp.: c'inaše p^herqt^ha mist^ha ševrdomil viq'av 185r; ... romlisa mier q'oveli bunebaj c'hondebis 186r. comp.: romlisa mier meġavi c'hovnda 186v*) and morphology (*ševidet^h samot^hhesa sašueblisasa 194v; mie-rit^hgan vik^hmen dasašjel da sašuebelisagan samot^hhisa ganġebul 178v; ħolo me šeginebulebit^ha mit^h c'odvisat^hajt^ha p'iri čemi sirc'hyleul vq'av oġ 186v; moviqseno... sak^hmet^ha čem^ha šeginebulobaj 177v...*).

The new Georgian norm seems to be fixed in some cases: **ღაბადა** (**dahbada'**) the passive converted verb form is formed by o-(i-) prefix: *ara-arsisagan davibade 178v*;

The particle **-მცა** (**mca**)- is added to the subjunctive series form that is not expected by the old Georgian norms: *memca gemsgavso šen, giħilo da c'armovadginne c'inaše p'irsa šensa codvani šenni 171v*.

The composition reveals varied material so as to take into account the history of the old literary Georgian language.

ირაკლი ბარამიძე
ხათუნა დიასამიძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონსტანტინოპოლის დაცემა და მისი გეოკოლიტიკური შედეგები

აღმოსავლეთ რომის იმპერიის განადგურებას დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები მოჰყვა როგორც საერთაშორისო, ისე ცალკეული სახელმწიფოების დონეზე. სხვა დიდი თუ პატარა სახელმწიფოების მსგავსად, კონსტანტინოპოლის – უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სავაჭრო და საგანმანათლებლო ცენტრის გადასვლა ოსმალების ხელში უარყოფითად აისახა ქართულ სახელმწიფოებრიობაზეც. ოტომანთა იმპერიის აღზევება სერიოზულ დაბრკოლებად გადაიქცა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ ტრადიციულ ურთიერთობებში.

ნეგატიური შედეგების მიუხედავად, სწორედ აღნიშნულმა ცვლილებებმა დააჩქარა ევროპისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ალტერნატიული გზების ძიება ამჯერად დასავლეთის მიმართულებით. ბევრი ბერძენი მეცნიერი კონსტანტინოპოლიდან რომში გაიქცა და იქ გააგრძელა თავისი მოღვაწეობა. საქართველოსგან განსხვავებით, დაჩქარდა ესპანეთის და მოსკოვის რუსეთის სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკური გაერთიანების პროცესი, გაჩნდა „მესამე რომი“...

აღნიშნულ სტატიაში განხილულია სწორედ ის ცვლილებები და გამოწვევები, რომელთა წინაშე ევროპა 1453 წლის ისტორიული მოვლენის შემდეგ აღმოჩნდა.

Irakli Baramidze
Khatuna Diasamidze
Batumi State University

FALL OF CONSTANTINOPLE AND ITS GEOPOLITICAL CONSEQUENCES

The fall of the Eastern Rome Empire caused great political, economic and cultural changes as in international relations, in a single country as well. Like other big or small kingdoms, transition of Constantinople – the significant political, trade and educational center to the Ottomans had a negative influence on the Georgian statehood. The rise of the Ottoman Empire became a serious obstacle in the traditional relations between the East and the West.

Despite the negative consequences, those changes hastened the process of discovering the alternative western route connecting the East and the West. Many Greek scholars fled to Rome and continued their activities there. Unlike Georgia, the process of internal unification of Spanish territories on one hand and Moscow Russia, on the other hand, was accelerated, "the Third Rome" arose...

The article discusses those changes and the challenges Europe faced after the historical event of 1453.

ოლგა ბარაშკო

ეკონომიკის უმაღლესი სკოლა, მოსკოვი

Olga Barashko

Higher School of Economics (HSE), Moscow

CHURCH CONSTRUCTION OF TBELI ERISTAVS IN THE FIRST HALF OF THE 10TH CENTURY

The name of Tbeli family appears in Kartlis Tshovreba with a description of civil strife between Abkhazian king George II and his son Konstanti, where they participate on the side of the latter. The members of Tbeli house are also referred to as donators in building and memorial stone inscriptions in three churches located in the middle stream of the Didi Liakhvi and Ksani rivers in the historical province of Georgia Shida Kartli – St. George in Eredvi, Tskra-Kara in Dodoti and in a small, but richly decorated one-nave church in Tbeti, ancestral village of Tbeli. Another two churches in this area can be associated with ecclesiastical buildings mentioned above by stylistic and constructive elements – a church Beris-Sakdari in Eredvi and Saba-Tsminda in Heiti. All of the mentioned monuments can be put into a group of monuments that grew from the development of regional architecture but adopted more features from different regions. The solution of space – one-nave churches with a bypass (except for Kheiti) where the main two-arch entrance from the south side is divided by a large column with a carved capital, the relief decoration with its specific set of geometric patterns links us to the Abkhazian kingdom and the Tao-Klardjeti principality. These monuments are markedly different from the group of churches built in Ksani gorge during IX c. by eristavs from the Kanchaeli family (such as the churches in Armazi, Tsirkoli, and Bieti).

Thus, the construction of these churches can be a concern as an active building policy of a new powerful Tbeli family, who were governors that came with new rulers, apparently, Abkhaz kings that

took these territories by the beginning of the 10th c. and demand further research as a single group.

დალი ბახტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლოცვის ლინგვისტური კვლევის ლოგიკურ-ფილოსოფიური მეთაინიშები

ფუნდამენტურ ლინგვისტურ კვლევებთან ერთად ყურადსაღებია ფორმალური ლოგიკისა და ფილოსოფიის მიერ აზრსა და მნიშვნელობას შორის ჩამოყალიბებული სხვაობა, ანუ სხვაობა ლოგიკურ და რეფერენციულ სემანტიკებს შორის. ლოგიკურ-სემანტიკური კვლევები ენის სისტემას ისეთ კანონზომიერებებს კარნახობენ, რომლებიც ლინგვისტიკის მიღმა, ლოგიკასა და ფილოსოფიაში არსებობენ, მაგრამ შეუძლიათ ახსნან ბუნებრივი ენის ფუნქციონირების მექანიზმები, მისცენ აზრობრივი წვდომის ორიენტირები, ენობრივ შესაძლებლობათა პროექციები, გააფართოონ დიაპაზონი.

ლოცვის ენობრივი ქმედება იმაგინაციური აქტია, კოგნიციაა, მლოცველის შინაგანი ხედვით დანახული არა ობიექტურობაა, არამედ ღმერთთან უშუალო საუბარში თავყვანისცემის, ქების, მადლიერების... სათქმელია. მას ახასიათებს არამხატვრული, ხატისმიერი, სახიერი, მარტივი სახება (Nichtkunst - bildhaft) და არა ხატოვან-მეტაფორული გამოხატვა (Dichtkunst - bildlich). ლოცვის ენა თავისი არსით რთულია, მასში ოთხი ძირითადი ასპექტი იკვეთება, იგი ენობრივ გარდასახვათა უბადლო შემსრულებელია.

რელიგიური იმაგინაცია და ლიტერატურული იმაგოლოგია თავიანთი კომუნიკაციური დანიშნულებით ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ლოცვაში არ არსებობს კ. ბიულერის ცნობილი ტრიადა: მოსაუბრე – ინფორმაცია – მსმენელი. ლოცვისათვის

არსებითი სემანტიკური სფერო იყოფა კონცეპტუალურ, რეფერენციულ და აზრობრივ ნაწილებად. კომუნიკაცია კი მიმდინარეობს რეალურ და ვირტუალურ სუბიექტებს შორის განსაკუთრებული ინტენციით. ნორმატიულ მასალასთან ერთად ფილოსოფიისა და ლოგიკის პრინციპებიდან უპირველესად სახელდება მოდალურობა – მიმართება სინამდვილესთან. იგი ორგვარია: ა) საკომუნიკაციო მოდუსი – ბუნებრივ ენაში არსებული ზმნის კილოები და მოდალური სიტყვები; ბ) მოდალური ლოგიკის ენის – სემანტიკის კანონები, რომლებიც გვეხმარებიან აიხსნას ლინგვისტიკისათვის ნაკლებად წვდომადი ლოცვის სამყარო. ეს შესაძლებელ სამყაროთა ენობრივი მოდალობაა, ლოგიკაში არსებული მოდალობის სამგვარი სახეობითა და ზმნის კილოთა რეალურ და არარეალურ სინამდვილესთან მიმართებით. აქ არ არის საუბარი ზმნის კილოთა ფუნქციებზე ლინგვისტური გაგებით. აქ, მაგალითად, თხრობითი კილოს ობიექტური მოდალობის დიაპაზონში შემოდის „შესაძლებლობა“, „აღბათობა“, „მოსალოდნელობა“, „განუსაზღვრელობა“ და სხვ. კავშირებით კილოს ჩაენაცვლება პირობითი კილო (условное наклонение/Bedingter Modus ან ოპტატივი (Optativ). ბრძანებითი კილო სამეტყველო, საუბრის აქტის დონეზე – აზრობრივი გარდასახვით, ინკლუზია – ექსკლუზიით. ლოცვაში მოცემული სულიერი ხატება ობიექტს ვერ ქმნის, იგი ყალიბდება როგორც აზრობრივად ხორცშესხმული კონცეპტები.

Dali Bakhtadze

Ilia State University

LOGICAL –PHILOSOPHIC MECHANISMS OF LINGUISTIC RESEARCH OF PRAYING

The difference between an idea and meaning, the difference between logical and referential semantics, formulated by formal logic and philosophy is noteworthy together with fundamental linguistic

studies. Logical-semantic studies suggest objective laws to the language system that are in logics and philosophy beyond linguistics, however they can explain the mechanisms of natural language functioning, give semantic access marks, projection of language capabilities, expand the range.

The linguistic act of praying is an imaginative act, cognition; it is not objectivity of prayer perceived with internal vision but reflection of worship, praise, and gratitude in a direct conversation with God. It is characterized by inartistic, merciful, simple image (Nichtkunst - bildhaft) and not by iconographic-metaphoric expression (Dichtkunst - bildlich). The language of praying is complex itself, there are four main aspects, it is an irreplaceable executor of linguistic transformation;

Religious imagination and literary imagology are different from each other in communication. There is not K. Bühler's triad in praying: Speaker – Information – Auditor. Semantic field for praying is divided into Conceptual, referential and mental parts. Communication between real and virtual subjects is ongoing with special intensity. Modality is primarily named from the principles of philosophy and logic together with standard materials – connection to the reality, it is of two types) Communication modes – The verbal mood and modal words in the natural language; b) Language of modal logic-laws of semantics, help us to explain the world of praying less accessible to linguistics. This is linguistic modality of the possible worlds with three types of modality in logic with respect to the real and unreal reality of the verbal moods. The functions of verbal moods are not mentioned in the linguistic sense. For instance, "Possibility", "probability", "predictability", "indefiniteness" are given within the range of indicative objective modalities and etc. subjunctive mood will be replaced by the conditional mood (Bedingter Modus) or Optativ; Imperative mood – notional transformation, inclusion – exclusion. A spiritual icon in praying cannot create an object; it is being developed as embodied concepts.

მართული საეკლესიო ხაროთმოძღვრების გენეზისის პრობლემები უახლეს არქეოლოგიურ აღმოჩენათა ფონზე

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, იბერიის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქის, ნეკრესის ტერიტორიაზე ჩვენ მიერ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად IV-V საუკუნეების, ურთიერთმსგავსი სტილის სამი ქრისტიანული ბაზილიკა აღმოჩნდა.

ამის საპირისპიროდ, მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში, და ხანდახან დღესდღეობითაც კი, ცნობილ ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა უმეტესობის ნაშრომებში, პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრების ქრონოლოგიური ნიშნით დიფერენციაციისა თუ სტილისტურ თავისებურებებთან პრობლემები, სულ სხვაგვარადაა გაშუქებული.

ამ მეცნიერთა ნაშრომებში დღემდე ვხვდებით საკმაოდ უცნაურ დებულებას, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა, მთელ ადრებიზანტიურ სამყაროსა და მის კულტურულ წრეში მოქცეული ქვეყნებისგან განსხვავებით, იბერიის ხელისუფალნი, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებიდან საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, მხოლოდ მინიატურულ თუ არა, მეტად მცირე ზომის და თითქმის ნებისმიერი გეგმარების ეკლესიებს აგებდნენ (მათში ჩასატარებელ ლიტურგიულ პროცესებში გაურკვევლობის გამო).

საკვლევი პრობლემისადმი სწორედ ასეთი მიდგომის შედეგია თუნდაც ის ფაქტი, რომ ნეკრესის მონასტრის სამძალეზე აღმართული, ჩვენ მიერ არქეოლოგიური კვლევის შედეგად VI საუკუნის მომდევნო პერიოდით დათარიღებული მინიატურული სამლოცველო, დღემდე, ისტორიული წყაროების მიხედვით IV ს-ში ქალაქ ნეკრესში აგებულ უმნიშვნელოვანეს ქრისტიან-

ნულ ტაძართანაა გაიგივებული (ჩვენ მიერ მიკვლეული, სავსებით კანონიკური გეგმარების, ვრცელი ბაზილიკების ნაცვლად).

როგორც ჩანს, უახლოეს მომავალშიც, ქართულ ხელოვნების ისტორიაში ასე მყარად დამკვიდრებული ამ მცდარი თეორიის გასაქარწყლებლად, კიდევ დიდხანს მოგვიწევს სატაძრო ხუროთმოძღვრების აღნიშნული კატეგორიის თითოეულ ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური და არქიტექტურული კვლევების შედეგების ინტენსიური გავრცელება საქართველოშიც და საზღვარგარეთაც.

Nodar Bakhtadze

Ilia State University

PROBLEMS OF THE GENESIS OF THE GEORGIAN ECCLESIASTICAL ARCHITECTURE ON THE BACKGROUND OF THE LATEST ARCHAEOLOGICAL DISCOVERIES

Resulting from our archaeological researches carried out for the last several years, three large Christian basilicas of IV-V centuries, having rather exquisite architectural style, built in one of the important cities of the Iberia Kingdom – Nekresi, were discovered.

Despite of this, it should be stated that in the most works of the famous Georgian art historians, almost throughout the entire XX century and even nowadays, problems of spreading the first Georgian Christian Churches, chronological differentiations and stylistic peculiarities of their constructions, are covered absolutely differently.

Even today in the works of these researchers we can find the propositions supposing that allegedly, unlike the whole early Byzantine world and countries within its cultural circle, the Iberian authorities, during more than a century after recognition Christianity as the state religion, have been building exceptionally miniature churches of almost any design, based on the oral descriptions of the

missionaries about the temples of leading Christian countries (due to inadequate perception of liturgical processes performed there).

Such approach towards the research problem results in the fact that these scientists have identified a miniature chapel, built upon the ossuary of the monastery, dated back by us as a result of an archaeological research from the subsequent period of the sixth century, with the most significant until today Christian temple which, according to the historic sources, was constructed in the city of Nekresi in the fourth century (instead of the spatial, canonically-planned basilicas, discovered by us).

As it seems, in the nearest future, in order to dispel this firmly established, although false position in Georgian art history, we will have to further intensively disseminate the architectural as well as archeological researches, conducted around each monument of the above mentioned category of Georgian church art throughout Georgia and abroad.

ეკატერინე ბერელაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სამღვდლო სამოსში გაცხადებული საკრალური სიმბოლიკა

სასულიერო პირთა სრული შესამოსელის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია ეპიტრაქილი, იგივე ოლარი, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს მადლსაც და უღელსაც, იგი სიმბოლურად ნიშნავს სულიწმინდის მადლის გადმოსვლას, რომელიც მღვდელს აქვს მიმადლებული საიდუმლოთა აღსასრულებლად. ეპიტრაქილის გარეშე მას უფლება არა აქვს ღვთისმსახურების ჩატარებისა. ეპიტრაქილი ბიზანტიაში მღვდლის აუცილებელი შესამოსელი იყო. გერმანე კონსტანტინეპოლელის ნაშრომი ეკლესიის ისტორიის შესახებ უადრესი წყაროა (მე-8 ს.),

რომელშიც ეპიტრაქილი მოიხსენიება, ერთ ერთი ყველაზე გავრცელებული სამოსი ბიზანტიური პერიოდიდან, თუმცა ვიზუალურ ხელოვნებაში უფრო გვიან ჩნდება. სამოსის საკრალური მნიშვნელობა დამოწმებულია ბიზანტიური კანონითაც, რომლის მიხედვით, მღვდლის ეპიტრაქილზე დაფიცებას მეტი უპირატესობა ჰქონდა, ვიდრე მის დაფიცებას სახარებაზე. მისი სიმბოლიზმის განხილვის კონტექსტში: „ეპიტრაქილი არის საბელი, რომლითაც წამების დროს შეკრეს ქრისტე, კისერზე შემოახვიეს და მიჰგვარეს უმაღლეს მღვდელმთავარს. ეპიტრაქილის მარჯვენა ნაწილი განასახიერებს ასევე ლერწამს, რომელიც ქრისტეს დამცირების დროს დაადეს მარჯვენა მხარეს, მარცხენა ნაწილი კი ჯვრის ბეჭებით ტვირთვის სიმბოლოა.“

ჩვენამდე მოღწეულ ეპიტრაქილებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა ეპიტრაქილი, რომელიც, ასომთავრული წარწერის თანახმად, „დედოფალთ-დედოფალმა ანამ“ საგარეჯოს წმინდა ნინოს ეკლესიას შესწირა. შავი აბრეშუმის მიწარზე ვერცხლმკედით შესრულებულ შეისრული ფორმის მოჩარჩოებაში, წმინდანებისა და ქერუბინების გამოსახულებებია ამოქარგული. საკისრეზე კომპოზიციის მთავარი გამოსახულება – წრეში ჩაწერილი „განჰყრობილი“ მაცხოვრის ნახევარფიგურაა მოთავსებული. ეპიტრაქილის მიწარი მორთულია კილიტებით და მოკლე ფოჩებით.

ეპიტრაქილის სათავეში, ერთმანეთის გვერდიგვერდ წმ. ნინოსა და წმ. დავით გარეჯელის გამოსახულებებია მოთავსებული მათთვის დამახასიათებელი ტრადიციული იკონოგრაფიული სქემით – მარჯვენა ხელში ჯვრით და მარცხენა გაშლილი ხელისგულით. წმინდა ნინოს მხარეს ვერტიკალურად სამი მღვდელმთავარია წარმოდგენილი: წმ. ბასილი, წმ. იოანე ოქროპირი და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. დავით გარეჯელის მხარეს – წმ. გრიგოლ დიდი, მირონ – ლუკიის მთავარეპისკოპოსი, წმ. ნიკოლოზი და წმ. იაკობ მმა ღვთისა.

SACRAL SYMBOLISM DECLARED IN THE ECCLESIASTICAL VESTMENTS

The epitrachelion, was the essential of the priestly vesture in Byzantium. It is first mentioned in the eighth-century liturgical commentary of Germanos of Constantinople, although its depiction in art comes rather later. In its original form, it is similar to the deacons orarion. The use of the epitrachelion at the liturgy was imposed, on pain of heresy, by a canon of indeterminate date. The early fifteenth-century archbishop and author on the Byzantine liturgy, Symeon of Thessalonike, held that its use was optional only at the services of the minor hours, since these offices are essentially private in character. The sacred character of the vestment is attested by the fact that Byzantine law allowed priests to swear on their epitrachelia rather than on the usual book of Gospels. The *Historia ecclesiastica* of Germanos of Constantinople is the earliest source to mention the epitrachelion, and its mention comes in the context of a discussion of its symbolism: The epitrachelion is the rope by which, having been bund and dragged forward by the neck, Christ, departing for his passion, was brought before the High priest. The right side of the epitrachelion represents the reed that they put in Christ's right hand in mockery. The left side represents the burden of the cross upon his shoulder. We will discuss one of the best Epitrachelion which is preserved in the Museum of Fine Arts. According to the inscription it was dedicated to the Sagaredjo's St. Nino church by Queen Anna. On the neck of the stole there is an image of Christ within a medallion. The length of the stole shows figures under arches: the St. Nino and St. David Garedjeli, followed by holy bishops: Basil the Great and John Chrysostom, Gregory the Theologian and Nicholas, Gregory the Great and Jacob the brother of Jesus.

დეკანოზი გიორგი ბერიშვილი

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

ტერმინ „პირის განჩემების (ჩემების)“ საღმრთისმეტყველო მნიშვნელობა წმ. სოფრონ იერუსალიმელის ნათლისღების ჰომილიებში

წმ. სოფრონ იერუსალიმელი (დაახლ. 550-638 წწ.) მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი თვალსაჩინო იერარქია. ის თავდაუზოგავად იბრძოდა მონოთელიტობისა და მონოენერგიზმის წინააღმდეგ. მისი თხზულებების ნაწილი ქართულ ენაზე თარგმნეს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეზმა, ეფრემ მცირემ. აღნიშნულ თარგმანთა დიდი ნაწილი გამოუცემელია, საღვთისმეტყველო თვალსაზრისით კი – სრულიად შეუსწავლელი.

წმ. სოფრონის ნათლისღების ჰომილიებში გამოყენებულია ერთი ტერმინი, რომლის საღმრთისმეტყველო მნიშვნელობა დიდია. აღნიშნული ჰომილიის ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „მათისა (ძველი აღთქმის მართალთა - დეკ. გ. ბ.) პირისა განჩემებისათჳს ნათელს-იღებს მეუფე, ვითარცა მქონებელი პირსა ყოვლისავე კაცობრივისა ბუნებისასა“.

ტერმინის – „პირის განჩემება“ მართებული მნიშვნელობის გასარკვევად, უპირველესად, საჭიროა, გავეცნოთ წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის 30-ე სიტყვის წმ. ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანს. კონტექსტში ჩანს, რომ ქრისტე „იჩემებს“, განიკუთვნებს ზოგადად ადამიანური ბუნების ურჩობას, არა იმ გაგებით, რომ თვითონ იყო ურჩი, არამედ იმ აზრით, რომ ის ჩვენს ურჩობას თავის თავზე იღებს, მიიწერს, როგორც სხვა ადამიანის ადგილას დამყენებელი საკუთარი თავისა.

უფრო მეტი სიცხადე აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობაში შემოაქვს წმ. მაქსიმე აღმსარებელს მარინოსისადმი ეპისტოლეში, სადაც ის ქრისტეს მიერ ბუნებით და პიროვნულ განკუთვნაზე („განჩემებაზე“) საუბრობს.

ამავე საკითხს წმ. მაქსიმე ეხება პიროსთან სიტყვისგებაში. ორივე შემთხვევაში წმ. მაქსიმე მიჯნავს ერთმანეთისაგან ბუნებით განკუთვნას და პირისეულ „განჩემებას“ და განმარტავს, რომ ბუნებითი განკუთვნა ჭეშმარიტია, რეალურია, პირებითი „განჩემება“ კი – მოთვისეობითი, სხვისი მდგომარეობის საკუთარი თავისადმი მიკუთვნებითი.

საბოლოოდ კი ჩამოყალიბებულ სწავლებას, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებას ქრისტეს მიერ ბუნებითი და პირებითი განკუთვნის შესახებ, ვხვდებით წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემაში“, სადაც, ფაქტობრივად, იგივე აზრია გატარებული, რაც წმ. მაქსიმე აღმსარებელთან.

მოხმობილი განმარტებებიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: წმ. სოფრონის ციტატაში „პირის განჩემება“ არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტემ თავის პიროვნებაში რეალურად მიიღო სხვა პიროვნებები (ძველი აღთქმის მართლები) და ისინი თავისთან ერთად მონათლა იორდანეში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წმ. სოფრონი ამბობს: მაცხოვარმა პიროვნული განკუთვნით გაისაკუთრა, ზოგადად, ადამიანური ბუნების (მათ შორის, ძველი აღთქმის მართალთა, როგორც ამავე ბუნების მფლობელთა) მდგომარეობა და მოინათლა რა იორდანეში, მთელი კაცობრივი ბუნება განწმიდა.

Archpriest Giorgi Berishvili

Tbilisi Theological Academy and Seminary

**THEOLOGICAL MEANING OF THE TERM
“PERSONAL APPROPRIATION” IN THE EPIPHANY
HOMILIES OF ST. SOFRONIUS OF JERUSALEM**

St. Sophronius (approx. 550-638) is one of the most eminent hierarchies in Orthodox Church. He selflessly fought against monotheism and monoenergism. Part of his works was translated by Euthy-

miusand George the Athonite and Ephrem Mtsire. A big part of these works hasn't been published, and theologically – it's completely unstudied.

In the Epiphany Homilies there is used one term-personal appropriation, theological meaning of which is very important. In the Georgian translation of the homily we can read: because of their (Old Testament Saints') personal appropriation the Lord is christened.

To clear up the real meaning of term "personal appropriation", first of all it's necessary to look through Euthymius Athonite translation of the 30th oration of Gregory Theologian. In context we can see that Christ appropriates therecalcitrance of human nature in general, not meaning that He was recalcitrant, but He takes upon our recalcitrance Himself.

St. Maximus the Confessor makes this term clearer in one of his epistles, where he speaks about Christ's natural and personal appropriation.

St. Maximus speaks about these issues in his works. He dissociates natural and personal appropriation and explains, that natural appropriation is veritable and realistic, but personal is relative and He appropriates others' conditions on Himself.

We can see formulated teaches of Orthodox Church about Christ's natural and personal appropriation in John of Damaskus' teaches, where there is in fact the same meaning as in St. Maximus' teaches.

In conclusion St. Sophronius says: Our Savior appropriated human nature status (including Old Testament saints) with personal appropriation and having christened in the Jordan, he made all human nature pure.

ვარდო ბერიძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერების აქტივაცია შუა საუკუნეებში

შუა საუკუნეებში მეცნიერების აქტივიზაცია იწყება **მაღალი შუა საუკუნეების** ეპოქაში, XIII საუკუნიდან, – **ევროპული უნივერსიტეტების** წარმოშობის დროიდან. არისტოტელესეული შრომების გაფართოებული კორპუსის ათვისება, რომელიც დასავლეთში გავრცელდა არაბული თარგმანებით, შუა საუკუნეების მოაზროვნეთა წინაშე სვამს ახალ ამოცანებს. **მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელია** სხვადასხვა ტექნიკური და მეცნიერული აღმოჩენებისა და მიღწევების როლი შუა საუკუნეების ეპოქაში. გაკეთებულია სამყაროს მექანიკური ახსნის პირველი ნაბიჯები. ასტროლოგიის, ალქიმიის, მაგიის განვითარებამ ზიდა მისცა მომავალი ექსპერიმენტული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, კერძოდ, ასტრონომიის, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის ჩანასახის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, მედიცინის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ მკურნალობის ის მეთოდები და ხერხები, რომლებიც დღეს მედიცინაში ფართოდაა გავრცელებული, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არსებობდა ზოგ ქვეყანაში. საინტერესოა როჯერ ბეკონის მეცნიერული წინასწარმეტყველებანი. იგი წინამორბედა ახალი დროის ტექნიკური რევოლუციისა, ხედავს მანქანის მომავალ დაბადებას და საინტერესო მითითებებს იძლევა ამ მიმართულებით.

Vardo Beridze

Batumi State University

ACTIVATION OF SCIENCE IN THE MIDDLE AGES

Activation of science in the Middle Ages begins in the epoch of High Middle Ages – XIII century when European universities were

founded. Assimilation of an enlarged corpus of Aristotle's works which spread in the West in Arabic translations posed new objectives to the mediaeval thinkers. The role of various technical and scientific discoveries and inventions in the Middle Ages is important and worth of stressing. The first steps in the direction of explaining the world mechanistically are made. Development of astrology, alchemy, magic gave impulse to forming outlines of future experimental sciences such as astronomy, chemistry, physics, biology and to developing medicine as well. It is worth noting that the methods and means which are widely exploited in medicine nowadays, existed in some countries as early as the Middle Ages. Roger Bacon's scientific predictions are interesting as well. He is a precursor of technical revolution of Modern times, foresees future emergence of machines and gives interesting conjectures in this direction.

მერაბ ბერიძე
მაკა ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაჰჰადიან მესხებთან დაკავშირებული ეთნოთერმინები

მესხი კრებითი სახელია მესხეთში მცხოვრები ქართველებისა. ჩვენი დაინტერესება ტერმინების – *მესხი, მესხეთის* შინაარსის არაერთგვაროვანმა გაგებამ და მესხეთში მცხოვრები ისტორიული მოსახლეობის იდენტობის არასწორი ინტერპრეტაციის მცდელობამ გამოიწვია.

მესხეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობა, სარწმუნოების თვალსაზრისით, ისტორიულად საინტერესო სურათს იძლევა. გვაქვს ცნობები წარმართობის, კერპთაყვანისმცემლობის პერიოდთან დაკავშირებით. შემორჩენილია მაშინდელი არქეოლოგიური მასალა.

საზოგადოების სარწმუნოებრივი დაყოფა გარკვეული იდეოლოგიის და ისტორიული კონიუნქტურის შედეგია. დღემდე მესხეთში ქრისტიანობა არსებობს თავისი ორი მიმართულებით: მართლმადიდებლობით და კათოლიკობით. მესხეთისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მუსლიმური სარწმუნოების მიღება, რის შესახებაც მოგვითხრობენ ჩვენი მემატანეები.

სარწმუნოებრივი თანაცხოვრება კარგი იყო მშვიდობიანობის პერიოდში. სულ სხვა მდგომარეობა იქმნებოდა ომიანობის დროს, როდესაც რომელიმე სარწმუნოებას სხვა ქვეყნის იარაღად იყენებდნენ. ასე მოხდა 1918 წელს. პირველი მსოფლიო ომის დროს ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა იქნა წაქეზებული, მათ მხარში ამოუდგა მეზობელი ქვეყნის შეიარაღებული დაჯგუფებები და ქრისტიანული მოსახლეობა განდევნეს სამცხე-ჯავახეთიდან.

ასეთივე უბედურება დატრიალდა 1944 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც საბჭოთა სახელმწიფომ მესხეთიდან განდევნა მუსლიმი ქართველები.

აქედან დაიწყო მანამდე არსებული ყოველგვარი ექვგარეშე ცნობილი ფაქტის – მესხეთში მცხოვრები ქართველი მუსლიმების იდენტობის გაყალბება.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია უნიკალური მოვლენა, როდესაც ერთი ეროვნების, ერთი და იმავე „ქვეყნის“ (კუთხის) მოსახლეობას ერქმევა მრავალი ეთნოტერმინი:

გურჯი – მე-16 საუკუნე;

მოჰამედიანი ქართველი – მე-18 საუკუნე;

грузины могомедиани – მე-19 საუკუნე;

татары – მე-19 საუკუნე;

იერლი – მე-20 საუკუნე;

თურქი – მე-20 საუკუნის დასაწყისი (1914 წლის აღწერა);

აზერბაიჯანელი – მე-20 საუკუნის 20-იანი წლები;

თურქი – მე-20 საუკუნის 40-იანი წლები (1944 წელი);

კავკასიელი თურქები – მე-20 საუკუნის ბოლო;

ახალციხელი თურქები/*ahiska türkleri/Ahiska
Turks/Ахалцихские Турки* – მე-20 საუკუნე;
თურქი მესხები – მე-20 საუკუნის ბოლო;
მესხეთელი თურქები/ *Meskhethian Turks* – 21-ე საუკუნე.

Merab Beridze

Maka Beridze

Samtskhe-Javakheti State University

ETHNIC TERMS RELATED TO MUSLIM MESKHS

Meskhi is the name of the Georgians living in Meskhethi. Our interest in the terms Meskhi, the various understanding of the content of Meskhethi and the misinterpretation of the identity of the historical population of Meskhethi.

The Georgian population living in Meskhethi is historically interesting in terms of religion. We have information about the period of paganism. Archaeological material of that time has been preserved. The division of the society is the result of some ideology and historical connotation. Currently, Christianity came to Meskhethi in two directions: Orthodoxy and Catholics. An important event for Meskhethi was to receive Muslim credentials, about which our historians tell us. Different religious people were living perfectly during the times of peace. Completely different situation was created during the war, when any religion was used as a weapon of other countries. It happened in 1918. During the First World War, local Muslim population was stabbed and supported by armed militias of the neighboring country and the Christian population was expelled from Samtskhe-Javakheti.

The same trouble was occurred in 1944, during the Second World War when the Soviet state exiled Muslims from Meskhethi.

From that point of time there has been made fake of the identity of Georgian Muslims living in Meskhethi.

The work is discussed and analyzed by the unique event when many ethnomerine population of one nation, one and the same "country" (parts of the country) is called.

Guruji – 16th century;

Mohamedian Georgian – 18th century;

грузины могомедиани – 19th century;

татары – 19th century;

Yerli – 20th century;

Turkish – the beginning of the 20th century (description of 1914);

Azeri – 20 years of 20th century;

Turkish – 40-ies of the 20th century (1944);

Caucasian Turks – the end of the 20th century;

Akhaltsikhe Turks / ahiska türkleri / Ahiska Turks / Ahsulitsky

Türki – 20th century;

Turkish Meskhetians – the end of the 20th century;

Meskhetian Turks / Meskhetian Turks – 21st century.

ოლიკო ბერიძე

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

ბერძნული "πυρρίχη" [pyrrike] და ქართული "ფერხული" [perxuli]

(ხმელთაშუა ზღვის რეგიონის კულტურათა ურთიერთგავლენა)

პირველ ცნობებს ბერძნული საბრძოლო ცეკვის „პირიქესა“ და ქართული საბრძოლო, რიტუალური ცეკვის „ფერხულის“ შესახებ მითოლოგიამდე მივყავართ. ქალღმერთ რეას მიერ შეიარაღებული მეზომონი კუნძულ კრეტაზე იდას მთაზე ახალშობილი ზევსის საკუთარი მამისაგან, ტიტანოს კრონოსისაგან გადარჩენას ცეკვითა და ხმაურით ცდილობენ. წრეში ტრიალისას შუბსა და ფარს ერთმანეთს ურტყამენ და იწვევენ ხმაურს, რომ

ჩვილის ტირილი მამის ყურს არ მისწვდომოდა. სავარაუდოდ, დორიული წარმოშობის თავდაპირველ ცეკვას წრეში ტრიალით იარაღის თანხლებით ასრულებდნენ. ზოგიერთი ძველი წყაროს ცნობით, „პირიხე“ კუნძულ კრეტაზე ახალგაზრდების ბრძოლისთვის საწვრთნელი ვარჯიშები იყო. მოგვიანებით კი სხვა რეგიონებში განსხვავებული შინაარსის ცეკვის სახეც მიიღო. ქართულ რეალობაში ფერხულის შესახებ მრავალფეროვან მითოსიდან „პირიხესთან“ პარალელისთვის გამოვარჩიეთ სვანეთში შემონახული „ბაილ-ბეთქილის“ [bail-betkili] სარიტუალო ცეკვა, რომელიც სრულდებოდა სიმღერის თანხლებით და რომლის ტექსტშიც ასევე ფიგურირებენ უზენაესი ღვთაება, ნადირობის ქალღმერთ დალის სახით, და მისი სატრფო მონადირე, რომლის მიზანია, გადაარჩინოს ღვთაების ახალშობილი შვილი. ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაშიც ფერხულის მრავალი სახეობაა ცნობილი: საბრძოლო, რიტუალური, საყოფაცხოვრებო და გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

სტატია განიხილავს ხმელთაშუაზღვის აუზის ერთ ცივილიზაციაში განსხვავებულ კულტურულ სამყაროთა ურთიერთგავლენის შემთხვევებს ორი ცეკვის ჭრილში. დასასრულს, მოსაზრებას გამოვთქვამთ ტერმინების – პირიხესა და ფერხულის – ეტიმოლოგიური შესაძლო თანხვედრის შესახებ.

Oliko Beridze

Ilia State University, Institute of Oriental Studies

GREEK "ΠΥΡΡΙΧΗ" [PYRRHIKE] AND GEORGIAN „ფერხული“ [PERXULI]

(Interaction of Cultures in the Mediterranean Region)

The first evidence about the Greek war dance *Pyrrhike* and the Georgian war, ritual dance *Perkhuli* leads us to mythology. The warriors (the rustic gods and spirits), summoned by Rhea on Mount

Ida on the Island of Crete were trying to save newborn Zeus from his own father, Titan Cronus, by means of a dance and noise. Participants of the round dance were clashing spears and shields, causing noise, in order to prevent the father from hearing the crying baby. The initial dance, presumably of the Dorian origin, was performed by moving in a circular pattern, holding weapons. According to some ancient sources, on the Island of Crete *Pyrrhike* was battle training, intended for youths. Later on, in other regions it was transformed into a dance with a completely different meaning.

Of the varied myths, associated with *Perkhuli* in the Georgian reality, for comparison with *Pyrrhike*, we have selected a ritual dance, called „ბაილ-ბეთკილი“ [bail-betkili], preserved in Svaneti. The dance was performed accompanied with a song. Its lyrics contain the story of the supreme deity – hunting goddess Dali, and her lover hunter, who is trying to save the deity’s newborn child. In Georgian choreographic art, many varieties of *Perkhuli* dance are known: war, ritual, everyday life, and it is performed in almost all regions of Georgia.

On the example of the two dances, the article considers the instances of interaction between different cultural worlds within a single Mediterranean civilization. Finally, the opinion is expressed concerning the possible etymological coincidence of the two terms – Greek "πυρρίχη" [pyrrixē] and Georgian „ფერხული“ [perxuli].

მიხაილ ბიბიკოვი

მ. ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოსკოვი

Mikhail Bibikov

M. Lomonosov State University, Moscow

“CIRCUMPONTIC COMMUNITY” IN THE BYZANTINE LITERARY TRADITION

Byzantine historiographic and literary tradition supported the idea of a kind of the Circumpontic community uniting the tribes and peoples of completely different ethnic groups known since antiquity and sometimes distant from each other by centuries

In the 12th century, there appears a sort of systematization of the Scythian world. John Tzetzes, who emphasized his ‘Iberian’ origin, reproduced the barbarian (Turk, Alan, Russian, etc.) salutations, presents the following world picture. By the Taurus (Crimea) and the Maiotis (Azov Sea) there live the Cimmerians. All the area north of the Pontus (Black Sea) and east of the Hyrcanian (Caspian) Sea is occupied by one of the Scythian branches, the Maiotian Scythians, their other – Caucasian – branch bordering upon Hyrcania, the Ouzi and the Huns. Finally, the third group – the Oxian Scythians – are located by the far-away ‘Indian Mountains’. “Know it well and may it not be forgotten, that the Abasgi, the Alans, the Sacae, the Dacians, the Rhos and the Sauromatae, as well as the "Scythians proper" and every people touched by the breath of Boreas, are called in general Scythians” (Hist. XI. 896-900).

The generalized portrait of the Scythian world in Byzantine literature is marked by such traits as the absence and discreteness of stratification in society, apprized as the lack of system in the social pattern (Nic. Choniates: 196. 20. 5-21), poverty and ignorance (Theod. Prodromos: PG 1317 B), intemperance (Euthym. Malakes: 40.8 sq.), bellicosity and cruelty (Euthym. Tornikos: 130. 15-24; Eustathios Thessalon.: Op. 75. 2-8; 210. 70-71 and Orat. 17. 20 sq.). At the same time, there are noted the exotic chastity and virginity of

human relations, idyllic peaceableness and carefree cheerfulness (Nic. Choniates: Orat. 196. 18-20; Mich. Choniates: I. 99. 31-100. 3; Eustathios: Op. 64. 6 sq.; 75. 8 sq.).

ეთერ ბოკელავაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„სერბთა და ბერძენთა იმპერატორი“ სტეფანე დუშანი და ათონის ივერთა მონასტერი (XIV საუკუნის 30-40-იანი წლები)

XIV საუკუნის შუა ხანები უადრესად საინტერესო ეპოქას წარმოადგენს ბიზანტიის იმპერიის ისტორიაში. პალეოლოგოების მმართველობის დროს არსებულმა პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და რელიგიურმა კრიზისმა, რომელსაც თან ერთვოდა საგარეო საფრთხე, შეუქცევადი გახადა იმპერიის დაკნინებისა და დამცრობის პროცესი. სწორედ აღნიშნულ პერიოდში, ძლიერების ზენიტს აღწევს სერბეთის სახელმწიფო, რომელიც ჯერ კიდევ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ზრდის ტერიტორიულ საზღვრებს ბალკანეთზე და ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებას აიძულებს, ცნოს სერბების მიერ წარმოებული ომების ყველა შედეგი.

1331 წლიდან სერბეთის ტახტს იკავებს ნემანიჩების საგვარეულოს წარმომადგენელი – სტეფანე IV დუშანი, რომელიც მიზნად ისახავს, თავისი ძალაუფლების ქვეშ მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულის გაერთიანებას და კონსტანტინეპოლში ბიზანტიის იმპერატორად კურთხევას. სტეფანე დუშანი ეტაპობრივად იკავებს ბიზანტიის იმპერიაში შემავალ მიწებს (მაკედონიას, ეპირს, თესალიას და თრაკიის ნაწილს) და 1346 წელს უსკუბის საკათედრო ტაძარში ეკურთხება „სერბთა და ბერძენთა იმპერატორად და ავტოკრატორად“.

ძალაუფლების ლეგიტიმაციისათვის სტეფანე დუშანი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად თვლიდა ბერძენი

სამღვდელოების მხარდაჭერას, რისი მიღებაც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსგან შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, მისი ყურადღების ცენტრში ათონის მთა და მისი მონასტრები მოექცა.

მოცემულ ნაშრომში განხილული გვაქვს სტეფანე დუშანის საეკლესიო პოლიტიკა ათონის მთისადმი და ივირონის ქართველთა მონასტრის პოზიცია; იმპერატორის მიერ 1346 წელს ქართველი სამღვდელოებისადმი გაცემული „ხრიზობულები“ და მონასტრისთვის დამტკიცებული საკუთრება და პრივილეგიები; აგრეთვე, შეფასებული გვაქვს ათონის ივერთა მონასტრის როლი დუშანის იმპერიულ პოლიტიკაში და მოცემული პერიოდის ბიზანტიის ეკლესიის ისტორიაში.

Eter Bokelavadze

Tbilisi State University

**"EMPEROR OF SERBIANS AND GREEKS" STEPHEN DUSHAN
AND THE MONASTERY OF IVIRON IN ATHOS
(30-40-ies of XIV century)**

The middle of the XIV century is a very interesting epoch in the history of the Byzantine Empire. The sharp internal political, socio-economic and religious crisis during the rule of the Palaiologos dynasty, which was accompanied by an external threat, irreversibly made the decline and defensive process of the empire. In this period, the Zenith of the Strong, which is still in the second half of the XIII century, increases the territorial boundaries of the Balkans and the Byzantine Imperial Authority to recognize all the wars produced by the Serbs.

From 1331 the Serbian throne is occupied by Stephen IV Dušan (Stefan IV Dušan), a representative of the patrimonial family of Nemanic, aimed at uniting the whole Balkan Peninsula under his power and blessing as the Byzantine Emperor in Constantinople.

Stephen Dushan gradually occupies the lands belonging to the Byzantine Empire (Macedonia, Epirus, Thessalia and part of the Thracian) and in 1346 at the Cathedral of Uscubi, he is blessed with the "Emperor and Autocrat of Serbs and Greeks".

Stephen Dushan was considered one of the most important factor in legitimizing power getting support from the Greek clergy, which was impossible from the Constantinople Patriarchate. Hence, it has attracted the attention of the Mount Athos and its monasteries.

In this work we have discussed Stephen Dushan's ecclesiastical policy on the Mount Athos and the position of Georgian Monastery of Iviron. In the year 1346 the Emperor issued chrysobulls to the Georgian clergy and ownership and privileges approved for the monastery. We also assumed the role of the Monastery of Iviron in Dushan's imperial politics and in the history of the Byzantine Church of this period.

კესო ბორჩხაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეგერიას „მოგზაურობის“ მარშრუტი

„ეგერიას მოგზაურობის“ აღწერა სინას მთის აღწერით იწყება და გრძელდება იერუსალიმის წმინდა ტაძრებისა და შესრულებული ღვთისმსახურების აღწერით. პილიგრიმი ქალი, თავის თანმხლებ პირებთან ერთად, იმ მარშრუტს გადის და აღწერს, რომელიც მას გაუვლია. მარშრუტი, როგორც აღწერილობიდან ჩანს, ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის მიხედვითაა შედგენილი.

სპეციალისტები „ეგერიას მოგზაურობას“ აღიარებენ, როგორც პალესტინოგრაფიის მნიშვნელოვან აღმოჩენას, რადგან მიაჩნიათ, რომ იგი წერილობითი წყაროა პალესტინაში არსებული მონასტრების ლიტურგიკული პრაქტიკისა. მოყვანილი ტექ-

სტიდან თავისუფლად შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სინას მთაზე პილიგრიმთა მნიშვნელოვანი პუნქტია, სადაც მათ შეუძლიათ მოილოცონ წმინდა საფლავები.

ეგერია დაწვრილებით აღწერს სინას უდაბნოს, მიუთითებს იმ ბუჩქზეც, რომელიც, გადმოცემით, მოსეს თვალწინ იწვოდა და საუბრობს იმ გზის შესახებაც, რომელიც ადიოდა წმინდა მთაზე. სინას მთის ბერები ამის შესახებ საუბრობენ პილიგრიმ ქალთან. ეგერია იმასაც აღნიშნავს, რომ ბერები მომლოცველებთან ერთად, რომლებიც მათ სტუმრობდნენ, სადიდებელ ლოცვას აღავლენდნენ.

სინას მთაზე, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, სწორედ იმ ადგილას, სადაც, „ძველი აღთქმის“ მიხედვით, მოსეს უფალი გამოეცხადა, დაიწყო ქრისტიანული ეკლესიების შენება და ბერების დასახლება.

სინას მთის შემდეგ ეგერია იერუსალიმში მიდის. ამაზე იგი „მოგზაურობის“ მეორე ნაწილში მოგვითხრობს.

Keso Borchkhadze

Batumi State University

EGERIA'S TRAVEL ROUTE

The description of Egeria's journey begins with a description of Mount Sina. And continues to achieve the religious service of Jerusalem. The Pilgrim woman along with her companions goes through the route and describes which one she has passed. The route has shown in the description is based on the old and new Testaments Bible.

Specialists recognize the Journey of Egeria as an important discovery in Palestinian studies because they believe that it is a written source of liturgical practice for monasteries in Palestine. From the text we can freely conclude the Mount Sina is an important point of pilgrims where they can visit the holy tombs.

Egeria describes in detail the wilderness of Sina, pointing to the bush that is said to have burned before Moses and to the road that led up to the holy mountain. The monks of Mount Sina mention this conversation with a pilgrim woman. Egeria also mentions that the monks together with the pilgrims who visited them offered a prayer of much praise. At Mount Sina after the state of christianity as the state religion, the construction of christian churches and the settlements of monks began at the very place where the Lord of Moses appeared according to the Old Testament After Mount Sina Igeria goes to Jerusalem which is reported in the second part o Egeria's Journey.

ლატავრა ბუკია, მახარე ბუკია

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ბიზანტიიდან – ხობის მონასტერში ღვთისმშობლის კვართის დავანების შესახებ

საკონფერენციო ნაშრომში განხილული იქნება ხობის მონასტერში ღვთისმშობლის კვართის მოხვედრის ისტორია, რომელიც დაკავშირებულია ბიზანტიაში ხატმებრძოლეობის პერიოდთან ან კონსტანტინოპოლის დაცემასთან. განხილული იქნება მასალები წყაროების მითითებით.

ხობის მონასტერი წარმოადგენს სამონასტრო, ხუროთმოძღვრულ კომპლექსს, რომელშიც გაერთიანებულია ტაძარი, სასახლე, სამრეკლო და გალავანი, აგრეთვე, დამხმარე ნაგებობათა ნაშთები. მონასტრის აშენებას სხვადასხვაგვარად ათარიღებენ. იგი, დაახლოებით, აგებულია XIII-XIV საუკუნეებში. ტაძრის აშენება უკავშირდება გუბაზ მეფის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და ცოტნე დადიანის სახელებს.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართის ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაცია უკანასკნელ დრომდე თითქმის არ იყო საჯაროდ ცნობილი. საინტერესოა ცნობა მისი ხობის მონას-

ტერში მოხვედრის შესახებ. ამჟამად, ღვთისმშობლის კვართი ზუგდიდში, დადიანების სასახლე-მუზეუმშია დაბრძანებული, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ იგი ხობის მონასტრის დახურვის შემდეგ გადაიტანა.

არსებობს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართის საქართველოში მოხვედრის სხვადასხვა ვერსია. პირველის თანახმად, კვართი ჩამოიტანეს მე-8 საუკუნეში ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლიდან; მეორეს მიხედვით, კვართი ჩვენში მე-15 საუკუნეში ჩამოიტანეს, კონსტანტინოპოლის თურქთაგან დაპყრობის (1453 წ.) შემდეგ. ამ ორი მოსაზრების შესახებ კვლევა საინტერესოდ წარმოაჩენს აღნიშნულ საკითხს.

Latavra Bukia, Makhare Bukia

Georgian Aviation University

FROM BYZANTINE – ON THE DISPERSAL OF THE VIRGIN MARY'S HOLY ROBE IN THE KHOBI MONASTERY

In the Conference Work will be discussed on the Entrance of the Virgin Mary in the Khobi Monastery – from the Byzantine archetypes, or the fall of the Constantinople, will be reviewed with reference to sources.

The Khobi Monastery is a monastery and architectural complex that combines the cathedral, palace, bell tower and fence, as well as the ruins of auxiliary buildings. There are different variations of periods of building the monastery. The approximate date of building this monastery is XIII-XIV centuries. The construction of the cathedral is associated with the names of Gubaz King, Davit Aghmashenebeli, Queen Tamar and Tsotne Dadiani.

The location of the Holy Virgin's Holy Robe has not been given away until recent times. But according to historic sources, we see interesting history about his entry into the Khobi Monastery in Geor-

gia's Black Sea Coast. At present, Virgin Mary's holy robe is in Dadiani Palace in Zugdidi. As a result of the closure of the monastery by the Soviet authorities, it has been admitted as museum exhibits.

There are different varieties of bringing Virgin Mary's holy robe to Georgia. Two versions were revealed, according to the first, it was brought from the Byzantine capital of Constantinople in the 8th century; But taking into consideration the second version, the holy robe was brought to us in the 15th century, after conquering Constantinople by the Turks (1453). The research on these two opinions makes this issue interesting enough.

მანანა გაბაშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული შავი ზღვის სახელების წარმოშობის დრო და პოლიტიკური დატვირთვა

ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული შავი ზღვის სახელები უძველესი დროიდან შუა საუკუნეების მთელ მანძილზე დასტურდება. ესენია ქართული და უცხოური წყაროების „ფასიანის ზღვა“, „კოლხეთის ზღვა“, „ქართველთა ზღვა“, „სპერის ზღვა“, „ლაზთა ზღვა“, „ტრაპიზონის ზღვა“, „მეგრელთა ზღვა“, „დავითის ზღვა“; გვხვდება ყველა ამ სახელის შემკრები „კავკასიის ზღვაც“. მათი რაოდენობა აბათილებს პოლიტიკურ პროპაგანდას, რომ ქართველები ზღვის მიმართ გაუცხოებული იყვნენ. ეს პროპაგანდა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ (1801 წ.) იღებს სათავეს.

დღემდე შავი ზღვის უძველეს სახელად „კოლხიდის ზღვა“ (I ს. დასაწყ.) მიიჩნეოდა, მაგრამ ამ მიმართულებით ძიებისას მივაკვლიეთ მის კიდევ უფრო ძველ სახელწოდებას – „ფასიან-

ის ზღვას“ ("Phasianum mare"), რომელიც XVI-XVII საუკუნეების ევროპულ რუკებზე გვხვდება (ა. ორტელიუსი, გ. სანსონი).

ფასიანი და კოლხეთი სინონიმური ცნებებია. მათი სახელწოდების მატარებელი შავი ზღვის გზით კოლხური სამყარო მაშინდელ მსოფლიოს მითებში, უძველეს მწერლობასა და კულტურაში აისახა.

საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდში ჩნდება „ქართველთა ზღვაც“. ის გვხვდება X ს. სპარსულ ანონიმურ, იმ დროს ყველაზე პოპულარულ „ჰუდუდალალამში“ („ქვეყნიერების საზღვრები“). მასში „ქართველთა ზღვა“, „ბიზანტიის ზღვის“ პარალელურად, რამდენჯერმე დასტურდება, რაც შავი ზღვის მიმართ ინტერესსა და ბიზანტია-საქართველოს მეტოქეობაზეც მიანიშნებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ „ქართველთა ზღვა“ ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესზეც მოდის.

ქართული და სომხური წყაროების თანახმად, „ქართველთა ზღვას“ „სპერის ზღვა“ მიესადაგება, რაც იბერიის ზღვას ნიშნავს. ეს სახელი პარალელის გავლების საშუალებას იძლევა შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ სასპერებსა და იბერიელებთან. როგორც ცნობილია, ბაგრატიონებიც სპერიდან იყვნენ წარმოშობით, რომელთა პოლიტიკური ინტერესი შავი ზღვისადმი ყოველთვის არსებობდა.

მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპია შავი ზღვის აღსანიშნავად „ლაზთა ზღვისა“ და „ტრაპიზონის ზღვის“ (X-XII სს.) გაჩენაც მაშინ, როდესაც ტრაპიზონის რეგიონში სეპარატისტული მოძრაობები იწყება. საზოგადოდ, „ლაზთა ზღვამ“ ისევე შეცვალა „კოლხიდის ზღვა“, როგორც ლაზეთმა – კოლხეთი. კიდევ უფრო მოგვიანებით, ევროპულ რუკებზე „მეგრელთა ზღვა“ დასტურდება. ცნობილია, ტრაპიზონსა და მის რეგიონს „მეგრელთა ქვეყანასაც“ რომ უწოდებდნენ.

XVI-XVIII საუკუნეებში, იტორიისადმი ინტერესთან ერთად, შავი ზღვისადმი ინტერესიც ცოცხლდება, სვეტიცხოვლის ფრესკაზე ჩნდება საზღვაო თემატიკა და აფრიანი გემები.

1838 წ. ხელნაწერში „დავითის ზღვა“ დავით აღმაშენებლის გამარჯვებებს უკავშირდება და ირიბად ტრაპიზონის პოლიტიკას, რომელიც ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისთანავე აქტიურდება.

Manana Gabashvili

Iliia State University, Institute of Oriental Studies

TIME AND POLITICAL CHARGE OF THE ORIGIN OF BLACK SEA NAMES CONNECTED WITH GEORGIAN UNIVERSE

The names of the Black Sea, connected with the Georgian universe, are evidenced from the ancient times during all the Middle Ages. These are "Pasianis Zghva" (Pasiani Sea), "Kolkhetis Zghva" (Kolkheti Sea), "Kartvelta Zghva" (Sea of Georgians), "Speris Zghva" (Speri Sea), "Lazta Zghva" (Sea of Lazs), "Trapizonis Zghva" (Trabzon Sea), "Megrelta Zghva" (Sea of the Megrels), "Zghva" (David's Sea) of Georgian and foreign sources. We meet also "Kavkasiis Zghva" (Sea of Caucasus) – collecting of all these names. Their amount nullifies political propaganda that the Georgians of the sea. This propaganda takes its origins after the conquest of Georgia by the Russian Empire.

Until today, "Kolkhetis Zghva" (beginning of the 1st c.) was considered as the most ancient name of the Black Sea. But during the research in this direction we found its more ancient name "Pasianis Zghva" ("Phasianum mare"), which we meet on the European maps of the 16th-17th centuries (A. Ortelius, G. Sanson). Pasiani and Kolkheti are the synonymous notions. By these names of the Black Sea, the Kolkh universe was reflected in the myths, the ancient literature and culture.

In the most important period of Georgian history, appears also the "Sea of Georgians". We meet it in Persian anonymous (10th) the most popular in that time "Hudud al Alam" ("the Limits of the

World") in it in parallel with the "Byzantium Sea" several times is evidenced "Kartvelta Zghva" (the "Sea of Georgians"), that indicates to interest in the Black Sea and competition between Byzantium and Georgia. It is also noteworthy that "Kartvelta Zghva" is named so during the process of unifying of the feudal Georgia.

According to the Georgian and Armenian sources, "Kartvelta Zghva" corresponds with "Speris Zghva", which means the Iberian Sea. This name gives possibility to make a parallel with the Saspers, living on the Black Sea coast and Iberians.

As it is known, the Bagrationis, whose political interest in the Black Sea always existed, originated from Speri.

Appearing of "Lazta Zghva" and "Trapizonis Zghva" (10th-12th cc.) for mentioning of the Black Sea is also an important historic stage, when in the Trabzon region begins a separatist movement. Generally, "Lazta Zghva" replaced "Kolkhida Sea" as Lazeti replaced Kolkheti. Later on the European maps is evidenced "Megrelta Zghva" (the "Sea of Mingrelians"). It is known that they called Trabzon and its region "Megrelta Kvekana" ("Country of Mingrelians").

In the 16th-18th centuries, together with interest in history, revives the interest in the Black Sea, on the frescos of Svetitskhoveli begin to appear maritime themes and ships with sails.

In a manuscript of 1838, "Davitis Zghva" ("David's Sea") is connected with David the builder's victories and indirectly – to Trabzon policy, which becomes active at the very moment of unifying of feudal Georgia.

S-3949 ხელნაწერის შექმნის ისტორია

ქართული პალიმფსესტური ხელნაწერების ყველაზე დიდი რაოდენობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება და შინაარსობრივი და გრაფიკული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. პალიმფსესტური ხელნაწერების შესწავლამ გვიჩვენა, რომ პალიმფსესტის ქვედა ფენაში ხშირად რამდენიმე სხვადასხვა ხელნაწერის ნაწილი დასტურდება.

ამ მხრივ საინტერესოა S-3949 პალიმფსესტი. ხელნაწერი კონდაკს წარმოადგენს და XVI საუკუნით თარიღდება. ის მცირე მოცულობისაა, სულ 72 ეტრატის ფურცლისაგან შედგება. პალიმფსესტური ფურცლების ამოკითხვისა და იდენტიფიკაციის შედეგად S-3949 ხელნაწერის ქვედა ფენაში ხუთი სხვადასხვა ხელნაწერი გამოიყო.

ამ ხუთი ხელნაწერიდან ორი საგალობელთა უძველეს კრებულს – იადგარს წარმოადგენს. ორივე მათგანის გადამწერს სპეციფიკური წერის მანერა ახასიათებს. განსაკუთრებით საინტერესოა S-3949-1 ხელნაწერი, რომელიც ნაწერია მსხვილი, გრძელი, არათანაბარი, მარჯვნივ დახრილი არაკალიგრაფიული ნუსხურით, პერიოდულად ნუსხურის ნაცვლად გვხვდება ასომთავრული გრაფიკა. პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, ხელნაწერს X საუკუნით ვათარიღებთ. X საუკუნითვე თარიღდება S-3949-2 იადგარიც, რომელიც მცირე ზომის დახვეწილი, თანაბარი ნუსხური გრაფემებით არის დაწერილი. ტექსტი შეიცავს იოანე მინჩხის საგალობელს ხორციელის შაბათის დღისათვის.

საინტერესოა მესამე პალიმფსესტური ხელნაწერი S-3949-3, რომელიც სულ 7 ფურცლით არის შემორჩენილი. ხელნაწერი წარმოადგენს ოთხთავის ფრაგმენტს და XI საუკუნით ვათარიღებთ.

პალიმფსესტის მეოთხე და მეხუთე ხელნაწერები მთლიანად გადარეცხილია, ამიტომ მათი რაობის დადგენა ვერ ხერხდება, მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა გახდა შესაძლებელი.

ამდენად, ხელთა გვაქვს XVI საუკუნეში გადაწერილი კონდაკი, რომლის ქვედა ფენაში ხუთი ხელნაწერი გამოვლინდა. სამწუხაროდ, S-3949 ხელნაწერის გადამწერი და გადაწერის ადგილი უცნობია, ამიტომ არ ვიცით, სად და რა ვითარებაში გაერთიანდა ხუთი სხვადასხვა ხელნაწერის ნაწილი ერთ წიგნში. შუა საუკუნეების მწიგნობარნი ახალი ხელნაწერი წიგნის შესაქმნელად უმეტესად იყენებდნენ ისეთი ტექსტების შემცველ ხელნაწერებს, რომლებიც იმ დროის ლიტურგიკულ პრაქტიკას უკვე აღარ შეესაბამებოდა. როგორც ცნობილია, X-XI საუკუნეებში იერუსალიმური ტრადიციიდან ქართული ეკლესია თანდათან კონსტანტინოპოლურ წესზე გადავიდა. საჭირო იყო ახალი საღვთისმსახურო რეპერტუარის შექმნა. რთულია იმის განსაზღვრა, თუ რატომ აღმოჩნდა ერთად იადგარისა და ოთხთავის ტექსტები მეორად ხელნაწერებად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ხელნაწერები იმ დროისთვის უკვე დაზიანებული და დაშლილი იყო და თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებდა. ამიტომ მასალის არქონის გამო ხელნაწერის ფრაგმენტები პრაქტიკული დანიშნულებისთვის – ახალი ხელნაწერის შესაქმნელად გამოიყენეს.

Khatuna Gaprindashvili

National Centre of Manuscripts

THE HISTORY OF CREATION OF S-3949 MANUSCRIPT

The largest number of Georgian palimpsests is kept at the National Centre of Manuscripts and is characterized by content and graphic diversity. Studying of the palimpsests has shown that in the lower

layer of the palimpsests there are often maintained several different parts of different manuscripts.

In this case our interest is focused on the palimpsest S-3949. The manuscript is Kontakion and is dated to the 16th century. The palimpsest is small; the number of folia is 72. As a result of deciphering and identifying of the text there are visible five different manuscripts in the undertext.

Among these five manuscripts two palimpsests of them are the oldest – Iadgari (Collection of Chants). The scribes of these two manuscripts had typical style of writing. The most interesting is S-3949-1 palimpsest, which is written in large, irregular Nuskhuri graphemes with long descenders, inclined to the right, Asomtavruli script is used sporadically. By paleographic characteristics the manuscript is dated to the 10th century. The palimpsest S-3949-2 Iadgari, which is written in regular, refined, small-size Nuskhuri graphemes, also dates to the 10th century. The deciphered text is Chant for Saturday before the Lent by Ioane Minčxi. The third palimpsest S-3949-3 is kept by only 7 parchments. The palimpsest is a part of Four Gospels and dates to the 11th century. The fourth and fifth fragments of the palimpsest are entirely washed off, only several words and graphemes are visible, thus it seems impossible to decipher and identify the text.

So, we have a Kontakion dated to the 16th century with five manuscripts revealed in the lower layer. Unfortunately, the scribe and the place of copying of the manuscript S-3949 is unknown; so, we do not know where and in what way these five different manuscripts were united in one book. The medieval scribes mainly used the manuscripts containing the texts which were archaic and no longer relevant for the liturgical practice of that time. It is known that in the 10th-11th centuries Georgian Church had been gradually changed from the Jerusalem tradition to the Constantinopolical rules and creation of a new repertoire of the liturgy was necessary. It is difficult to determine why the texts of Iadgari and Four Gospels were used together as

a secondary manuscript. It can be assumed that these manuscripts were already damaged and disbanded for that time and could not fulfill their function. Due to the lack of materials the manuscript fragments were used for the practical purpose – for creating new manuscript.

ია გრიგალაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წმინდა ნინო და უფლის კვართის ისტორია

(ქართული ფოლკლორული და ლიტერატურული წყაროების მიხედვით)

ქართული საეკლესიო და ლიტერატურული ტრადიციის მიხედვით, მცხეთელ ჰურიებს – ელიოზსა და ლონგინოზ კარსნელს – იესოს ჯვარცმის შემდეგ მისი კვართი მცხეთაში ჩამოუბრძანებიათ. ერთი ქართული თქმულების მიხედვით კი, რომელიც ორი წლის წინ ჩავიწერე, მცხეთაში შემოსვლამდე კვართი მცხეთელ ებრაელებს სოფელ კარსანში, ქვის ნიშზე დაუბრძანებიათ რამდენიმე დღის განმავლობაში. უამრავი მორწმუნე მოდიოდა კვართის თაყვანსაცემად და იღებდა მადლსა და კურნებას. სოფელ კარსანში, ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხევის წინ, ამ ადგილას ქვასვეტია აღმართული. ქართული ფოლკლორული წყარო იმითაც არის საინტერესო, რომ ის ავსებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ იმ ეპიზოდს, სადაც უნდა იყოს ნაჩვენები, თუ რა გზა გაიარა კვართმა, ვიდრე მას წააბრძანებდნენ მცხეთაში და გულში ჩაიკრავდა ელიოზის და.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ავტორები მოგვითხრობენ, რომ წმინდა ნინო ბავშვობიდანვე განსაკუთრებით დაინტერესებულა უფლის კვართის ისტორიით. როგორც კი გაუგია მისი მცხეთაში ჩამობრძანების ამბავი, მაშინვე აღძვრია სურვილი, მალე ენახა ქვეყანა, სადაც სიწმინდე ინახებოდა. სწორედ უფლის

კვართისადმი განსაკუთრებული მოწიწებისა და მისი ნახვის გამძაფრებული სურვილის გამო, წმინდა ნინომ თვით ღვთისმშობლისაგან მიიღო დავალება, ქრისტიანობა ექადაგა ქართველებისათვის. მიუხედავად დიდი საშიშროებისა, რომლის წინაშეც იყო წმინდა ნინო წარმართთა ქვეყანაში, იგი გამხნევდა ღვთისმშობლის გამოცხადებითა და ვაზის ჯვრის მეოხებით, და წარმატებით შეასრულა მისია. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, კაბადოკიელმა ქალწულმა იცოდა ადგილი, სადაც კვართი იყო დაფლული, თუმცა, საიდუმლოდ შეინახა და არ გაამჟღავნა, რადგან არ იყო დრო მისი გაცხადებისა. ქართულ სამეცნიერო წრეებში გაზიარებულია თვალსაზრისი უფლის კვართის სვეტიცხოველში დაფვლის თაობაზე. სოფელ კარსანში, ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხეველის წინ აღმართული რვაწახნაგა ქვასვეტი მოწმობს, რომ უფლის კვართის შემობრძანების ისტორია ხალხის მეხსიერებას ბოლო დრომდე წმინდად შეუნახავს.

Ia Grigalashvili

Tbilisi State University

ST. NINO AND THE HISTORY OF THE HONORABLE ROBE OF CHRIST

(According to Georgian Folk and Literary Sources)

According to Georgian ecclesiastical and literary tradition Hebrews from Mtskheta – Elioze and Longinoz from Karsan – after the crucifixion Jesus' robe brought to Mtskheta. According to a Georgian folk legend that I'd written down two years ago, before visiting to Mtskheta, Hebrews from Mtskheta brought the Honorable Robe to the village Karsan and laid it for a few days on the stone. A lot of believers visited, worshipped it and received mercy and curing. In the village Karsan, in front of the altar of the Virgin church on this place is erected a stone pillar. Georgian folk source is noteworthy to men-

tion because it fills the gap in the text of "Conversion of Kartli" where should be shown the way of the Honorable Robe before it had been snatched by the sister of Elioz.

As the authors of the "Life of St. Nino" tell us St Nino was especially interested in the history of the Honorable Robe since childhood. As she heard how it had been brought to Mtskheta, she desired to visit the country where the sanctity had been kept. For the very special awe towards the robe she received the task from Virgin Mary to preach the Christianity among the Georgians. In spite of the danger that existed in the country of the pagans St. Nino was encouraged by Virgin Mary through the revelation of virgin Mary and the cross of vine. So she could fulfill the mission successfully. According to "Conversion of Kartli" virgin from Cappadocia knew the place where the robe had been buried but she kept the secret because it wasn't the time to announce it. Among Georgian scholars is shared the opinion about the Honorable Robe that is preserved in Svetitskhoveli Cathedral, in Mtskheta. In the village of Karsan in front of the altar of the church is erected a stone pillar with the form of octagon that confirms that the history about bringing the robe has been purely kept in the memory of the people until recently.

ქეთევან გვაზავა

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

თეოსტიკა და მკითხველის (მსმენელის) მიმართების ლოგიკისათვის

(ქრისტიანული ჰერმენევტიკის პრინციპების მიხედვით)

მოხსენებაში განხილულია საღმრთისმეტყველო ხასიათის ტექსტებისა და მკითხველის (მსმენელის//აღმქმელი სუბიექტის) მიმართების საკითხები როგორც ბიბლიური ალეგორისტიკის, ისე ავგუსტინესეული ჰერმენევტიკისა და აღმოსავლურ-ქრის-

ტიანული ეგზეგეტიკური ტრადიციების მიხედვით; გამახვილებულია ყურადღება ქრისტიანულ სემიოლოგიაზე, როგორც ბიბლიური სახისმეტყველების მოდუსზე ყველა ტიპის საღმრთისმეტყველო ლიტერატურისათვის; მითითებულია მკითხველის მიერ ამ ტექსტების როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ განზომილებაში (ჯვარსახოვნება) განხილვის აუცილებლობა.

მოხსენებაში მინიშნებულია საღმრთისმეტყველო ტექსტების სახისმეტყველების მკვეთრი ესთეტიკურობა, მისტიკურობის გამოხატვის ენობრივი პოტენციალი, ირაციონალიზმი, საკრალური ტექსტების ენიგმურობის შემეცნების საკითხი.

განსაკუთრებით ხაზგასმულია ნეტარი ავგუსტინესეული ქრისტიანული ჰერმენევტიკის თეორიული საკითხები; მოხსენებაში აქცენტირებულია ტექსტთან მკითხველის (მსმენელის// აღმქმელი სუბიექტის) მიმართების არა მხოლოდ თეოლოგიურ-შემეცნებითი ან ესთეტიკური, არამედ ანთროპოლოგიური მოდუსიც, როგორც მკითხველის (მსმენელის) პიროვნული იდეალის წვდომის, ფსიქოლოგიური თვითრეალიზაციის შესაძლებლობა.

ტექსტის აღმქმელი სუბიექტი უნივერსუმის ნაწილია, ასე გრძნობს იგი თავს და სწორედ ამის კვალობაზე საცნაურდება/საცნაური ხდება მასში შესამეცნებელი ობიექტის – ღმრთაებრივი არსის – მასშტაბი. საღმრთისმეტყველო თხზულებების შემეცნებისას მკითხველს სამყაროსთან ჰარმონიზების, ერთიანობის განცდა ეუფლება, რომელიც აჭარბებს საკუთარ პერსონალურ ამოცანებს. მკითხველი (მსმენელი) ღმრთის შემეცნებისა და, იმავედროულად, თვითშემეცნების რთულ პროცესში თავადაც რეალიზდება სარწმუნოებრივადაც და ფსიქოლოგიურადაც; ხატოვანება, მეტაფორულობა, „მნელოვან“ პასაჟთა ესთეტიკური ინტერპრეტაციები და ალეგორიზმი მკითხველისათვის არა მხოლოდ თავისთავადი მხატვრული და ჰერმენევტიკური ღირებულებისანი გამოდიან, არამედ ფსიქოლოგიური და შემოქმე-

დებიტი ზრდის მოტივატორებიც. თუმცა, მოხსენებაში ხაზგასმულია ისიც, რომ ქრისტიანული ეგზეგეტიკის განვითარების კვალობაზეც აშკარაა, რომ ტექსტის სათქმელის, შინაარსის შემეცნებითი, ლოგიკური და ეთიკური ამოცანები ცხადად დომინირებს ესთეტიკურ პლასტზე და ის კონცეპტუალურია.

სადმრთისმეტყველო ტექსტების როგორც ქართულად თარგმნა-კომენტირების, ასევე სასულიერო ჟანრების ორიგინალური თხზულებებისა და მათი მკითხველის (მსმენელის) მიმართების ლოგიკა განსაზღვრულია და ეყრდნობა ქრისტიანული დოგმატიკის, ალეგორისტიკისა და ეგზეგეტიკის პრინციპებს და თვისებრივად განსხვავდება ტექსტისა და მკითხველის სხვა ეპოქისეული (ვთქვათ, პოსტმოდერნისტული) გააზრებებისაგან.

Ketevan Gvazava

Tbilisi Theological Academy and Seminary

FOR THE LOGIC RELATION BETWEEN THE TEXT AND THE READER (LISTENER)

(According to the principles of Christian hermeneutics)

The report deals with the issues related to the theological texts and the reader (reader/perceiving subject) according to the biblical analogy and Augustine's hermeneutics and Eastern-Christian exegetical traditions; it emphasizes the importance of Christian semiology as the model of the biblical texts for all types of theological literature; it is indicated for the reader, necessity to discuss these texts in both horizontal and vertical dimensions (Cross shape);

The report presents a sharp aesthetics Tropology (Image Language) of the theological texts, the linguistic potential of expression of mysticism, irrationalism, the issue of the enlightenment of the highly significant sacred texts;

Especially is emphasized the theoretical issues of the Blessed Augustine's Christianhermeneutics; The report emphasizes not only theological-cognitive or aesthetic, but also anthropological modeling of the reader (reader/the subject of the recipient), as well as the possibility of access to psychological self-realization of the individual's ideal of the reader (listener); Especially is emphasized the theoretical issues of the Blessed Augustine's Christian hermeneutics; The report emphasizes not only theological-cognitive or aesthetic, but also anthropological modeling of the reader (the subject of the recipient), as well as the possibility of access to psychological self-realization of the individual's ideal of the reader (listener); Perceiving subject of the text is a part of the universe, feels like it and it is well understood that the scope of the divine essence. In the knowledge of the theological works, the reader has a sense of harmony and unity with the universe, which exceeds the personal tasks. The reader (listener) during the difficult process of Cognition of God and self-knowledge will be personally realized religiously and psychologically; Aesthetic interpretations and allegory of quot; hard texts quot; and quot; metaphorical quot; passages are not only a value for the readers, but also it helps to raise psychological and creative motivation skills. However, the report emphasizes that even the development of the Christian exegetic is evident in the fact that the content of the text, the cognitive, logical and ethical tasks are clearly dominates on the aesthetic plastics and it is conceptually. Theological texts translated-commented, as well as original compositions and their religious genres and their reader (listener) relation is defined and determined based on the Christian religion, and is based on the principles of Dogmatics, allegorists, exegetic and are qualitatively different from the other texts and reader-era (we may say postmodern) conceptualizing.

**იოანე იტალოსის გასამართლების ნამდვილი და
ბაცხადებული მიზეზები: შეშფოთების მეთოდი და
მწვალებლობა**

ამ მოხსენებაში განვიხილავ იოანე იტალოსის წინააღმდეგ შემდგარი კრების /სასამართლოს გადაწყვეტილებებს და ამ სასამართლოს ზოგად ისტორიულ-მსოფლმხედველობით კონტექსტს. იოანე იტალოსი კონკრეტული მწვალებლური შეხედულებებისთვის გაასამართლეს და თავიდან მისი ეს შეხედულებები და შემდეგ კი თავად იტალოსიც ანათემას გადასცეს. ეს ანათემები მართლმადიდებლობის ზეიმის კვირის ლიტურგიკულ ტექსტებშიც კი შევიდა. ჩემი მოხსენების მიზანი იქნება ვაჩვენო, რომ იტალოსის ერეტიკოსად გამოცხადება და მისი აზროვნების დაკავშირება კონკრეტულ ქრისტიანულ-თეოლოგიურ მწვალებლობებთან ხელოვნური და ნაძალადევი იყო და უფრო საბაზად გამოყენებული, მაშინ, როცა ნამდვილი მიზეზი იყო იტალოსის ფილოსოფიურ-დიალექტიკური მეთოდი ნებისმიერი ფილოსოფიურ-თეოლოგიური საკითხის შემეცნებაში. ეს მეთოდი ჩათვალა იმპერატორმა და მისმა დაახლოებულმა პოლიტიკურ-რელიგიურმა ელიტამ სახიფათოდ და მწვალებლობასთან იტალოსის ხელოვნურად დაკავშირებაც ამ ხიფათის მოსაგერიებლად მოახდინეს. ნიშანდობლივია, რომ იოანე პეტრიწი, რომელიც სავსებით შესაძლებელია იტალოსის უშუალო სტუდენტი ყოფილიყო, სწორედ ამ მეთოდის გადარჩენას და განვითარებას ცდილობს გელათის სკოლაში. დიალექტიკურ მეთოდთან დაპირისპირებას და იტალოსის ფილოსოფიური სკოლის დახურვას ცივილიზაციური მნიშვნელობაც ჰქონდა ბიზანტიის ინტელექტუალურ-სულიერი კულტურისა და პოლიტიკისთვის.

Levan Gigineishvili

Tbilisi State University

**REAL VS DECLARED REASONS OF JOHN ITALUS' TRIAL:
METHOD OF COGNITION AND HERESY**

In this presentation I shall deal with a trial/council held against John Italus' under the background of the general historical-intellectual context of this trial. John Italus was condemned for his concrete heretical ideas. First those ideas and then Italus himself were anathematized. Those anathemas have entered Orthodox liturgical texts read during the Feast of Orthodoxy, just before the period of the Lent. The aim of my presentation is to show that condemnation of Italus as a heretic and linking of his thought to a concrete Christian-theological heresy was haste and biased, rather used as a pretext, whereas the real reason was Italus' philosophical-dialectical method. This method was regarded by the Emperor and the political-religious elite close to him as dangerous. Linking artificially of Italus with known heresies was aimed at neutralization of this danger. Interestingly, Ioane Petritsi, who could have been Italus' direct student, tried to rescue and develop exactly this method in Gelati school. The state opposition against the method of dialectics and closure of Italus' philosophical school in Constantinople, could have a civilizational significance for both the Byzantine intellectual-spiritual culture and Byzantine politics.

მარინე გიორგაძე ნუგზარ მგელაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს შავიზღვისპირა სოფლები კონტოელი ბერძენების დასახლებისა და ბანსახლების ისტორია და სტატიისტიკა

საქართველოს შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აჭარაში მცხოვრები ბერძნულენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მცირე აზიის ბერძენთა შთამომავალია. კავკასიაში ბერძენთა მიგრაცია სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიმართულებისა და შინაარსის იყო. ანატოლიელი ბერძენების მიგრაციას საქართველოს შავიზღვისპირეთში, სოციალურ-პოლიტიკურთან ერთად, ოსმალეთში განვითარებული რელიგიური პროცესებიც განაპირობებდა. ამასთან, საქართველოში ბერძენთა მიგრაციის მიზეზები ერთგვაროვანი არ ყოფილა.

ბერძენთა კომპაქტურ დასახლებებში – სოფლის უბნებში დასახლების ყველაზე მცირე ტერიტორიულ-სოციალურ უჯრედს საკარმიდამო კომპლექსი წარმოადგენდა, რომელიც მეზობლად მცხოვრები ეთნიკური გაერთიანებების, პირველ რიგში, ქართველთა აჭარული ეთნოგრაფიული გაერთიანებების ანალოგიურად, შედარებით მაღალი სტრუქტურული დონის გაერთიანებებს – უბანს, სოფელს, სოფელთა ჯგუფს, ტერიტორიულ ერთობას და ამ ერთობათა კავშირს წარმოქმნიდა.

აჭარის ზღვისპირეთში ბერძნული დასახლებები გვხვდება სოფლებში: ახალშენში, ყოროლისთავში, ფერიაში (ხელვაჩაური), დაგვაში, კვირიკეში, აჭყვაში (ქობულეთი), ქალაქებში – ბათუმსა და ქობულეთში. ზღვისპირა ქალაქების, დაბებისა და მახლობელი სოფლების გარდა, ბერძენები აჭარის მთიანეთშიც მკვიდრდებოდნენ.

კონტოელმა ბერძენებმა საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ფასეულობები ჩამოიტანეს, რაც

ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში, სამეურნეო ყოფაში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში, დარგობრივ ლექსიკაში გამოიხატა. დროთა განმავლობაში, საქართველოს შავიზღვისპირეთში – ქართულ ეთნიკურ გარემოში ბერძნულმა დიასპორამ საკუთარი კულტურა განავითარა და, შესაბამისად, ადგილობრივ გარემოზეც გავლენა მოახდინა. ამასთან, კულტურული თვალსაზრისით, ბერძნებმა ადგილობრივთაგან ბევრი რამ შეითვისეს.

Marine Giorgadze

Nugzar Mgeladze

Batumi State University

PONTIC GREEKS OF THE BLACK SEA VILLAGES OF GEORGIA: SETTLEMENT AND MIGRATION HISTORY AND STATISTICS

A certain part of the Greek-speaking population living in the Black Sea region of Georgia, especially Adjara, is a descendant of the Asia Minor Greeks. The migration of the Greeks in the Caucasus was of different directions and content in different periods. The migration of the Anatolian Greeks in the Black Sea region was due to religious processes in the Otomman Empire as well as socio-political processes. Therewith, the reason for migration of Greeks in Georgia was not heterogeneous.

In this context, Batumi was especially distinguished. Here, the commercial and industrial type of the city appears rather late from the second half of the 19th century. Many of them even sold their ancestral homes to move to cities and improve their living conditions. The group of migrants who settled in Ajara, in the territories near Batumi, has made significant changes to the ethnic portrait of Georgia. The Pontic Greeks brought historically developed cultural values to Georgia, which were reflected in the system of traditional and social

relations, economic life, material and spiritual culture, sectoral vocabulary. Over time, the Greek diaspora developed its own culture in the Georgian ethnic environment and, accordingly, influenced the local environment from the point of view of culture. The Greeks also learned a lot from the locals.

თამარ გოგოლაძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**„უცხოობაში გათხოვილი ქალი“ მარიამ (მართა)
დედოფალი**

**(კ. გამსახურდიას რომანში „დავით აღმაშენებელი“ –
მხატვრული სახე და ისტორიული რეალობა)**

1. კ. გამსახურდიას ისტორიული რომანი-ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“ XX საუკუნეში მხატვრული ტექსტის ისტორიულ რეალობასთან მიმართებაში არაერთგზის გამხდარა მკვლევართა შესწავლის ობიექტი. წინამდებარე ნაშრომში შევეხებით მხოლოდ მეფე დავით აღმაშენებლის დიდი მამიდის, მარიამ დედოფლის, სახის წარმოჩენას რომანისტის ოსტატობით ისტორიულ რეალობასთან კონტექსტში ერთი ქვეთავის (I წ., თავი 13) ინფორმაციული მიმოხილვის საფუძველზე;

2. „ქართლის ცხოვრებასა“ და თვით ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომში საკმაოდ მწირი მასალა მოიპოვება მეფე ბაგრატ IV-ის ასულზე, რომელიც გაათხოვეს ბიზანტიაში, სამეო კარზე და რომლის ბედიც მჭიდროდ გადაეჯაჭვა ბიზანტიის პოლიტიკურ მოვლენებს; თუმცა მისი როლი ისტორიული თვალსაზრისით არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი მიმდინარე პროცესებში. მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, გიორგი მთაწმინდელის ცნობილი ფრაზა თეოდორა დედოფლის გარდაცვალებისას – „უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ „დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“, უნდა გამხდარიყო ამოსავა-

ლი ისტორიული რომანის დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიასათვის არა მარტო ერთი ქვეთავის შესაქმნელად, არამედ ბევრ ეპიზოდში ქართველი მეფის ასულის მხატვრული სახის გაშლისათვის, რამდენადაც, თუ ისევ ივანე ჯავახიშვილს დავემოწმებით, სწორედ ბაგრატონ მეფესთან ბიზანტიის კეისრის დამოყვრებას საქართველოსათვის „მშვიდობიანობა და მყუდროება“ უნდა მოეტანა;

3. მეცამეტე თავში პირველად შემოდის მართა დედოფალი (რომანში იგი მარიამად არის მოხსენებული) და აქვე წარმოდგენილია საკმაოდ ტევადი ინფორმაცია მის შესახებ, რომელიც მხატვრულად, მწერლის ფანტაზიით, იპყრობს მკითხველის ყურადღებას მთელი ტეტრალოგიის მანძილზეც;

4. ისტორიკოსთა თუ ლიტერატურათმცოდნეთათვის მარიამ (მართა) დედოფლის ეპიზოდური სახე ერთგვარად ტიპურ და საინტერესო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ისტორიის პოლიტიკური პერიპეტეიების ფონზე, რისი მცდელობაც არის წარმოდგენილი ჩვენს წინამდებარე სტატიაშიც.

Tamar Gogoladze
Gori State University

**"THE WOMAN MARRIED IN A FOREIGN COUNTRY"
QUEEN MARY (MARTHA)
(K. Gamsakhurdia's novel "David the Builder" -
Artistic Image and Historical Reality)**

1. K. Gamsakhurdia's Historical Novel – Tetralogy "David Aghmashenebeli" has become several times the object of study of researchers in the context of the historical reality in the fictional texts in the XX century. In this work we will refer only to the type of a grand aunt of the King David the Builder, Mariam the Queen, on the basis of the information review of one of the subjects (Chapter 13, Chapter 13) in the context historical reality;

2. In "Kartlis Tskhovreba" and in the II Volume of Georgian Nation History by Ivane Javakhishvili rather small amount of material is found about the daughter of King Bagrat IV, who was made to get married by force in the royal court in Byzantium and whose fate was closely tied to Byzantine political events. However, her role from the historical view did not appear to be important in the ongoing process, but we suppose that George Mtatsmindeli's famous phrase concerning Theodora the Queen's death, "call all that as the Queen went out and the Queen entered" could have become the starting point for a historical novel by Konstantine Gamsakhurdia for creating not only one subchapter but also for the entry and development of the king's daughter's character. If we relay Ivane Javakhishvili knitting family ties between the King Bagrationi and the Byzantine emperor had to establish "peace and calm";

3. In the thirteenth chapter, Martha the queen is mentioned for the first time in the novel (she is mentioned as Mary in the novel) and very complex information about her is presented, artistically written by the writer's imagination, draws the reader's attention throughout the whole tetralogy;

4. For the historians or literary scientists the character of Queen Mary (Martha) should be considered as a typical and interesting event in the background of the political periphery of the history of Georgia, which is also presented in our present article.

ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საქართველოს საკითხით დაინტერესება ევროპის
უწყებებში მე-15 ს-ის 60-70-იან წლებში**

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე XV საუკუნეს გარდამტეხი მნიშვნელობა ენიჭება. XII-XIII საუკუნეების მცირე აზიის ერთ-ერთი მოწინავე საქართველოს სა-

მეფო, XV საუკუნის ბოლოს დაიშალა სამეფო-სამთავროებად. ყოველივე ეს განპირობებული იყო როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარებით, ისე საგარეო ფაქტორებით. XV საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში მომხდარმა მოვლენებმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს სამეფოზე. 1453 წლის 29 მაისს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს. ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. კონსტანტინოპოლის დაცემით საქართველო მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვაში მოექცა. ოსმალეთის საშიშროების ზრდასთან ერთად, საქართველოსთვის, ცხადია, მის წინააღმდეგ ბრძოლა უმთავრეს ამოცანად იქცა. XV საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება დიდი ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა, რომის პაპის, პიუს II-ის თაოსნობით. კოალიციაში მონაწილეობის მიღებას აპირებდნენ ქართული სამეფო-სამთავროებიც. ამ მიზნით საქართველოში ჩამოვიდა რომის პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი. ქართველმა პოლიტიკოსებმა პაპის ლეგატს გააყოლეს ელჩები ევროპაში, რათა ისინი გაცნობოდნენ პოლიტიკურ ვითარებას და მზადყოფნა გამოეთქვათ ოსმალებთან ბრძოლისათვის. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა საბოლოოდ მარცხით დამთავრდა.

Otar Gogolishvili

Batumi State University

INTEREST TOWARDS GEORGIA IN THE EUROPEAN COUNTRIES IN THE 60-70S OF THE 15TH CENTURY

Throughout centuries-old history of Georgian nation the critical importance is attributed to the XV century. At the end of the XV century one of the leading kingdoms of Georgia of the XII-XIII centuries Asia Minor collapsed and turned to the kingdom and principalities. All of the aforesaid was stipulated both by country's internal political condition and external factors. In the second half of the XV

century the events taken place in the world had significantly influenced on the kingdom of Georgia. In May 29, 1453 Osmal people captured Constantinople. Byzantine Empire does not any more exist. Fall of Constantinople stipulated Georgia to be surrounded by Muslim countries. Together with the increase of danger of Osmal nation it is obvious that fight against them became the principal task for Georgia. Since the 50s of the XV century began attempt of establishment the great antiosmal coalition lead by Pope Pius II. Georgian kingdom and principalities also were going to participate in the coalition. For this purpose, the ambassador of Pope Louis from Bologna arrived in Georgia. Georgian politicians sent ambassadors to Europe with the legate of pope, in order to be aware about political condition and express their readiness for the fight with Osmal nation.

თამილა დავითაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მახვილის კულტი შუასაუკუნეების სარაინდო რომანებში

შუა საუკუნეების სარაინდო რომანებში ინტერესი მახვილისადმი, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქრისტიანული სიმბოლოსადმი, განსაკუთრებულია. რაინდის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი და სიმბოლო ცხენთან ერთად, სწორედ მახვილი გახლავთ. შუა საუკუნეებში მრავალი ლეგენდა შეიქმნა მახვილის შესახებ, რომლებიც სხვადასხვა ხალხის გადმოცემას ეყრდნობა. გადმოცემებში მახვილი ხშირად სულიერი სახითაა წარმოდგენილი და საკუთარი სახელიც კი აქვს. მაგალითად, ბეოვულფის მახვილი ჰრუტინგი, როლანდის მახვილი დურენდალი, კარლოს დიდის – ჟუაიეზი, ლეგენდარული მეფის, არტურის მახვილი ექსკალიბური. მოხსენებაში საუბარია მახვილის როლსა და დანიშნულებაზე, რომელიც ერთგვარი სიმბოლოა

რაინდობის, სუსტთა და უძლურთა დახმარების. მახვილი განხილულია ასევე, როგორც სხვადასხვაგვარი სიმბოლო.

Tamila Davitadze
Batumi State University

THE CULT OF SWORD/SPEAR IN THE MEDIEVAL NOVELS

Medieval novels demonstrate special interest towards the spear as to one of the significant symbols of Christianity. One of the most important attributes and symbols of the knight is the spear and the horse. A lot of legends were made up about the spear in the middle ages based on peoples' tales. There are cases when the spear is taken as an animate concept having the name as well, for example, in Beowulf it is called Hrutung, Rolald's spear Durendal, Carlos the Great's Joyeuse, the sword of King Arthur Excalibur. The present work deals with the role and importance of the sword that is the specific chain connecting chivalry and protection of the weak and feeble. The spear is discussed through different symbols in the research work.

ელისო ელიზბარაშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

ლემენდა იმპერატორ მაგრიკოსის სიკვდილის შესახებ და მისი ინტერპრეტაციები

მოხსენება ეხება ბიზანტიის იმპერატორ მაგრიკოსის (582-602) ტრაგიკული აღსასრულის იმ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, რასაც გვაწვდიან, ერთი მხრივ, ისტორიული, ხოლო მეორე მხრივ ჰაგიოგრაფიული ტექსტები. მაგრიკოსი, რომელიც

სირიის ეკლესიის მიერ წმინდანად მიიჩნევა, 602 წლის 27, სხვა ვერსიით 22 ნოემბერს, მოკლეს აჯანყებულებმა, რომელთაც მეთაურობდა უზურპატორი ფოკა . მისი მეფობის ხანის შესახებ ისტორიულ ცნობებს გვაწვდის თეოფილაქტე სიმოკატა (Θεοφύλακτος Σιμοκάττης), VII საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი, რომელიც ჰერაკლე კეისრის მეფობის პერიოდში (610-641) ცხოვრობდა და, შესაბამისად, ის აღწერს არა მის თანამედროვე, არამედ წარსულ მოვლენებს. მეორე ისტორიკოსი, რომელიც მავრიკიოსის მეფობის შესახებ მოგვითხრობს, IX საუკუნეში მოღვაწე თეოფანე აღმსარებელია (Θεοφάνης Ὁμοιωγίτης), რომელიც, თავის მხრივ, წყაროდ თეოფილაქტეს „ისტორიას“ იყენებს.

ორივე ავტორი ისტორიული მოვლენების ქრისტიანულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, რაც ღვთის განგებას ეფუძნება. ამ ჭრილშია წარმოჩენილი მავრიკიოსის აღსასრულიც. კერძოდ, თეოფილაქტე სიმოკატა და თეოფანე აღმსარებელი იმპერატორის ტრაგიკული სიკვდილის მიზეზად მისსავე არჩევანს ასახელებენ: მან ამქვეყნიური სასტიკი სასჯელი არჩია იმქვეყნიურ ღვთის სასჯელს. შესაბამისი მონაკვეთები ისტორიოგრაფიულ თხრობაში გაჯერებულია ციტატებით წმინდა წერილიდან.

სირიულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში (პარიზი 309, fol. 313-317) ამბავი დრამატიზებულია ღვთაებრივი ინტერვენციითა და ცოდვით. კერძოდ, ანგელოზი მოველინება იმპერატორს და ამცნობს, რომ მხოლოდ მოწამეობრივი სიკვდილით შეუძლია მას იხსნას თავისი სული, რამდენადაც ის ცოდვითაა დამძიმებული. გარდა ამისა, ჰაგიოგრაფიულ ნარატივში მავრიკიოსს ცოცხლად წვავენ, თუმცა მას სინამდვილეში თავი მოკვეთეს მას შემდეგ, რაც იმპერატორის ექვსივე ვაჟი მის თვალწინ ასევე დასაჯეს სიკვდილით.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო მავრიკიოსის სასტიკი აღსასრული, არამედ მისი იმპერიის სათავეში მოსვლაც ღვთაებრივი ინტერვენციით, სასწაულით არის აღნიშნული, რაც

კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ამ ტრაგიკული ისტორიული პიროვნების ასოციაციურ კავშირს ღვთის განგებასთან.

Eliso Elizbarashvili

Ilia State University,, Institute of Oriental Studies

LEGEND ON THE DEATH OF THE EMPEROR MAURICE AND ITS INTERPRETATIONS

The different interpretations of the tragic end of the Byzantine emperor Maurice (582-602) has been discussed in the presented paper, provided on the one hand by the historical and on the other hand the hagiographical texts. Maurice, considered to be a saint by the Syrian Church, was killed by the rebels under the leadership of the usurper Focas on November 27, 602 or on 22 of November according to other versions. The historical source on his reign is provided by Theophylact Simacata (Θεοφύλακτος Σιμοκά ττης), a Byzantine historian of the 7th century, living during the reign of Heracles Caesar (610-641), and therefore relates not his contemporary, but past events. The second historian who refers Maurice reign period is Theophanes the Confessor (Θεοφάνης Ὁμολογητής) acting in the 9th century and his narration on Maurice is based on Theophylact's "Eccumenical History".

Both authors offer Christian interpretation of the historical events, which is based on divine providence. The end of Maurice is shown in this context too. In particular, Theophylact Simacata and Theophanes the Confessor relate the emperor's tragic death his own choice: he chose this worldly punishment in order not to be punished in afterlife. The relevant sections in the historic narratives are accompanied with quotations from the Holy Scripture.

In the Syrian hagiographic work (Paris 309, fol. 313-317) the story is dramatized by the divine intervention and sin. Namely, the

angel comes to the Emperor and informs him that only martyrdom can save his soul, as he is a sinner. Additionally, in the hagiographic narrative Maurice is burned alive, but actually he was beheaded after all of the Emperor's six sons were executed to death in the same way in front of him.

Finally, it should be noted, that not only the cruel end of Maurice, but also his assertion on the imperial throne is marked by the divine intervention, the miracle that further aggravates the associative union of this tragic historical person with divine providence.

ფატიმა ელოევა

ვილნიუსის უნივერსიტეტი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი

Fatima Eloeva

University of Vilnius, University of St. Petersburg

THE GOD'S FISH OR THE TOUCH OF DIVINITY (The reflexes of the fish cult in the Pontic tradition)

The paper aims to show how certain centripetal tendencies reflected in the syncretism of the Pontic folk orthodoxy contribute to elaborating the specific Pontic identity and Pontic myth.

The paper will investigate some reflexes of the existence of a particular kind of an ancient fish cult, which can be traced in the Balkans and especially in the context of Pontic tradition (Folk Orthodoxy). We aim to reconstruct the legend about the miraculous revival of fish reflected in different texts with varying subject matters. We will compare the Apocrypha associated with the Church of the Virgin of the Life-Giving Spring (Balykly) in Constantinople, the legend of the Lord's fish told by Alexander Kuprin in the story «Lestrigony» and a number of other texts.

Thus, the paper will examine a microscopic fragment of the syncretic picture of Pontic culture, trying to show the importance of this fragment for the analysis of typology of diasporic self-identity.

Obviously, this «fish revival story» is repeated many times in folklore, cf. Apocrypha that the archangel Gabriel animated a fish, fried in a frying pan and thus proved the truth of the good news of Annunciation.

It is possible that we are dealing here with some kind of fish cult (a more full version of which is preserved in the Karaman and Pontian traditions). In all stories the fish has spots, and these spots are associated with the touch of the divine hand. The revived fish, on the one hand, is sanctified by the divine touch and becomes the object of worship but at the same time turns poisonous and unfit for consumption. At the same time, it should be noted that its revitalization serves the purpose of persuading the incredulous listener.

ეკატერინა ენდოლტსევა

*აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,
მეცნიერებათა აკადემია, მოსკოვი*

Ekaterina Endoltseva

*Institute of Oriental Studies of
Academy of Science, Moscow*

ALTAR BARRIED IN DRANDA CHURCH: NEW FACTS AND FINDINGS

Numerous fragments of the altar barrier from Dranda church were recently discovered in several archaeological collections. The searches of the last 10 years permit to find them in three distinct collections that are based on the territory of Abkhazia. 7 fragments are stored in the funds of the Abkhazian State Museum (Sukhum). 5 fragments (some of them are identical to those that are in the Abkhazian State Museum) were discovered in the funds of the Archaeological Museum of Saint Metropolis of Abkhazia (New Athon) (<https://anyha.org/drandatwy-anyha-dekor-afragmentkua/>). The third part of the discovered artefacts is stored in the narthex of the Dranda

church. There were also two slabs from altar barrier with the figurative scenes (the enthroned Jesus amongst the angels approaching Him and Virgin Mary with Jesus in architectural decoration). The present location of the two slabs is unknown.

The detailed analysis of the two last collections provides interesting results. One new fragment with rare iconography was found in the collection from the New Athos. An iconographically quite rare scene of “the prophet Jonas devoured by the sea monster” is represented in series in a circular form in the cross section limestone block (it may have been a column’s base). It can be dated by the X century by its iconographical and stylistic features.

Another finding was made in the narthex of Dranda church. Two fragments of the slabs published by P. Uvarova (that are considered to be lost) were discovered there. One of them is a part of the angel’s wing from the slab with the enthroned Jesus amongst the angels. Another fragment is a part of the capital of column of the arcade that separates Jesus from the Virgin Mary on the second slab.

ირინე ვარშალომიძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ძნელაძე

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცული ბიზანტიური მონეტები

ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის შესწავლისას მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის თანადროული ნუმისმატიკური მასალა. ამ მხრივ საინტერესოა ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცული ბიზანტიური მონეტები, რომლებიც აქამდე გამოუქვეყნებელი იყო. სტატიაში წარმოდგენილია IV-XI სს-ით დათარიღებული არკადიუსის, იუსტინიანე I-ის, ბასილი I-ის, კონსტანტინე VII-ის, ირაკლისა და ირაკლი კონსტანტინეს, რო-

მანოზ I-ის, ლეონ VI-ის, ბასილი II-ის, კონსტანტინე VIII-ის, თეოდორას, ისაკ I-ის, კონსტანტინე X-ის, მიხეილ IV-ის მმართველობის დროს მოჭრილი 20 მონეტა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონეტათა ერთი ჯგუფის ქობულეთში აღმოჩენის ფაქტი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს კუთხე შედიოდა ბიზანტიური ფულის მიმოქცევის არეალში.

Irine Varshalomidze

Batumi State University

Nino Dzneladze

Archaeological Museum of Batumi

BYZANTINE COINS PRESERVED IN THE KHARITON AKHVLEDIANI MUSEUM

Simultaneous numismatic material provides important information in the study of Georgian-Byzantine relations. Interesting in this regard is the Byzantine coins preserved in the Khariton Akhvlediani Museum (Ajara Museum), which have not been published before. The article presents 20 coins dated to 4th-11th cc. cut during the reign of Arcadius, Justinian I, Basil I, Constantine VII, Irakli and Irakli Constantine, Romanoz I, Leon VI, Basil II, Constantine VIII, Theodora, Isaac I, Constantine X, Michael IV. Particularly important is the discovery of one group of coins in Kobuleti, which once again proves that this region was in the area of Byzantine money circulation.

ნათელა ვაჩნაძე

*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

ელენე გიუნაშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

ქართული - იმპერიათა შიჯახების სივრცე. VI საუკუნის ქართული და სასანური ირანი: რელიგიურ მიმართებათა ასპექტები

ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა ნათელს ჰვენს არა მხოლოდ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ისტორიას, არამედ ორი, იმ დროის უძლიერესი იმპერიისას – ბიზანტიის და სასანიანთა ირანისას, რომელთაც ქართლი (respicite: აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო) ძლიერი პოლიტიკური შეჯახებებისა და ხანგრძლივი ომების ასპარეზად აქციეს. სამწუხაროა, რომ ამ იმპერიების შესახებ არსებულ თანამედროვე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში, განსაკუთრებით სასანური ირანის რელიგიის და კულტურის ისტორიას რომ შეეხება, თითქმის არ გამოიყენება ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ისეთი ნიმუში, როგორცაა აბიბოს ნეკრესელის „წამების“, ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი ტექსტი ორი რედაქციით.

წამების ორსავე რედაქციაში დაცულია ცნობა, რომ სასანელნი „... ბილწსა მას კერპთმსახურებასა – ცეცხლისა მის თაყუანის-ცემასა და მსახურებასა – აღასრულებდეს მარადის“. ეს კიდევ არაფერი. ავტორი გასაოცარ წვდომას ავლენს მისგან დიდად დაშორებული ეპოქის – აქემენიდების ხანის (550-330 წწ. ძვ. წ-ით) ირანის რელიგიის საკითხებში, როდესაც აღნიშნავს, რომ სასანელთა იმპერიაში „ბაბილოვნურსა მას ჩუეულებასა“ მისდევდნენ, კერძოდ, „სადამე ოქროსა და სხუანი სხუასა რასამე და ოდესმე ცეცხლსა ჟამად-ჟამად“ ეთაყვანებოდნენ. ეს ყოველივე აქემენიანთა დინასტიის დამაარსებლის, კიროს II დი-

დის (600-530 წწ. ძვ. წ-ით) სახელს უკავშირდება, მის მიერ ბაბილონის დამხობას და შუამდინარეთის ძველი საკულტო ღვთაებების აღდგენას. სწორედ ბაბილონურმა ღვთაებებმა, მათ შორის მთავარმა – მარდუქმა – მოავლინა კიროს დიდი მსოფლიოს მპყრობელად, როგორც ერთ, აქადურ ენაზე შექმნილ ეპიგრაფიკულ ძეგლშია მოთხრობილი.

ქართული წყარო, კიროს დიდის წარწერასთან უნისონში, ნათლად ავლენს იმ აზრის უსაფუძვლობას, რომლის მიხედვით კიროს დიდის მიერ ბაბილონური ძველი საკულტო ღვთაებების განდიდება უნდა ჩაითვალოს მის პროპაგანდისტულ იდეად, როგორც ეს მიღებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც ამას თვლიდა მერი ბოისი, რომ კიროსის ქმედებები და მისი დამოკიდებულება სხვა (არაირანული) რელიგიებისადმი განპირობებული იყო უფრო დიპლომატიური პრაგმატიზმით, ვიდრე საკუთარი რელიგიის – ზოროასტრიზმის – დაგმობით. შეუძლებელია, ქართული წყაროს ავტორს, ღრმად მორწმუნე და ფრიად განსწავლულ ქართველ უმაღლეს იერარქს თავისი პირადი აზრი გამოეთქვა ესოდენ რთულ, მნიშვნელოვან და სათუთ პრობლემაზე. ეს აზრი, უთუოდ, ავტორის მიერ გამოყენებული უძველესი და სანდო წყაროდან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ.

Natela Vachnadze

*St. Andrew the First-Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia*

Helen Giunashvili

Ilia State University, Institute of Oriental Studies

**KARTLI: SPACE OF EMPIRES' CLASH
SIXTH CENTURY KARTLI AND SASANIAN IRAN: ASPECTS OF
RELIGIOUS INTERRELATIONS**

Georgian hagiographic writings elucidate political and religious history of the state of Kartli as well as of the two powerful empires – Byzantine and Iran, which made Kartli (respicite: Eastern Georgian Kingdom) the domain of political controversies and incessant struggles. It should be mentioned that, in scientific literature concerning cultural-religious issues of Sasanian Iran has not been considered up to the present the most distinguished and important source of that period „The Martyrdom of St. Abibos of Nekresi“ reached to us in two handwritten versions.

Both versions of "the Martyrdom" attest many passages on how "Sasanians eternally worshipped and served their evil idol-the fire." In addition, the author shows deep erudition in religions situation of Achaemenian epoch, when he mentions" due to Babylonian rites, they (worshipped) golden (idols) in ancient times, while others – (non-golden) deities". This is related to the name of the founder of the Achaemenian Empire, Cyrus II, the Great (600-530 BC) and his conquest of Babylon, restoration of the cult, reflected in the famous cylinder inscription in Akkadian. In the inscription Cyrus is proclaiming himself as the appointee of the Babylonian deities – Marduk.

The Georgian source together with the cylinder inscription of Cyrus confirm the idea that it could not be a pure propaganda. Cyrus's active benevolence towards the religions and deities of his non-

Iranian subjects could be more inspired by his diplomatic pragmatism than by any lack of personal religious conviction as supposed M. Boyce. The passages cited by the Catholicon in "the Martyrdom of Abibos" were undoubtedly based on the ancient and reliable source.

ანდრეი ვინოგრადოვი

ეკონომიკის უმაღლესი სკოლა, მოსკოვი

Andrey Vinogradov

Higher School of Economics (HSE), Moscow

ANAKOPIA A KEY POINT OF THE EASTERN BLACK SEA REGION

The report will highlight the insufficiently studied questions of the history of Anakopia, the center of the Abkhazian kingdom and the Byzantine theme.

1. Forms of the name and its etymology: all known forms of the name in Greek and Georgian sources are analyzed and a new hypothesis of the origin of the name Anakopia is proposed.

2. The role of Anakopia in the company of Merwan ibn Muhammad (Murwan Kru) and the legend of Mihr and Archil: the fictitious character of the legend of the Kartlian kings in Anakopia and their crowns is shown and the historical context of the appearance of this legend is reconstructed.

3. Was Anakopia the capital of the Abkhazian kings? The evidence on the status of Anakopia in the VIII – XI centuries is analyzed; it appears that the main source of information, Vakhushti Bagrationi, constructed the history of the capital of the Abkhazian kingdom.

4. The church status of Anakopia before and during the epoch of the Byzantine theme: the hypothesis of the transfer of the Archbishop of Abasgia from the desolate Sebastopolis the Great to Anakopia, and then, possibly, to Pitious is substantiated.

5. Stages of church construction in Anakopia and the dating of the church of St. Theodore: building stages in the church of St. Theodore are analyzed and new dates for its construction and reconstruction are proposed; the assumption of the construction of the church of St. Simon in 899 is justified.

ევგენი ზაბოლოტნი

მ. ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოსკოვი

Evgenii ZABOLOTNYI

M. Lomonosov State University, Moscow

"WHITE SYRIANS" IN PONTUS ACCORDING TO THE BYZANTINE AUTHORS

As is known, in the Greek geographical tradition the term Συρία had a few meanings. For instance, STRABO mentioned two areas with this name:

1) Syria bounded by Cilicia, Euphrates, Arabia Felix, Egypt and the Mediterranean Sea (what we call "Roman Syria");

2) Syria as a synonym of Assyria, which is in turn identical with Babylonia (sic!). Consequently, in this case it covered the whole of Mesopotamia (cf. Strabo, *Geographica* XVI 1-2, ed. A. Meineke, vol. 3 (Leipzig, 1877), p. 1026-1067).

What is more surprising, Strabo further supposed that "the name of the Syrians extended not only from Babylonia to the Gulf of Issus, but also in ancient times from this Gulf to the Euxine". Both tribes of the Cappadocians ("those near the Taurus and those near the Pontus"), had been called Λευκόσυροι, i. e. "White Syrians", in contrast to the "black" Syrians, who lived outside the Taurus (*Ibid.* XVI 1. 2, p. 1027). Λευκόσυροι / Λευκοσύριοι were described as indigenous inhabitants of some parts of Anatolia, including Cilicia, Cappadocia, Pontus.

In the whole, the genesis and exact meaning of this term often mentioned by Antique authors continue to be debated in contemporary scholarship. The question of White Syrians' origin (Iranian, Syro-Hittite, Anatolian or mixed forms) also has not been solved until our days. Besides, the term has a rich tradition of use in Byzantine geographical writings, especially in the works by STEPHANUS OF BYZANTIUM (VI c.) and EUSTATHIUS OF THESSALONICA († after 1095), as well as in the "*Scholia in Apollonium Rhodium*".

After comparing the Antique and Byzantine traditions, the paper will try to define geographical and, as much as possible, ethnical frameworks of Λευκόςσυροι / Λευκοσύριοι in the latter.

ლალი ზაქარაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით ანაღთი ქართულ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში

წინამდებარე მოხსენებაში გაანალიზებული იქნება გვიანი ანტიკური ხანის ნეოპლატონური სკოლის თვალსაზრისო წარმომადგენლის, დავით ანაღთის როლი კავკასიაში არსებული ფილოსოფიური ტრადიციების ფორმირების პროცესში. ამასთანავე, საგანგებო ყურადღება დაეთმობა დავით ანაღთის პიროვნებისა და შემოქმედების ანალიზს ქართულ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში და მოხდება მისი კომპარატივისტული განხილვა სომხურ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიასთან მიმართებაში.

**DAVID ANAGHT IN GEORGIAN PHILOSOPHICAL
HISTORIOGRAPHY**

The present paper will analyze the role of David Anaght, a prominent representative of the Neoplatonic School of Late Antiquity, in the formation of philosophical traditions in the Caucasus. In addition, special attention will be paid to the analysis of David Anaght's personality and creative work in Georgian philosophical historiography; the article will also offer comparative discussion of David in regard to Armenian philosophical historiography.

ნუგზარ ზოსიძე
თენგიზ მოისნრაფეშვილი

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**იმპერატორ ალექსი I კომნენოსის ბრძოლა ბიზანტიის
იმპერიის ერთიანობის აღდგენისათვის მე-11 საუკუნის
80-90-იან წლებში**

1. ალექსი კომნენოსის იმპერატორობის პირველ წლებში ბიზანტიის იმპერია იმყოფებოდა სავალალო მდგომარეობაში. პირველი უმთავრესი მტერი იმპერიისა იყო თურქ-სელჩუკები, რომლებმაც დაიკავეს მცირე აზიის დიდი ნაწილი. ეს ტერიტორია, ძირითადად, ზერძნებით იყო დასახლებული. სელჩუკების მიერ მცირე აზიის თანდათანობითმა ანექსიამ მნიშვნელოვან - წილად განაპირობა ბიზანტიის იმპერიის დასუსტება. თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისუსტის გამო ბიზანტია მცირე აზიაში კარგავდა უმთავრეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრებს, რომლებიც მომთაბარე სელჩუკების ხელში გადადიოდა. ყოფილი ძლევამოსილი იმპერია ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა.

2. ბიზანტიის ისტორიის ამ ურთულესი და კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლის უმნიშვნელოვანესი მომენტი გახდა ალექსი კომნენოსის მმართველობის ეპოქა (1081-1118 წლები). მისი ხელმძღვანელობით დაიწყო წარმატებული სამხედრო ოპერაციები. სელჩუკებზე მოულოდნელი თავდასხმებით იმპერიის ტერიტორიაზე შემოჭრილი მომთაბარე ხალხები საგრძნობლად შეავიწროვა. მცირე აზიაში მისმა ტაქტიკურად სწორმა პოლიტიკამ განაპირობა სელჩუკების უკან დახევა დაპყრობილი მიწებიდან. ალექსი კომნენოსი თურქების წინააღმდეგ დიდ ლაშქრობებს ერიდებოდა. ის პატარ-პატარა სამხედრო რეიდებს აწყობდა მიტაცებული ბიზანტიური ქალაქებისა და დასახლებების გასათავისუფლებლად. ასე, თანდათანობით, ბიზანტია იბრუნებდა თავის კუთვნილ ტერიტორიებს.

3. ალექსი კომნენოსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას სამხედრო ფლოტის აღდგენა წარმოადგენდა. პირველივე საზღვაო ბრძოლებში აშკარად გამოიკვეთა ბიზანტიის სამხედრო საზღვაო ძალების უპირატესობა. ბერძნებმა თურქების სამხედრო ფლოტს რამდენიმე სერიოზული დამარცხება მიაყენეს, რის შემდეგაც ისინი გაბატონდნენ ზღვაზე.

4. ალექსი კომნენოსის აქტიურმა და თანმიმდევრულმა პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ მე-11 საუკუნის 90-იან წლებში ბიზანტიამ შეძლო დაემარცხებინა ყველაზე საშიში მტრები, როგორებიც იყვნენ თურქ-სელჩუკები, პაჭანიკები და ნორმანები. ამით დაიწყო იმპერიის აღორძინების პროცესი.

5. ბიზანტიის საბრძოლო მიღწევებში უდიდესი როლი შეასრულა დასავლეთ ევროპაში დაწყებულმა ახალმა პოლიტიკურ-რელიგიურმა მოვლენებმა, რაც გამოიხატა ჯვაროსნული ომების სახით. მთავარი იდეოლოგი ამ ჯვაროსნული ომებისა იყო რომის კათოლიკური ეკლესია. უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა მაცხოვრის საფლავის განთავისუფლება ურწმუნოებისაგან. ალექსი კომნენოსმა განსაზღვრა ჯვაროსნული ლაშქრობის დიდი მნიშვნელობა ბიზანტიისათვის. მან მხარი დაუჭირა

ჯვაროსნულ ლაშქრობებს, რის შედეგადაც რამდენიმე გამანადგურებელი დამარცხება მიაყენეს თურქებს და დაიბრუნეს ბიზანტიის კუთვნილი მიწები.

6. ალექსი კომნენოსის შემტევმა და ღრმად გააზრებულმა პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ ქვეყანას უკვე ჰყავდა ძლიერი არმია და ფლოტი, ჰქონდა მდიდარი ხაზინა. იგი სარგებლობდა სელჩუკთა სასულთნოებს შორის არსებული სხვადასხვა წინააღმდეგობებით, ხელს უწყობდა ამ წინააღმდეგობების გაღრმავებას. ამას შედეგად მოჰყვა იმპერიის თანდათანობითი გაძლიერება. ამიტომაც მას საპატიო ადგილი უკავია ბიზანტიის ცნობილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის.

Nugzar Zosidze

Tengiz Moistsrapeshvili

Batumi State University

THE BATTLE OF EMPEROR ALEXIOS I KOMNENOS FOR THE RESTORATION OF THE UNITY OF BYZANTIUM EMPIRE IN THE 80-90S OF THE 11TH CENTURY

1. In the early years of the imperial estate of Komnenos Alexius, the Byzantine Empire was in poor condition. The first main enemy of the Empire were the Seljuk Turks, who occupied most of Asia Minor. This territory was mainly inhabited by the Greeks. The consequent annexation of Asia Minor by the Seljuks led to the weakening of the Byzantine empires. Due to its political and economic weakness, Byzantium lost the main political and economic centers in Asia Minor, which passed into the hands of the Seljuks. The former strong empire stood on the edge of existence.

2. The most important moments in overcoming the critical and difficult situation of Byzantium were the era of the reign of Alexis Komnenos in 1081-1118. His leadership began successful military

operations. Unexpected attacks on Seljuks in empires narrowed the number of people introduced. In Asia Minor, his tactically correct policy led to the return of the Seljuks from the conquered territories. Alexi Komnenos dodged large attacks against the Turks. He organized small military raids to liberate Byzantine cities and populations. So consistently Byzantium returned its sides.

3. One of the important achievements of Alexis Komnenos was the restoration of the navy. In the first naval battles, the advantage of naval forces was expressed. The Greeks several times conquered the navy of the Turks, after which they reigned in the sea.

4. The active and consistent policy of Alexi Komnenos led to the fact that in the 90s of the 11th century Byzantium was able to defeat the most dangerous enemies, which were the Seljuk Turks; Pagan and Normans. This began the process of creating empires.

5. In the military achievements of Byzantium, a large role was played by new political and religious phenomena in Western Europe, which were expressed in the form of the Cross Wars. The main ideology of these crusades was the Roman Catholic Church. The main goal was to free the grave of the Savior from unbelievers. Alexi Komnenos defined the importance of the Cross wars for Byzantium. He supported the Cross Wars, after which they destroyed the Turks several times and returned the lands of Byzantium.

6. The winning and deeply determining policy of Alexi Komnenos led to the fact that the country already had a strong army and navy. She had a rich hazin. He used various confrontations between the church Seljuks, and helped to deepen these confrontations. As a result of this, successive empowerment began. Therefore, he holds the main place among the famous and political figures of Byzantium.

დავით თინიკაშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

**„თეოლოგიურ-პოლემიკური ტრაქტატის ‘გრდემლის’
ხასიათი, მიზანი და მისი შექმნის ისტორიული
კონტექსტი“**

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება ქართული ორიგინალური პოლემიკური თეოლოგიური ნაშრომის „გრდემლის“ მნიშვნელობა შუა საუკუნეებში რომის კათოლიკეებსა და ქართველ მართლმადიდებლებს შორის არსებული პოზიტიური ურთიერთობების ჭრილში. აღნიშნული ტრაქტატი ქართველი პატრიარქის ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის (1724-1737) მიერ დაიწერა. „გრდემლი“ პირველი და უკანასკნელი ორიგინალური ქართულენოვანი ძეგლია, რომელშიც რომის კათოლიკური ეკლესიის დოქტრინა და საეკლესიო პრაქტიკაა გაკრიტიკებული. ეს ძეგლი ერთადერთია ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც სისტემატურად განიხილავს კათოლიკობასთან დაკავშირებულ დოგმატურ, კანონიკურ და დისციპლინარულ საკითხებს. მოხსენებაში ვცდილობთ გამოვარკვიოთ ამ ტექსტის შექმნის მოტივი და მიმოვიხილოთ კონკრეტული ისტორიული კონტექსტი.

Davit Tinikashvili

Ilia State University, Institute of Oriental Studies

**THE NATURE, GOAL, AND HISTORICAL CONTEXT OF THE
CREATION OF GRDEMLI, A WORK OF THEOLOGICAL,
POLEMICAL TRACTATE**

The significance of the Georgian treatise *Grdemli*, a work of theological, polemical importance will be analyzed in the context of the positive relations between Roman Catholics and Georgian Ortho-

dox in the Middle Ages. The treatise was written by Georgian Patriarch Besarion Baratashvili-Orbelishvili (1724-1737). *Grdemli* is the first and last original Georgian text in which the different doctrinal questions of the Roman Catholic Church are criticized. It is the only treatise in the history of Georgian theological literature in which the dogmatic, canonical and disciplinary questions essential to Catholicism are considered. An article tries to ascertain the motive, goal and the historical context of creating such a polemical work and to survey the given epoch.

ხათუნა თოდაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**სახელმწიფოსა და ეკლესიის
ურთიერთდამოკიდებულება საქართველოსა და
ბიზანტიაში (XI ს.)**

მონასტიციზმის ინსტიტუტი ბიზანტიური საზოგადოების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია და, ფაქტობრივად, იმპერიის ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. იმპერატორებს, ისევე როგორც საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს, მონასტრებთან მიმართებაში თავისი ინტერესები ჰქონდათ. სამონასტრო ცხოვრება ქართული მართლმადიდებელი საზოგადოებისთვისაც დამახასიათებელი იყო. როგორც ბიზანტიის იმპერატორებს, ქართველ მეფეებსაც თავისი დამოკიდებულება ჰქონდათ მონასტრებთან. იმპერატორთა და მეფეთა სიგელები ერთ-ერთი საინტერესო წყაროა ამ ურთიერთობათა შესასწავლად. ამჯერად განვიხილოთ ბიზანტიის იმპერატორების მიქაელ VII დუკას და ნიკიფორე III ბოტანიატეს სიგელები მიქაელ ატალიატეს მონასტრისადმი და საქართველოს მეფეების - ბაგრატ IV-ის, მისიძის, გიორგი II-ის და თამარის სიგელები შიომღვიმის მონასტრისადმი.

ბიზანტიური სიგელები დაცულია მიქაელ ატალიატეს განაწესის ტექსტში. მისი ინგლისური ვერსია, რომელიც ნაშრომში გამოვიყენეთ, შესულია პროექტში "Byzantine Monastic Foundation Documents", ის თარგმნა და კომენტარები დაურთო ცნობილმა ამერიკელმა ბიზანტინისტმა ალის-მერი თალბოთმა. ქართველ მეფეთა სიგელები რამდენჯერმე გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე. დოკუმენტები შესულია ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში.

მიქაელ ატალიატემ განაწესი 1077 წელს დაწერა. განაწესზე მუშაობის დამთავრებამდე, 1075 წელს, მას უკვე ჰქონდა სამეფო სიგელი იმპერატორ მიქაელ VII დუკასაგან. მან 1079 წელს შეძლო მეორე სიგელი მიეღო იმპერატორ ნიკიფორე III ბოტანიატესაგან.

საქართველოშიც მეფეთა სიგელები მონასტრებისადმი შეიცავდა წყალობას, მის განახლებას. ყურადღებას იპყრობს ბიზანტიური და ქართული სიგელების შედგენის ფორმა და ხელისუფალთა მოტივაცია, თუმცა თამარის სიგელი მოყვანილი ქართული სიგელებისაგან ოდნავ განსხვავებულია.

ეს განსხვავებები შეიძლება ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობითაც აიხსნას, მაგრამ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა მრავალფეროვანია და მხოლოდ ქვეყნის განვითარებით არ შემოიფარგლება: ეს ურთიერთდამოკიდებულება ამ თუ იმ ერის ისტორიით, კულტურით, რწმენისადმი მისი დამოკიდებულებით და ეთნოფსიქოლოგიით უნდა აიხსნას.

Khatuna Todadze

Georgian Technical University

RELATION BETWEEN THE STATE AND CHURCH IN GEORGIA AND BYZANTIUM (11TH CENTURY)

Institute of monasticism is one of the characteristics of Byzantine society and actually, deals with all spheres of the Empire's life. The

emperors, just like the other representatives of the society, had their own interests, in relation to the monasteries. Monastic life was characteristic for Georgian Orthodox society as well. Similar to the Byzantine emperors, Georgian kings had had their own relations with the monasteries. The deeds of the emperors and kings is one of the most interesting sources to study these relations. Now we shall discuss the deeds of Michael VII Doukas and Nikephoros III Botaneiates to Michael Attaleiates Monastery and deeds of Georgian kings Bagrat IV, his son, George II, and Tamari to Shio-Mgvime Monastery.

The byzantine deeds are preserved in the text of Michael Attaleiates Ordinance. Its English version, used in the work, was part of the project "Byzantine Monastic Foundation Documents", it was translated and commented by famous US Byzantine scientist Alice Mary Talbot. Deeds of Georgian kings were published several times in Georgian and Russian languages. The documents were included into the collection of Georgian historical documents.

Michael Attaleiates wrote his Ordinance in 1077. Upon completion of his work on the Ordinance, in 1075, he had already received the deed from Emperor Michael VII Doukas, Later, in 1079, he was granted the deed from Emperor Nikephoros III Botaneiates.

In Georgia as well, the kings' deeds to the monasteries contained donations, their renovation, contribution. Form and the rulers' motivations of the Byzantine and Georgian deeds deserve particular attention. Though, Tamar's deed is slightly different from provided Georgian deeds.

Such difference can be explained, inter alia, by the political situation in the country. But relations between the state and church are diverse and they are not limited to the country's development only. Such relations should be explained by the history, culture, attitude to religion and ethnical psychology of one or another nation.

სამეგრელოს მმართველთა მენტალური კორტრედი ბიზანტიურ და პოსტბიზანტიურ ხანაში

ეპოქის ამსახველი წყაროები ერთობ მდიდარი და სანდოა. მხედველობაში გვაქვს ქართული, ევროპული ნარატიული წყაროები ფრანგულ და იტალიურ ენებზე, უცხოეთში არსებული ქართული მონასტრის აღაპები, აგრეთვე, ქრისტიანული ხანის ქართული ჭედური ხელოვნების ნაკეთობებზე არსებული წარწერები.

XIV საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი სამეგრელოს სამთავრო, სათავეში, დადიანთა დინასტიით, გაერთიანებული საქართველოს ხელისუფლების უზენაესობას აღიარებდა. მის მთავრებს ერისთავთ-ერისთავის და მანდატურთუხუცესის მაღალი თანამდებობები ეკავათ. ბიზანტიის დაცემამდე ისინი საქართველოს მეფეებს ემორჩილებოდნენ. ბიზანტიის დაცემისა და ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ სამეგრელოს სამთავრო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. ბიზანტიის დაცემას, წესით, უნდა შეეკავშირებინა მუსლიმური გარემოს მომძლავრების ქვეშ მყოფი ქართველი მეფე-მთავრები, თუმცა პირიქით მოხდა: 1490 წელს საქართველოს დაშლა ოფიციალურად გამოცხადდა და სამეგრელოს სამთავრომ იმერეთის მეფის ვასალობიდან გამოსვლისთვის დაიწყო ბრძოლა.

XVI საუკუნეში სამეგრელოს სამთავრო სრულიად დამოუკიდებელი ხდება. მისი მმართველობითი პოლიტიკა მიმართულია საკუთარი სამფლობელოს გაძლიერებისაკენ. ამის გამო მისი მმართველნი სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების ინტერესების იგნორირებასაც არ ერიდებიან.

სამეგრელოს მმართველთა მენტალური დუალიზმი ბიზანტიურ და პოსტბიზანტიურ ხანაში აშკარაა. ბიზანტიურ ხანაში მათი სააზროვნო სისტემა საქართველოს ცენტრალური

ხელისუფლების მხარდაჭერისა და საერთო ქართული საქმის კეთებისკენაა მიმართული (ვამეყ დადიანი).

ბიზანტიის დაცემის შემდეგ მათი სააზროვნო სისტემა სხვა სიბრტყეზე გადადის: მმართველთა უპირველესი საზრუნავი საკუთარი ტერიტორიის და ინტერესების დაცვა ხდება, რასაც ისინი გააფთრებით, ხშირად ყოველგვარი მორალის და ზნეობის გარეშე ახორციელებენ, რისი ნიმუშიცაა ლევან დადიანის ცხოვრება და მოღვაწეობა.

Nino Tomadze

Tbilisi Theological Academy And Seminary

MENTAL PORTRAIT OF SAMEGRELO RULERS IN BYZANTINE AND POST-BYZANTINE PERIODS

Sources describing the epoch are quite rich and reliable. We imply Georgian and European narrative sources in French and Italian, records of Georgian monasteries located abroad, as well as inscriptions on the pieces of Georgian epaesthetic art.

Principdom of Samegrelo, created in the second half of 14th century reigned by Dadiani dynasty recognized superior power of united Georgian government. The princes were at the high positions of eristavt-eristavi and mandaturtukhutsesi. Before collapse of Byzantium and decomposition of the united Georgia they submitted to the kings of Georgia. After collapse of Byzantium and decomposition of Georgia Samegrelo was within the composition of Imereti Kingdom. Fall of Byzantium should have strengthened ties between Georgian princes surrounded by the Moslem environment though the events developed in a different way: in 1490 decomposition of Georgia was officially declared and Samegrelo Principdom commenced fight for liberation from vassalage of Imereti kings.

In 16th century Samegrelo Principdom became absolutely independent. Politics of its government was oriented towards strengthe-

ning of its land. Because of this, they even ignored the interests of the other Georgian political units.

Mental dualism of the rulers of Samegrelo in Byzantine and post-Byzantine periods was apparent. Their thinking system was oriented towards support of central government and making common Georgian deeds (Vamiq Dadiani).

After fall of Byzantium, their thinking system switched to the other direction: protection of their territory and interests the primary concern of the rulers and they did this fiercely, disregarding any rules of morality and life of activities of Levan Dadiani is good example of this.

ლევან თენიეშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ბიზანტიური სამართლის გავლენა ქართულ საეკლესიო სამართალზე, თხზულება „ქორწინებათა თავთაშვის“ მაგალითზე

ქსიფილინოს-პაპუჭაშვილის მიერ 1758 წელს ნათარგმნი კანონიკური თხზულება „ქორწინებათა თავთაშვის“ არის კონსტანტინოპოლელი იეროდიაკონის მანუილ ქსანთინოსის ნაშრომის გადმოქართულებული ვარიანტი. ძველი წარმოადგენს მართლმადიდებლურ სამყაროში ფართოდ აღიარებულ სახელმძღვანელოს საოჯახო სამართალში, სადაც მოცემულია ნათესაობის ხარისხები და განხილულია ამ ხარისხებს შორის ქორწინების დასაშვებობის საკითხები. კანონიკურ სამართალში საკმაოდ მნიშვნელოვანია ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევია ნათესაობის ხარისხი. ნაშრომის პირველწყაროს წარმოადგენს ბიზანტიაში კარგად ნაცნობი კანონიკური სამართლის კრებული, ბერძენი ბერმონაზონის, მათეოს ბლასტარის მიერ 1335 წელს შედგენილი „აღფაბეტური სინტაგმა“.

„ქორწინებათა თავთათვის“ ბიზანტიური კანონიკური კანონმდებლობის ქართულ რეალობაში რეცეფციის ერთ-ერთი მაგალითია. ნაშრომის გაცნობისას ნათელი ხდება, თუ როგორი გავლენა განიცადა ქართულმა კანონმდებლობამ რომაულ-ბიზანტიური სამართლისგან. ქართულ იურისპრუდენციაში არაერთხელ შემოსულა ბიზანტიური სამართლის ძეგლები. ვახტანგ მეექვსის კოდიფიკაციაც ხომ უცხოური, მათ შორის ბერძნული, სამართლის ძეგლებითაა გაჯერებული.

Levan Tenieshvili

Eastern European University

THE INFLUENCE OF BYZANTINE LAW ON GEORGIAN CANON LAW ON THE EXAMPLE OF 'FOR MARRIAGE HEADS'

The canon text, 'For Marriage Heads', translated by Ksifilos-Paputsashvili in 1758, was written by a hierodeacon Manuil Ksantinos and was in fact Georgified. The text is a widely acknowledged guidebook for family law in the Orthodox world, which provides details the relations ranks and covers the issues of allowance for marriage between these ranks. The canon-based law puts rather significant emphasis on the obstacles to marriages with the relation level being one of the most relevant ones. The ultimate first source text is 'Syntagma Canonum', a collection of the canon law well-known in Byzantine, written by a Greek monk Mathiew Blastares in 1335.

'For Marriage Heads' is one of the examples for reception of the Byzantine canon law by the Georgian community. Analysis of the text reveals the extent of the impact made by the Roman and Byzantine law on the Georgian legislation. It is by far not the only written text that has been introduced into the Georgian legislation. The Codification by Vakhtang VI also had multiple foreign texts integrated into it, Greek ones included.

ԼԵՆՆԻՆ Ե. ՆԱՅԵՐԻ

Ջոնս Հոփքինսի տնօրինություն, ՄՅՄ

Aubrey E. Young

Johns Hopkins University, USA

**WHEN SACRED AND SECULAR MEET: WHAT ARCHAEOLOGY,
EPIGRAPHS, AND ARCHITECTURE AT SANAHIN TELL US
ABOUT INTERACTIONS BETWEEN THE WORSHIPPER AND
RELIGION IN ANCIENT CHRISTIAN ARMENIA**

This paper addresses the interaction between worshippers and their holy sites in Byzantine-Armenia, as evidenced in the archaeological record of the ancient monastery of Sanahin. Monasteries were multi-functional, and Sanahin shows how a primary function was to guide the participant in negotiating the crossroad between the secular and the sacred. To achieve this purpose, space, location, architecture, reliefs, and inscriptions were all carefully chosen and utilized to guide the worshipper, assisting them in their transformative journey to commune with the divine. This theme of transformation centers on movement and senses, as the pilgrim is guided through many different facets, preparing them along the way to obtain spiritual communion. Movement included processions, communal and personal, lengthy rigorous journeys, visual, olfactory, and other sensory cues. This is movement fueled by a personal, spiritual goal, shaped by architecture and reliefs, and evidenced by cross graffiti and inscriptions left behind. By examining the material remains of this monastery, we can better understand the religious culture of those who visited the churches: what they hoped to achieve, how they worshipped, or what an encounter with the sacred meant for them.

თინა იველაშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ღობიეთის სამონასტრო კომპლექსი

ასპინძის მუნიციპალიტეტში არაერთი ისტორიული ძეგლია, რომელთა შესახებ წერილობითი წყაროები ან საერთოდ არ არსებობს, ან თუ არსებობს, მეტად მწირ ცნობებს შეიცავს. შეიძლება ითქვას, რომ ღობიეთის სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ ძეგლთა ასეთ სახეობას მიეკუთვნება. მას საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. ინფორმატორთა გადმოცემით, ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული. მეტად საყურადღებოა ქვისაგან გამოთლილი და მოჩუქურთმებული სატრაპეზო, რომლის ერთ მხარეს ჯვარზე გაკრული ქრისტეა გამოკვეთილი. შემორჩენილი მასალების მიხედვით ძეგლი VIII – IX საუკუნეებში უნდა იყოს აგებული.

ღობიეთის სამონასტრო კომპლექსი უყურადღებობის გამო განადგურების პირასაა მისული. მისი აღდგენა-რესტავრაცია საკმაოდ დიდ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. სადღეისოდ ამ თანხების მოძიება ალბათ ძალიან გაჭირდება. მიუხედავად ამისა, იქნებ მოხერხდეს მონასტრის ტერიტორიის გაწმენდა და შემორჩენილი ნაწილის კონსერვაცია მაინც, რათა სრული განადგურება-დაქვევისაგან გადავარჩინოთ ეს თითქმის სრულიად უნიკალური უცნობი ისტორიული ძეგლი, რომელიც ვინ იცის რა საიდუმლოსა და ჩვენთვის ჯერაც უცნობ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს მასალებს მალავს.

Tina Ivelashvili

Samtskhe-Javakheti State University

THE MONASTIC COMPLEX OF GOBI

The written sources about the Gobi monastic complex situated on the rocky crag near the ruined villages of the Gobi gorge in

Aspindza municipality are very poor. It has a large area. According to informers the monastery was named after the Virgin Mary. The temple is very damaged. It is very interesting to see the carpenter and the carpeted carpets, on the which is depicted Christ on the cross. According to the preserved materials, the monument should be built in VIII-IX centuries.

The cathedral of Gobi is a historical monument has come to ruin due to inattention. The restoration of the Gobi monastic complex certainly incurs rather significant expenses. It is probably not easy to gets the necessary sum now, but perhaps, clearing of the area and conservation of the remaining parts of the monastery could be possible at least, the most rare monuments could be saved from complete destruction, and besides – who knows, some mystery and yet unknown and important historical events could be found out.

ირმა იველაშვილი

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი

ველური სამკურნალო მცენარეები სამცხე-ჯავახეთში

სამცხე-ჯავახეთში ველური თუ კულტურული მცენარეებით მკურნალობის უამრავ მეთოდს იყენებდნენ. ეს ცოდნა ათეულობით საუკუნეების სიღრმიდან მოდის და თაობათა მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას ემყარება. ეს ცოდნა-გამოცდილება საქართველოში ხალხური მედიცინის განვითარების ერთ-ერთ საყრდენ ქვაკუთხედად იქცა, რომელსაც დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

შორეულ წარსულში საქართველოში სამკურნალო მცენარეების გამოყენებას ადასტურებს უძველესი წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი წყაროები. ცნობებს გვაწვდის ძვ. ქართული სამედიცინო წერილობითი ძეგლები – ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (XI საუკუნე), ხოჯა ყოფილის „წიგნი სააქიმოდ“ (XIII

საუკუნე), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“ (XV საუკუნე), „იადიგარ დაუდი“ (XV საუკუნე), დიდი მასალაა შემონახული იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილებისა და სხვათა სამედიცინო ხელნაწერებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადრეული ხანიდანვე ცნობილი იყო არაერთი ველური სამკურნალო მცენარე, ხალხში დღემდეა შემორჩენილი ისეთი მცენარეები, რომელთა შესახებ ქართულ ხალხურ მედიცინაში ცნობებს ვერ ვხვდებით. სამკურნალო ველურ მცენარეთა ასეთ სახეობას მიეკუთვნება, მაგალითად, თელახარში, ლენცოფა, ქარამენძი, სარობალახი, სიწვილის ბალახი, ეკალა, გველის სერა და მრავალი სხვა. წარმოდგენილ სტატიაში საუბარი გვექნება სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულ ისეთ ველურ სამკურნალო მცენარეებზე, რომლებიც ქართულ ხალხურ მედიცინაში დღემდე ცნობილი არ არის და მხოლოდ ერთეული მთხრობელის მეხსიერებას შემორჩა.

Irma Ivelashvili

University of Samtskhe-Javakheti

WILD MEDICAL HERBS IN SAMTSKHE-JAVAKHETI

In Samtskhe-Javakheti wild or cultural herbs were used in many kinds of treatment. The knowledge about this kind of medical treatment comes from dozens of centuries ago and is based on the rich experience of many generations. This knowledge-experience is one of the cornerstones of Georgian folk medicine's development, to which special attention is paid to even nowadays.

In general, the usage of medical herbs in Georgia is related to the distant past. This is confirmed by ancient written or orally transmitted sources. The following ancient Georgian written sources give us information about medical herbs: "ustsoro karabadini" (uneven ka-

rabadini) (XI century) by Qananeli, "Tsigni Saaqimoi" (Medical Book) (XIII century) by Khojakofili, "Samkurnalo Tsigni – Karabadini" (Medical Book – Karabadini) (XV century) by Zaza Fanaskerteli, "iadigar daudi" (XV century), also a big amount of information is preserved in Ioane and Teimuraz batonishvili's manuscripts and many other's manuscripts.

Even though we have information preserved from the ancient times about many wild medical herbs, there are some about which we have no information in Georgian folk medicine, for example: Telakharshi, Lentsofa, Karazendzi, Sarobalaxhi, Sitsvilis Balakhi, Ekala, Gvelis Sera and many more. In the presented article we will discuss about the medical herbs spread across Samtskhe-Javakheti about which we have no information in Georgian folk medicine and the knowledge about them is conserved in the memories of a few individuals.

ნინო ინაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი, მერაბ ხალვაში

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კმტრა-ციხისძირი, ბიზანტიური ეპოქის ციხე - ქალაქი

ბათუმიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 18-20 კმ. მანძილზე, ზღვის სანაპიროზე, სოფელ ციხისძირში მდებარეობს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლი, რომელსაც მკვლევართა დიდი ნაწილი ბიზანტიურ ციხე-ქალაქ პეტრასთან აიგივებს.

ლაზიკის ციხე-ქალაქისა და ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრის – პეტრას შესახებ ცნობები შემონახულია VI-IX სს. ბიზანტიურ წერილობით წყაროებში (იუსტინიანეს ნოველები, პროკოპი კესარიელის „ომები“ და „შენობათა შესახებ“, საეპისკოპოსო კათედრათა ნუსხები). წერილობითი წყარების მიხედვით, ქალაქი აგებული იყო იუსტინიანეს მიერ (527-565 წწ.) ლაზიკის

სამხრეთ საზღვარზე მანამდე უმნიშვნელო ადგილას, რომელსაც იმპერატორმა თავისი უზენაესობის სახელი უბოძა. VI საუკუნეში პეტრა ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის ბრძოლის მთავარი ასპარეზი იყო. პროკოპი კესარიელის ცნობით, 550 წელს ბიზანტიელებმა პეტრას კედლები მიწასთან გაასწორეს, რათა მტერს მომავალში მათთვის საქმე არ გაეჭირვებინა. გვიანბიზანტიურ წყაროებში (VI-IX სს.) პეტრა იხსენიება, როგორც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული ლაზიკის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი.

პეტრას ციხის ნაშთები განლაგებულია ზღვის პირას აღმართულ ბორცვებზე. აკროპოლისი გაშენებული იყო ჩრდილოეთ, უფრო მაღალ და დიდ ბორცვზე, სამხრეთის ბორცვზე კი კოშკი იყო განლაგებული. კედლები გამაგრებული იყო კოშკებით. ციხის კედლების მშენებლობაში გამოიყოფა ორი პერიოდი: ადრე-ბიზანტიური და ოსმალური ხანის. ციხესიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილი იქნა VI საუკუნის კარიბჭე, რომლის ჩრდილოეთი კედლის წყობაში კერამიკული ფილებისაგან შედგენილი მალტური ჯვარი იყო ჩაშენებული. იგი ოსმალური გარნიზონის მიერ კირით იყო გადალესილი. ციტადელი და სამხრეთი ბორცვის კოშკი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო გრძელი კედლებით, რომელთაგან წინა დამცავი კედელი (პროტეიხიზმა) შიდა მხრიდან გამაგრებული იყო თაღოვანი პილონებით მის მთელ სიგრძეზე. VI საუკუნეში, საბრძოლო მოქმედებების შედეგად დანგრეული ციხე-სიმაგრის ეს მონაკვეთი მიტოვებული იყო და არასოდეს ყოფილა გამოყენებული.

1960-იან წლებში, ციხე-სიმაგრის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილი იქნა დიდი ზომის ბაზილიკის ნაშთები (34,8x19,2 მ). იგი აღმოსავლეთის მხრიდან აღჭურვილი იყო გარედან ხუთ-წახნაგა და შიგნიდან ნალისებური მოყვანილობის აფსიდითა და ნართექსით დასავლეთ ნაწილში. აფსიდა მოპირკეთებული იყო კარგად დამუშავებული თანაბარი ზომის ქვებით.

მკვლევარები ციხისძირის ბაზილიკას ათარიღებენ VI საუკუნით და თვლიან, რომ იგი წარმოადგენდა პეტრას კათედრალს. ბაზილიკა, როგორც ჩანს, აგებული იყო უფრო ადრეული ნაგებობის ნაშთებზე, სავარაუდოდ, ნაეკლესიარზე. მოგვიანებით, ბაზილიკის დანგრევის შემდეგ, მისი ცენტრალური ნავისა და საკურთხეველის ნაწილში აგებულ იქნა პატარა დარბაზული ეკლესია. იგი არქეოლოგიური მონაცემის მიხედვით, თარიღდება X-XIV საუკუნეებით. ოსმალების პერიოდში ეკლესია ნანგრევებად იქცა.

აკროპოლისი აღჭურვილი იყო აბანოთი, რომელიც გამოვლენილია ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მართკუთხა გეგმარების ნაგებობა შედგება ანფილადურად განლაგებული ხუთი ფუნქციური განყოფილებისაგან. ბაზილიკა და აბანო ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიდნენ. აბანოს გაუქმების შემდეგ მის ადგილას მარანი იყო გამართული. გარდა ბაზილიკისა და აბანოსი, გამოვლენილია სურსათის შესანახი ცისტერნის ნაშთები.

პეტრას აკროპოლისის მასალები გვიჩვენებს, რომ ყველაზე გვიანდელი ფენა XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება და უკავშირდება აქ ოსმალური გარნიზონის ყოფნას. ის შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი. ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალები წარმოდგენილია საოჯახო კერამიკით, შუა ბიზანტიური ხანის მოჭიქული კერამიკით, მინის ჭურჭლის ფრაგმენტებით, ბიზანტიური მონეტებითა და ტყვიის საბეჭდავი ბეჭდებით.

განკითხვის დღის ამსახველი ქართული რედაქციების მრავალფეროვნებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მათ უნიკალურობაში, რითაც ისინი ქრისტიანული აღმოსავლეთის და დასავლეთის ნიმუშების გვერდით საპატიო ადგილს იკავებენ.

Irma Mamasakhlisi

Georgian Art History Research Centre

THEME OF JUDGMENT DAY IN THE MEDIEVAL GEORGIAN SCULPTURE

The theme of the Second Coming of Jesus Christ occupies an extremely important place in Christian art. The issue has repeatedly become a subject for discussion in scholarly research. Topicality of the theme is conditioned by diversity of the representational material of both Christian orient and west.

It was determined during research that stone carved works from the Early Period mimicked some laconic versions. The chronological time period of when they were created spans the 7th-11th centuries. In Georgia during the early period, this theme was reflected in sculpture (the Mtskheta Cross and the Joisubani Relief [10th c.], chancel-barrier plaque from Skhieri [10th c.], reliefs at Nikortsminda [11th c.] and Svetitskhoveli [11th c.]), whereas starting from the 11th century it became widespread in monumental painting.

In the course of research it became clear that the samples of earlier period stone carving follow laconic versions. Nevertheless, those of monumental painting dating to the 12th-13th cc. rise to grandiose compositions and take up the whole western arm.

A unique version of the Elevation of the Cross will also be briefly examined in the paper, a very prominent work of the Georgian visual arts. In connection with this, a basis will be provided to discuss the firm and long-standing tradition of the cult of the Cross in Georgia.

When speaking about the theme of Judgment Day, the issue of the time of the Lord's Second Coming represents one of the crucial questions that will be dealt with on the basis of a comparison of a large number of literary and written sources reflecting an eschatological expectancy.

Based on the appropriate representative, theological and common Christian material, we will try to explain all the occurrences and draw relevant conclusions.

Diversity of Georgian versions of the Judgment Day convinced us once again of their uniqueness which allows them to take pride of place next to masterpieces of Christian orient and west.

მარინე მამულაშვილი-ბოტკოველი

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

**სახარების ეპლთა სახეების ლიტერატურული
ტრანსფორმაცია ჰიბრან ხალილ ჰიბრანის
შემოქმედებაში**

(„იესო, ძე კაცისა“, „წინასწარმეტყველი“)

ქალები იესოს პირველი მიმდევრები და მოწაფეები იყვნენ. სახარების მიხედვით, ქრისტე პირველად მენელსაცხებლუ დედებს ეცხადება და აგზავნის მათ მოციქულებთან აღდგომის მაცნეებად. სახარებამ ქალის სახეში საუკუნოდ განამტკიცა სიყ-

ვარული: სიყვარული – ზრუნვა, სიყვარული – მსახურება, სიყვარული – თავდადება და თავგანწირვა. ეს ქალები არიან მორწმუნეები – გულით მორწმუნენი და ფლობენ გულისმიერ ცოდნას.

მსოფლიო ლიტერატურა იცნობს არაერთ ავტორს, რომელთა შემოქმედებაში გაშლილია სახარების ქალთა სახეები. მათი ლიტერატურული ტრანსფორმაცია აისახა ლიბანელი მწერლის, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის ნაწარმოებებში, სადაც განსაკუთრებით გამოკვეთილია დედაშვილობის ფენომენი და ამ ფონზე ტრაგიზმით სავსე იუდას დედის სახე.

Marine Mamulashvili-Botkoveli

Tbilisi Theological Academy and Seminary

**LITERARY TRANSFORMATION OF THE WOMEN'S
CHARACTERS OF THE GOSPEL IN THE
WORKS OF GIBRAN KHALIL GIBRAN
("Jesus, the Son of Man", "The Prophet")**

Women were the first followers and disciples of Jesus. According to the Gospel Christ appeared to the myrrh-bearing women and sent them to the apostles to inform them about the resurrection of Christ. The gospel gave eternal love to a woman: love as care, love as service, love as devotion and self-sacrifice. These women are believers – those who believe in the heart and have a heart of knowledge.

In the world literature there are many authors whose works contain the names of women of the Gospel. Their literary transformation is reflected in the writings of the Lebanese-American writer Gibran Khalil Gibran in which the phenomenon of motherhood is particularly well described. Among the mothers Judah's mother is full of tragedy and sadness.

გუმუშჰანეს საფორტიფიკაციო ნაგებობანი

გუმუშჰანე (ძვ. არგიოპოლისი) ისტორიული ხალდიის (ქალდიის) შემადგენელი ნაწილია. იგი დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გუმუშჰანეს პროვინციას (ილს) მოიცავს. რეგიონში უძველესი დროიდან გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზები, რომლებიც დელირმენდერესა და ხარშიტის ხეობებით, ზიგანას უღელტეხილის გავლით, ზღვისპირეთს პონტოს ქედს გადაღმა სამყაროსთან აკავშირებდა (ერზრუმი, ბაიბურთი, ერზიჯანი და ა. შ.). ამ გზებს საიმედოდ იცავდა კარგად გამართული თავდაცვითი სისტემა. ეს ციხეები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და ქმნიდა მთლიანი სივრცის ერთიანი თავდაცვითი სისტემის მტკიცე ჯაჭვს. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ამ სისტემაში შემავალ და გუმუშჰანეს ტერიტორიაზე მდებარე ისეთ მნიშვნელოვან ციხეებზე, როგორებიცაა: კრომნი, ესენიურთი, აქჩა კალე, დორთკონაკი და სხვ.

საფორტიფიკაციო ნაგებობებზე დაკვირვებით ჩანს, რომ ისინი რამდენჯერმე განახლებული და აღდგენილი. თავდაპირველად მათი აგება ადგილობრივი ჭანური მოსახლეობის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. მოგვიანებით კი, ციხეების სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მათი გამოყენება და, შესაბამისად, აღდგენა ჯერ ბიზანტიელების, შემდეგ კი, ოსმალების მიერ უნდა მომხდარიყო.

Shota Mamuladze, Emzar Kakhidze, Kakhaber Kamadadze
Batumi State University

THE FORTIFICATION BUILDINGS OF GÜMÜŞHHANE

During the Rustaveli Foundation Project implementation period (August, 2018) Batumi State University team visited Gümüşhane and its vicinity and surveyed different samples of the architectural constructions of region. The region is rich with the fortifications. All of them had been developing under different historical conditions due to direct influence of foreign civilizations. Most of them are constructed by local residents, later with Byzantine and Ottoman repairs.

ბესიკ მაშაფა

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი

თეოდორე აბუკურა: ბიზანტიური თეოლოგიის არაბულენოვანი აპოლოგები

ბიზანტიური სივრცის სააზროვნო მემკვიდრეობა, სხვა კულტურებთან ერთად, სირიისა და პალესტინის კულტურული სივრცის ინტელექტუალურ მემკვიდრეობასაც მოიცავს. ამ კუთხით აღსანიშნავია VIII-IX საუკუნეების სირიისა და პალესტინის ქრისტიანული თეოლოგიის წარმომადგენლები, რომლებიც არაბეთის ნახევარკუნძულიდან წამოსული ახლად დაბადებული ისლამური რელიგიის პირისპირ საკმაოდ მოუმზადებელი აღმოჩნდნენ. სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება ხარანის ეპისკოპოსის, თეოდორე აბუკურას (750-830 წწ.) არაბულენოვანი ფილოსოფიური ღვთისმეტყველება.

წინამდებარე მოხსენებაში განვიხილავთ ბიზანტიური სამყაროს პოლიტიკურ და ინტელექტუალურ გამოწვევებს, რომლებმაც პრაქტიკულად განსაზღვრა VIII-IX საუკუნეების სირია-პალესტინის საღვთისმეტყველო-აპოლოგეტური დისკურსი.

ქრისტიანულ თეოლოგიაში, ანტიმონოფიზიტური და ანტინესტორიანული მოძღვრებების შემდგომ, აღმოცენდა ანტიმაჰმადიანური მოძრაობა, რომელიც მაჰმადიანური რელიგიის მომდღვრების წინააღმდეგ მიმართული რეაქცია იყო. ასე ჩაეყარა საფუძველი არაბულენოვანი ქრისტიანული თეოლოგიის სისტემური განვითარების პროცესის დასაწყისს.

მოხსენების პირველ ნაწილში საუბარია თეოდორე აბუკურას ბიოგრაფიაზე და წარმოდგენილია მისი შემოქმედების მოკლე ანალიზი. ასევე, განვიხილავთ იმ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს, რომელშიც თეოდორე აბუკურა მოღვაწეობდა. წარმოვადგენთ მსჯელობას თეოდორე აბუკურას სამწერლობო-საღვთისმეტყველო ენისა და შემოქმედების ძირითადი თავისებურებების შესახებ.

მოხსენების მეორე ნაწილში ვისაუბრებთ ამავე პერიოდსა და სივრცეში არსებულ ქრისტიანულ საზოგადოებაზე, რომელიც „მელკიტური საზოგადოების“ სახელით არის ცნობილი. აქ საუბარია არაბული კულტურის ემანსიპაციის პირობებში მცხოვრებ მცირე ქრისტიანულ ჯგუფზე, რომელსაც განსაკუთრებულ პირობებში უწევდა აპოლოგეტურ-მისიონერული საქმიანობა.

მოხსენების მესამე ნაწილი შეეხება თეოდორე აბუკურას საღვთისმეტყველო მეთოდების სპეციფიკას, რადგან ისინი განსხვავდებიან ბიზანტიური თეოლოგიის მეთოდებისა და პრაქტიკებისაგან. აღსანიშნავია, რომ იგი სრულიად ახალი მოტივების საფუძველზე აყალიბებდა და ქმნიდა ქრისტიანული ღვთისმეტყველების ახალ პრინციპებს, რომლებიც ისლამური თეოლოგიის საპირწონედ იქმნებოდა.

დასკვნის სახით კი წარმოვადგენთ ქრისტიანული აპოლოგიის არაბულენოვანი გამოცდილებისა და ბიზანტიური თეოლოგიის კომპარატივისტულ ანალიზს. ამასთან, ბიზანტიური თეოლოგიის შუქზე ვაჩვენებთ მათ შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებებს; გავაანალიზებთ ბიზანტიური მემკვიდრეო-

ზის არაბულენოვანი რეცეფციისა და ტრანსფორმაციის გზებს და შევასებთ თეოდორე აბუკურას მიერ შემუშავებულ საღვთისმეტყველო მეთოდოლოგიას.

Besik Mashava

New Georgia University

THEODORE ABU QURRAH: ARABIC SPEAKING APOLOGIST OF BYZANTINE THEOLOGY

The intellectual heritage of the Byzantine space, along with other cultures, also encompasses the intellectual heritage of Syrian-Palestinian culture. In this regard, it is noteworthy the representatives of Christian theology of the Syria and Palestine from the VIII-IX centuries, who were completely unprepared in the face of the newly born Islamic religion coming from the Arabian Peninsula. It is during this period was formed the Arabic language philosophical theology of the Bishop of Harran Theodore Abu Qurrah (750-830).

In this report, we will discuss in greater detail the political challenges of the Byzantine world, which have practically defined the apologetic discourse of Syria and Palestine in the 8-9 centuries. In Christian theology, after the anti-Monophysitian and anti-Nestorian doctrines has emerged anti-Mohamedian movement that has been a reaction to the rise of the Muslim religion. Thus, the beginning of the Arabic-speaking Christian theology and its systematic development are evident.

The first part of the report deals with the biography of Theodore Abu Qurrah and provides an extensive analysis of his work. We will also discuss in greater detail the socio-political environment in which Theodore Abu Qurrah worked. We present a discussion of Theodore Abu Qurrah's writing language and its characteristics.

The third part of the report deals with the identification of Theodore Abu Qurrah's theological methods, which should be different from existing Byzantine methods and practices. It is noteworthy that it was based on completely different motives and created new principles of Christian theology that were made with counterbalanced by Arabic theology.

Finally, as a conclusion, we present a comparative analysis of the Arabic-speaking experience of Christian apology and Byzantine theology. In the light of Byzantine theology, however, we show the similarities and differences between them. We will analyze the original ways of reception and transforming the Byzantine heritage, developed by Theodore Abu Qurrah.

კიტი მანაბელი

*ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი*

ხელოვნება და მემკვირვება: Spolia ბიზანტიასა და საქართველოში

არქიტექტურულ კონსტრუქციებში ძველი ნაგებობის ფრაგმენტების ჩართვის პრაქტიკა გვიანრომულ ხანაში იღებს სათავეს. ამ მოვლენის აღსანიშნავად მეცნიერებაში ტერმინი *Spolia* გამოიყენება. ძველი არქიტექტურული ფრაგმენტების გამოყენებას, პრაქტიკული დანიშნულების გარდა, სიმბოლური და იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა.

Spolia-ს გამოყენება განსაკუთრებით მასშტაბური კონსტანტინე დიდის ეპოქაში გახდა (ლატერანის ბაზილიკა, კონსტანტინე დიდის სატრიუმფო თაღი). რომის იმპერიის ოქროს ხანის ნაგებობათა ფრაგმენტების ჩართვა ახალ მშენებლობაში პოლიტიკური პროპაგანდის ნაწილი იყო. წინამორბედ ბრწყინვალე მბრძანებელთა რელიეფების ინტეგრაცია ახალ ნაგებობებში იმ-

პერატორის განდიდების იდეას ემსახურებოდა. ადრეული ნაგებობების ფრაგმენტები გამოყენებულია რომის, რავენის, საბერძნეთის მრავალ ძეგლში.

შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაშიც დასტურდება ადრეული ეპოქების არქიტექტურული და რელიეფური ფრაგმენტების გამოყენება. ოღონდ, ქართველი მშენებლები, ბიზანტიისაგან განსხვავებით, თავის ნაგებობებში რთავდნენ არა წინაქრისტიანულ, არამედ ადრეული ქრისტიანობის არქიტექტურულ და რელიეფურ ფრაგმენტებს. ამ ჩანართებს, პრაქტიკულად და იდეურად, საქართველოშიც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ბიზანტიაში.

მოხსენების მიზანია ქვემო ქართლის ხუროთმოძღვრული ძეგლების (მე-9-11 სს.) მაგალითზე Spolia-ს გამოყენების პრინციპების, მისი მხატვრულ-ისტორიული და იდეოლოგიური საფუძვლების გარკვევა. ამ ეკლესიებში მე-6-7 სს-თა ორნამენტული და სიმბოლური რელიეფების ჩადგმით მყარდება კავშირი ისტორიულ წარსულთან და მტკიცდება წინარე ეპოქების კულტურულ მიღწევებთან სულიერი კონტაქტი.

Kiti Machabeli

National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation

ART OF MEMORY: SPOLIA IN BYZANTIUM AND GEORGIA

The practice of incorporation of the fragments from earlier buildings into new structures goes back to the Late Antiquity. The re-used materials are referred as *spolia*. Together with practical purpose the re-using of old fragments has symbolic and ideological meanings.

The most striking cases of use of spolia are found in the structures associated with Constantine the Great (i.e. Lateran Basilica, Arch of Constantine, etc.). The incorporation of the fragments of the elements from his predecessors' structures from the golden Age of the

Roman Empire was an efficient propagandistic tool bridging his own epoch with the times of Good Emperors. The fragments of the earlier buildings are also seen in numerous churches of Rome, Ravenna and Greece.

We see the spolia in medieval Georgian church buildings of various periods. However, instead of pre-Christian fragments predominantly used as spolia in Roman and Byzantine churches, in Georgia are used early Christian relief fragments. The early Christian reliefs, mostly fragments of the pillars of high stone crosses, are seen both in interiors and facades of Georgian medieval churches.

I will focus on the aesthetic and ideological aspect of spolia extensively used in the churches of Kvemo Kartli (Lower Kartli, the part of east Georgia). The fragments of the 6th-7th century reliefs with ornaments and/or symbolic representations in the 9th-11th century church buildings were linking actual buildings with historical past and demonstrate the cultural continuity with previous epochs.

მაია მაჭავარიანი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დავით ტბელი – პიროვნება და მთარგმნელი

დავით ტბელი განეკუთვნება ძველი ქართული მწერლობის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც დიდად აფასებდნენ თანამედროვენი და რომელთა „ნამუშავეიც“ ნაკლებად შესწავლილია. მის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. მიახლოებით მონაცემებს დავითის ცხოვრების შესახებ ვხვდებით მხოლოდ გვიანდელ წყაროებში. სხვადასხვა ხელნაწერის რამდენიმე ანდერძ-მინაწერის და ევრემ მცირის ორიგინალური თხზულების – „მოსაგსენებელი მცირე სვიმეონისათჳს ლოლოთეტისა [და] თხრობად მიზეხთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“ მიხედვით დადგინდა დავითის მიერ შესრულებული თარგმანების სია, რომელთაგან მეტი ნაწილი არის გრიგოლ ნაზიანზელის თხზუ-

ლებების თარგმანები (ათი ჰომილია და ერთი ეპისტოლე). ნაშრომში წარმოდგენილია ცდა, გრიგოლ ნაზიანზელის დავით ტბელისეული თარგმანების დაწვრილებითი კოდოლოგიურ-ფილოლოგიური და მთარგმნელობითი პრინციპების ანალიზის საფუძველზე, შეიქმნას დავით ტბელის, როგორც პიროვნებისა და მთარგმნელის, პორტრეტი.

Maia Matchavariani

National Center of Manuscripts

DAVIT TBELI – PERSONALITY AND TRANSLATOR

Davit Tbeli is one of those Fathers of Church who were highly valued by their contemporaries and whose works are yet not fully studied. Almost nothing is known about Davit Tbeli. Scarce historical records that are available with respect to Davit Tbeli are of much later period. List of works which must have been translated by Davit was compiled based on several colophons preserved in ancient Georgian manuscripts and Ephrem Mtsire's original work titled "Memorial of Symeon the Logothete [and] the Story of Reasons for Translating Thereof". The most part of these works are translations of the works of Gregory Nazianzen (10 homilies and 1 epistle). This paper attempts to give a portrait of Davit Tbeli as a personality and a translator on the basis of codicological and philological analysis of Davit's translations of the works of Gregory Nazianzen as well as his translating principles.

ნელი მახარაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ტაო-კლარჯეთის ბერძნულ ტოპონიმთა ისტორიიდან (ა ვ რ ე ე ი)

ტოპონიმი **ავრეჟი** (თურქულენოვანი ფონეტიკური ვარიანტებით – ავრუთი, ავრუჟი, ავროჟი) მოხსენიებულია 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, ოსმალურ პოლიტიკურ ერთეულად ქცეული ტაო-კლარჯეთის პროვინციების საგადასახადო ვალდებულებათა აღწერისას – ოლთისის, არტანუჯის, დიდი არტანის ლივათა რამდენიმე ნაჰიეს სოფელთა ჩამონათვალში (ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა ნ. შენგეიამ, 2016).

ტერმინი წინარეოსმალურია და მომდინარეობს ბერძნული ორდაბოლოებიანი ზედსართავი სახელიდან ἄβροχος [avroxos], მნიშვნელობით **ურწყავი, უწვიმარი, გვალვიანი, მშრალი** (მიწა, ნიადაგი...).

ამავე მნიშვნელობით და ბერძნული ენის პონტოური დიალექტური ფორმით – **ავრეხი** (ἄβρεχος) სიტყვა გავრცელებულია ქართულ დიალექტებშიც (ზემო იმერულში, ქართლში, ზემო მთიულურში).

ბერძნული ტერმინი, თავის მხრივ, ნაწარმოებია სიტყვებიდან βροχή [vroxi] – **წვიმა**, ზმნა βρέχω [vrexo] – **ვასველებ, ვაწვიმებ** ... (βρέχει-უპირ. წვიმს). სიტყვის თავში დართული α-ნაწილაკი (α-privativum) სიტყვას უარყოფით მნიშვნელობას ანიჭებს: უწვიმარი, დაუსველებელი, გამომშრალი ... (აქედან ქართულში – უნაყოფო მიწა, ხე, ვაზი...). ჩვენში სიტყვის პონტოურ წარმომავლობას ადასტურებს ქართულ დიალექტებში ფართოდ გავრცელებული **რეში**-**ვრეში** [vreši] – დიდი წვიმა, თავსხმა, ნათესის წამლეკავი ნიაღვრის მოვარდნა და ა. შ., თავისი გადატანითი მნიშვნელობებით.

ON SOME GREEK TOPONYMS OF TAO-KLARJETI (AVREKI)

The toponym **Avreki** (its phonetic variants in Turkish are **Avruti**, **Avruki**, **Avroki**), is mentioned in "The 1574 Great Defter of Gurcistan Vilayet" in the list of the villages on quitrent, those of Olt, Artanuj, Major Artaan, Olti livas of the Tao-Klarjeti provinces then included into Ottoman political region.

This pre-Ottoman term is derived from the Greek double-suffixed adjective ἄβροχος [avroxos] that means unwatered, rainless, droughty, dry (land, soil...). The same meaning of the word **avreghi** (ავრეხი <ἄβρεχος) in the form of Pontus dialect of Greek is attested in Georgian Dialects (in Upper Imereti, Kartli, Upper Mtiuleti).

The Greek term itself is derived from the words βροχή [vroxi] – rain; the verb βρέχω [vrexo] – meaning 'I make it wet, 'I make it to rain' – (βρέχει – it rains). The particle α- (α-privativum) in the initial position of the word introduces the negative meaning: rainless, not wetted, dried out...(comp. Georgian barren soil, fruitless tree, vine...). The Pontic origin of the word is supported by the Georgian dialectal **reshi** (რეში <ვრეში reši<vreši) – pouring rain, downpour, flood washing away soil, etc., including their metaphorical meanings.

ნუგზარ მგელაძე, მარინე გიორგაძე, თემურ ტუნაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნარმართული და ქრისტიანული კულტურული კლასტები კონსტოელ ბერძენთა რელიგიურ რიტუალებში

კონსტოელ ბერძენებში მრავალფეროვანი საველე-ეთნოგრაფიული, ფოლკლორული თუ სხვა ტიპის წყაროები გვიდასტურებს ხალხური, მათ შორის, ისეთი ქრისტიანული დღესასწაუ-

ლების არსებობას, რომლებიც წარმართული – წინაქრისტიანული რიტუალური შრეების შემცველი იყო. მათი სხვა ბერძნულ სოციუმთა სულიერი სამყაროს რელიგიურ რიტუალებთან შედარებითი შესწავლა საინტერესო სოციოკულტურული და სოციორელიგიური ფაქტის გამოვლენისა და განზოგადების საფუძველი შეიძლება გახდეს.

Nugzar Mgeladze, Marine Giorgadze, Temur Tunadze

Batumi State University

PAGAN AND CHRISTIAN CULTURAL ELEMENTS IN RELIGIOUS RITUALS OF PONTIAN GREEKS

In Pontian Greeks, various field-ethnographic, folkloric or other types of sources confirm the existence of folk celebrations, including Christian ones, which contained the pagan – pre-Christian ritualistic layers. A research through comparing them with religious rituals of spiritual world of other Greek groups can become the basis of revealing and generalizing interesting sociocultural and socio-religious facts.

დამანა მელიქიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბელატიის საღმრთისმეტყველო-ფილოლოგიური სკოლის მთარგმნელ-მნიშვნობართა მუშაობის სტილი (მთარგმნელთა იდენტიფიკაციის პრობლემები)

გელათის სალიტერატურო სკოლა მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური და, საერთოდ, მეცნიერული ენის განვითარების გზაზე. ამ სკოლაში შემუშავდა თეორიული საფუძვლები ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა და ქართული მეცნიერული ენისა, დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქარ-

თული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ენა და სტილი, საფუძველი დაედო ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკურ სისტემას.

მოხსენებაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. სათარგმნი მასალის შერჩევისას მკვეთრი ტენდენცია ფილოსოფიურ-თეოლოგიური ეგზეგეტიკისა და დოგმატიკისადმი, რომელსაც უკავშირდება ადეკვატური თარგმანის თეორიის განვითარება და მისი მკაცრი გატარება პრაქტიკაში (რთული ფილოსოფიური და საღმრთისმეტყველო ხედვების გადმოცემისას მაქსიმალური სიზუსტის დაცვის მიზნით).

2. გამოკვეთილი პოზიცია, ერთი მხრივ, ბერძნული ენის, როგორც „გონიერ ხედვათათვის მომარჯვი“ ენისა, და, ამდენად, მისაბაძი მოდელის მიმართ; ხოლო, მეორე მხრივ, ხალხური (დასავლურ-ქართული) კილოს, როგორც მეცნიერულ-ლიტერატურული ენის გამდიდრების ძირითადი წყაროს მიმართ.

3. აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია გარკვეული ენობრივი ფორმებით (არქაულ-დიალექტური, განსაკუთრებით დერივაციული ინოვაციების) უტრირებისა, რაც საბოლოოდ სტილიზაციასა და მანერულობაში გადაიზარდა.

4. შეგნებული პოზიცია სპეციალური ფილოსოფიურ-საღმრთისმეტყველო ენის გამომუშავებისა და ფილოსოფიურ-საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგიის, როგორც სისტემის, ჩამოყალიბების მიმართ.

გელათის სკოლის ენობრივ-ლიტერატურული სტილის ერთიანობის ზოგად საფუძველებს, ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებთან ერთად, ქმნის ადეკვატური, ზედმიწევნითი თარგმანის პრინციპი, რომელიც წარმმართველია ამ სკოლის მთარგმნელ-შემოქმედთათვის მისი არსებობის მთელ მანძილზე (XII-XIII სს.). მაგრამ ამ ზოგადი კონცეფციური ერთიანობის ფონზე, ლექსიკურ-გრამატიკული თუ ინდივიდუალური ენობრივი მახასიათებლებით, აშკარად იკვეთება ორი ძირითადი განშტოება, რომლებიც ქართული ფილოლოგიური და თეოლოგიური აზრის

ორი მწვერვალის – „ყოველთა ეკლესიის განმანათლებელის“, „სჯულიერი მოღვაწის, თარგმანისა და ბერძენთა და ქართველთა ენის მეცნიერის“ – არსენ იყალთოელისა და ქართული ენის „მამზევებელისა და მადღევებელის“ – იოანე პლატონური ფილოსოფოსისაკენ, პეტრიწისაკენ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას. სწორედ ამ ორ მწვერვალს შორისაა განფენილი გელათის სკოლის შემოქმედ-მთარგმნელთა უმდიდრესი ნამოღვაწარი.

Damana Melikishvili

Tbilisi State University

**STYLE OF WORK OF TRANSLATORS AND THEOLOGIANS OF
THE GELATI THEOLOGICAL-PHILOLOGICAL SCHOOL
(Problems of Identification of Translators)**

Gelati translational-literature school is an important milestone in development of Georgian philosophical-theological, and in general, scientific language. In this school were elaborated theoretical foundations of precise, adequate translation and of the Georgian scientific language in general. In it was elaborated and established Georgian philosophical-theological language and style; in it was laid a foundation of the formal-semantic system of the Georgian philosophical terminology.

The presentation will tackle the following issues:

1. In selection of the material for translation, Gelati scholars display a clearly outlined tendency for philosophical-theological exegesis and dogmatics, which is connected with the development of the theory of adequate translation and its strict application into practice, with the aim of maximal exactitude in transmitting philosophical-theological ideas.

2. Gelatian scholars strongly uphold, on the one hand keeping of Greek as a model language for expressing philosophical theories, and

on the other hand utilizing the Western Georgian vernacular language as the main source and material for enrichment of the Georgian technical-philosophical vocabulary.

3. Gelatian scholars are characterized by a distinctive tendency of utilization of certain linguistic forms (archaic-dialectical, especially derivative innovations) that eventually degraded into stylization and mannerism.

4. A fully realized, intentional position for elaboration of philosophical-theological language and formation of philosophical-theological terminology as a wholesome system.

General foundations for the unity of the linguistic-literary style of the Gelati school, besides the abovementioned traits, are provided by the principle of the adequate, verbatim translation, that guides the translators and writers of this school throughout the period of its existence (XII-XIII cc.).

On the background of this conceptual unity, with regard of lexical-grammatical or individual linguistic characteristics, two main trends are clearly outlined. Those two trends are related respectively to two renowned scholars of the time: Arsen of Ikalto and Ioane Petritsi. Those two summits define the dual character of the rich legacy of the Gelati school.

However, we have a huge problem of identification of scholars of this time, for on the one hand there are three Arsens (Arsen of Ikalto, Arsen the Monk and Arsen the Son of Vache), and on the other hand, there are three Ioanes (Ioane Petritsi, Ioane Tarichidze and Ioane Chimchimeli), which problem can be solved through examination of a chart of linguistic peculiarities of the works attributed to those names that will be shown in this presentation.

ლალი მღებრიშვილი

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

სულიერი და სოციალური ფასეულობების წონასწორობა – მშვიდობის გარანტი

თანამედროვე მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. არაპროგნოზირებად გარემოში ცხოვრება ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი გახდა. რადიკალიზმის ახალი ფორმები საერთაშორისო სტაბილურობის მთავარ გამოწვევად იქცა. რადიკალიზმი თავს იჩენს როგორც რელიგიურ, ასევე სეკულარულ სივრცეში. მათ შორის დაპირისპირება კიდევ უფრო ამძაფრებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ ეთნიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ საომარ კონფლიქტებს, რითაც საფრთხეს უქმნის რელიგიურ და მსოფლიო მშვიდობას.

მასმედიის საშუალებებს ყოველდღიურად მოაქვს შემამფოთებელი ცნობები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან. საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან ერეკებიან ასეულ ათასობით მაცხოვრებლებს; ილუპებიან ათეულ ათასობით უდანაშაულო ადამიანები, ბავშვები, მოხუცები, ქალები და ასე შემდეგ. დღეს მშვიდობის თემა მთელი მსოფლიოსთვის აქტუალურია.

მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებას ღრმად სწამს, რომ მხოლოდ სულიერი და სოციალური ფასეულობების წონასწორობა არის გარანტი მშვიდობისა, სჯერა, რომ ნებისმიერი დაპირისპირების საფრთხე დიალოგით შეიძლება დაიძლიოს. რელიგიური ფაქტორიც ასევე დიდ როლს ასრულებდა ყოველ ეპოქასა და დროში, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მრავალეთნიკური ქვეყნებისათვის, რომლებიც რელიგიური სიჭრელით გამოირჩევიან, ნებისმიერის მიერ საკუთარი მრწამსის – „ჭეშმარიტების“ აგრესიული ქადაგება, არაგონივრულია.

მიუხედავად იმისა, რომ ესა თუ ის რელიგიური მიმდინარეობა ერთმანეთისგან განსხვავდება, მათში ბევრი მსგავსებაა

და ეს მსგავსება ისეთ უნივერსალურ ჭეშმარიტ ღირებულებებში გამოიხატება, როგორებიცაა – მშვიდობა, სამართლიანობა, პატიოსნება, კაცთმოყვარეობა, შემწყნარებლობა, ურთიერთპატივისცემა. ამიტომაც ჩვენ ვართ განსხვავებულნი და მსგავსნიც. ამდენად, პატივი უნდა ვცეთ ყველა ხალხის რელიგიას, კულტურას, ტრადიციას.

Lali Mgebrishvili

Research Institute of History, Ethnology, Religion Study and Propaganda

EQUILIBRIUM OF SPIRITUAL AND SOCIAL VALUES – A GUARANTEE OF PEACE

The modern world faces serious challenges. Living in unpredictable conditions has become part of our daily life. New forms of radicalism have become the main problem of international stability. Radicalism is visible in both religious and secular spaces. The contradiction between them further exacerbates ethnic, social, political or military conflicts in different parts of the world, creating a threat to religious and world peace.

The media brings disturbing information from different parts of the world every day. Hundreds of thousands of people are being driven out of their places of residence. Tens of thousands of innocent people, children, women and the elderly are dying. Today the topic of peace is relevant to the whole world.

The world progressive society believes that the balance of spiritual and social values is a guarantee of peace, believing that the threat of any confrontation can be overcome through dialogue. The religious factor also played a major role in every epoch in social and political life of any nation. For multinational countries that are distinguished by religious diversity, the aggressive preaching of their religious "truth" by any of their representatives is unreasonable.

Although religions differ from each other, there are many similarities, and this similarity is expressed in universal values, such as peace, justice, honesty, humility, tolerance, mutual respect. That is why we are different and at the same time similar, and therefore we have to respect the religion, culture and traditions of others.

თინათინ მჭვიდლობაძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამიერკავკასიის ევფენები კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე IV-XV საუკუნეებში

ნაშრომში განხილულია ამიერკავკასიის ქვეყნები, როგორც კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინი.

„ამიერკავკასია მუდამ წარმოადგენდა არა მხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ ხიდს, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის საკონტაქტო ზონასაც, სხვადასხვა მტრული, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავი ცივილიზაციების გზაჯვარედინსაც“.

როგორც ცნობილია, XI-XII საუკუნეები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ამ დროს არა მარტო „საქართველო“, არამედ კიდევ უფრო დიდი სამყარო – ამიერკავკასია წარმოიქმნა, რომლის ფორმირებაშიც, როგორც კავკასიის სამხრეთი და აღმოსავლეთი (სომხეთი, შირვანი), ასევე მთის იქითა კავკასიონიც (დაღესტან-ჩეჩნეთი, ოსეთი, ჩერქეზეთი) აქტიურად მონაწილეობდა.

მოცემულია სხვადასხვა მეცნიერთა (ს. სემიონოვის, ვ. ბიბლერის, ჯ. კაშიას და სხვათა) მოსაზრებები „სასაზღვრო კულტურათა“ ფუნქციის შესახებ.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამიერკავკასიის ეთნოსებს შორის, მთელი ისტორიის მანძილზე, კულტურულ ურთიერთობასთან ერთად, ეთნიკური ურთიერთობაც მყარდებოდა. კავკასიონის

ქედის ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული პოლიტიკური და კულტურული სისტემები.

ცივილიზაციათა კონტაქტის ზონად მიჩნეულია ბალკანეთი, როგორც რომანულ-გერმანული, აღმოსავლეთ ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციების ურთიერთმეხვედრის, ურთიერთგავლენისა და შეჯახების რეგიონი. ახ. წ. IV საუკუნიდან ბალკანეთის დიდი ნაწილი აღმოსავლეთ ქრისტიანული ცივილიზაციის შემადგენლობაში მოექცა, რომელიც, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ბიზანტიის იმპერიის სახით იყო წარმოდგენილი.

განხილულია კულტურათა, ცივილიზაციათაშორისი, ურთიერთობის სამი ძირითადი ტიპი: 1. კონფრონტაცია, 2. სიმბიოზი, 3. სინთეზი.

კავკასიური ერთობის აღსანიშნავად მოცემულია „ერთიანი კულტურული სივრცის“ ცნება. კულტურულ-ისტორიულ ერთობაზე განხილული და შეჯერებულია სხვადასხვა მკვლევრის (რ. სუნის, კ. გაჯიევის, ო. დამენიას) მოსაზრებები.

განხილულია ცივილიზაციის „ბირთვული“ და „პერიფერიული“ ან „განაპირა“ კულტურები. ქართული კულტურა კი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კავკასიური ერთობის „ბირთვად“ ქცევის არარეალიზებულ პერსპექტივას XI-XII საუკუნეებში), თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, წარმოადგენდა ერთ-ერთს იმ სასაზღვრო კულტურათაგან, რომლებიც დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა კონტაქტის ზონაში მდებარეობენ.

ამგვარად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა ურთიერთმეხება წარმოშობს „ცივილიზაციურ მორევებს“ და ქმნის კომუნიკაციური სივრცის არეალს, რომელსაც ახასიათებს მაღალი სასაზღვრო ენერგეტიკა.

TRANSCAUCASIAN COUNTRIES AT THE CROSSROAD OF CULTURES AND CIVILIZATIONS IN IV-XV CENTURIES

Transcaucasian countries are discussed in the work as the crossroad of cultures and civilizations.

"The Transcaucasia was always not only the bridge between the West and the East, but also the North and South contact zone, the crossroad of various hostile and sometimes mutually exclusive civilizations".

As it is known, XI-XII centuries are one of the important periods in the history of Georgia. At that time, not only "Georgia", but also the bigger world – Transcaucasia was formed, in the formation of which actively was involved as South and East of Caucasus (Armenia, Shirvan), as well as the Caucasus over the mountains (Dagestan-Chechnya, Ossetia, Cherkessia).

There are given the opinions of various scientists (S. Semionov, V. Bibler, J. Kashia and others) about the function of "border culture".

Together with cultural relations, ethnic relations were strengthened too between the North and South Transcaucasian ethnos throughout the whole history. In the north and south of the Caucasus Range substantially different political and cultural systems were formed.

The zone of contact with civilizations is considered the Balkans, as the region of mutual encounter, interaction and collision of Roman-German, Eastern Christian and Muslim civilizations from the 4th century AD, large portion of the Balkans became part of Eastern Christian civilization, which was represented by the Byzantine Empire in the state view.

There are discussed three main types of intercultural relations: 1. confrontation, 2. symbiosis, 3. synthesis.

The concept of "united cultural space" is given – to celebrate Caucasian Unity. Considerations of various researchers (R. Sune, K. Gajiev, O. Damenia) are discussed and reconciled on the cultural-historical unity.

There are discussed "nuclear" and "peripheral" or "root" cultures of civilization. Georgian culture (if we do not take into account the unrealized perspective of making "nucleus" the Caucasian unity in the XI-XII centuries) throughout its long history was one of those border cultures, which are located in the contact zone of with Western and Eastern civilizations.

Thus, the interaction of the West and East cultures generates "civilizational morals" and creates the area of communication space characterized by high border energy.

მაგდა მჭედლიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ტროპოლოგია, როგორც ნეოპლატონური
ფილოსოფიის სწავლების მეთოდი, პროკლეს
„თეოლოგიის ელემენტებზე“ იოანე კემტინის
კომენტარების მიხედვით**

მე-12 საუკუნის ქართველი ფილოსოფოსის – იოანე პეტრიწის კომენტარი პროკლეს „თეოლოგიის ელემენტებზე“ მიზნად ისახავს გელათის მონასტერთან არსებული სასწავლებლის მსმენელებისათვის ნეოპლატონური ფილოსოფიის სწავლებას პროკლეს მთელი შემოქმედების და, ზოგადად, პლატონური ლიტერატურის გათვალისწინებით. ისევე, როგორც მითის თხზვა არის პლატონიკოსებისათვის ერთგვარი მეთოდი ფილოსოფიური ხედვის გამოსათქმელად, ტროპებსაც ისინი იყენებენ არა იმდენად რიტორიკული, არამედ უფრო დიდაქტიკური მოსაზრებებით: ღრმა აზრის უფრო გასაგებად გადმოსაცემად. უპირვე-

ლეს ყოვლისა, ეს შეეხება თვალისათვის უხილავი მიღმა სამყაროს აღწერას, რაც ოდენ ანალოგიებისა და მეტაფორული ენის გამოყენებით არის შესაძლებელი. იოანე პეტრიწი, რომლის ნაშრომში საინტერესოდ არის შერწყმული ელინური ფილოსოფიური კომენტარებისა და ქრისტიან ეგზეგეტიკა ჰერმენევტიკული გამოცდილება, აცნობს მოწაფეებს ნეოპლატონიკოსთათვის ჩვეულ ფილოსოფიურ ტროპოლოგიას და, ამავდროულად, თავადვე მიმართავს ქართული ენის საფუძველზე ახალი ტროპების შექმნას. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, პეტრიწის მიერ გამოყენებული მეტაფორებისა და სიმბოლოების ანალიზი ხომ არ დაგვცხმარება, შევიცნოთ ნეოპლატონიზმის მისეული გაგება, კერძოდ, ახდენს თუ არა გავლენას ქრისტიანობა მის მიერ პროკლეს ფილოსოფიის გააზრებაზე.

Magda Mtchedlidze

Tbilisi State University

TROPOLOGY AS A METHOD OF TEACHING NEOPLATONIC PHILOSOPHY

(according to Ioane Petritsi's Commentary on Proclus' *Elements of Theology*)

The commentary of the 12th century Georgian philosopher Ioane Petritsi on Proclus' *Elements of Theology* aims to teach Neoplatonic philosophy to the students of a school at the Gelati Monastery by considering all works by Proclus and Platonic literature in general. Like Platonism employs creation of myth as a method to render its philosophical visions, it charges tropes with didactic rather than rhetorical function, namely, to make profound ideas more explicit. First of all, this concerns the description of the world above, invisible for eyes, which can only be done by means of analogies and metaphors. John Petritsi, whose work provides an interesting synthesis of the

hermeneutic experience of the Hellenic philosophy and of Christian exegetics, introduces to his students philosophical tropology typical of Neoplatonists and at the same time, coins new tropes on the basis of the Georgian language. It would be interesting to see if the analysis of metaphors and symbols used by Petritsi contributes to the comprehension of his understanding of Neoplatonism, specifically, if Christianity influenced his understanding of Proclus' philosophy.

დალი ნადიბაიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შავიზღვისპირეთის ეპყენების ადრეერისტიანული ტაძრები

შავიზღვისპირა ქვეყნებს მიეკუთვნება თანამედროვე თურქეთი, საქართველო, უკრაინა, რუსეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. უძველესი ქრისტიანული ტრადიცია აქვს თურქეთს, რომელიც ყოფილი ბიზანტიის იმპერიის უდიდესი ნაწილისა და, ამასთან ერთად, მისი კულტურული მემკვიდრეობის მფლობელია, ხოლო მომდევნო არის საქართველო, რომლის ეკლესიაც უძველესი და სამოციქულოა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას IV ს-დან ვითვლით ორივეგან და ქრისტიანული ხუროთმოძღვრებაც ამ პერიოდიდან ჩნდება. ორივე ქვეყანა გამოირჩევა ადრეერისტიანული ხუროთმოძღვრების შედეგებით, რომლებიც მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურს ამშვენებს (მაგ., ხორა, წმ. ირინეს ეკლესიები – თურქეთში, ბოლნისის სიონი (მე-5 ს.), დრანდა (მე-6 ს.), მცხეთის ჯვარი (მე-6 ს.), ნინოწმინდის (მე-6 ს.) ეკლესიები – საქართველოში). ბულგარეთის ეკლესიაც სამოციქულოა, ანდრია პირველწოდებული ითვლება მის განმანათლებლად, თუმცა დამოუკიდებლობა მოგვიანებით, 870 წლიდან მიიღო. უძველესი ქრისტიანული ტაძრები იქაც IV ს-ით თარიღდება – ესაა წმ.

გიორგის როტუნდა სოფიაში და, ასევე, წმ. სოფიას ტაძარი (მე-6 ს.) სოფიაში. რუმინეთის ეკლესია ავტოკეფალურია, მოგვიანებით მოიპოვეს რომის იმპერიისგან დამოუკიდებლობა. ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაცია აქ IV ს-დან არსებობდა, მაგრამ უძველესი ტაძრები, შენობა-ნაგებობების სახით, აქ არ არის, ყველაზე ძველია დენსუს ტაძარი (მე-13 ს.), რომელიც მე-2 ს-ის რომაული ტაძრის ადგილას არის აგებული და, ცხადია, ადრექრისტიანულად ვერ ჩაითვლება. რუსეთში ადრექრისტიანულ პერიოდში ქრისტიანობა ჯერ არ იყო გავრცელებული, ხოლო უკრაინის ტერიტორიაზე ადრექრისტიანულთან ყველაზე მიახლოებულად შეიძლება ჩაითვალოს ქერჩის ნახევარკუნძულზე წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია (717 წ.).

სტატიაში მოკლედ, შეძლებისდაგვარად, განხილული იქნება ყველა ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ამ რეგიონის უძველესი ტაძრების შესახებ და წარმოჩენილი იქნება მათი მნიშვნელობა ქრისტიანული კულტურისა და კაცობრიობის სულიერი აზროვნებისათვის.

Dali Nadibaidze

Tbilisi State University

EARLY CHRISTIAN CHURCHES IN THE BLACK SEA COUNTRIES

The countries of the Black Sea region are modern-day Turkey, Georgia, Ukraine, Russia, Romania and Bulgaria. Turkey, which now occupies the major part of the former Byzantine Empire and is the successor to its cultural legacy, can claim the earliest Christian tradition in the region. Next comes Georgia, whose apostolic church likewise dates from early times. Both Byzantine and Georgian churches were officially established in the 4th century, which coincides with the birth of Christian architecture. Both countries are rich in early Christian architectural masterpieces that outstand in the world's

cultural heritage (e. g. The Church of the Holy Saviour in Chora and Hagia Irene in Turkey (4th century) and the Bolnisi Sioni (5th century), the Dranda Cathedral (6th century), the Cross Monastery in Mtskheta and churches in Ninotsminda (6th century) in Georgia). The Bulgarian church is also apostolic, as Christianity is believed to have been propagated in the area by Apostle Andrew the First Called. However, the Bulgarian church became independent later, in 870. The earliest churches in Bulgaria also date from the 4th century. They are the Church of Saint George Rotunda and the Saint Sofia Church in Sofia (4th-6th centuries). The Romanian Church is autocephalic. It later acquired independence from the Roman Empire. Although the Church of Romania as an institution dates from the 4th century, there were no church buildings in Romania until the 13th century, when the Densuș Church was built in the place of a 2nd century Roman pagan temple. Thus, it cannot be regarded as an example of early Christian architecture. In Russia, Christianity spread in a later period, while on the Ukrainian territory, closest to the early Christian period is the Church of Saint John the Baptist in Kerch, which was built in 717.

The article will provide an overview of all available information about early churches in the Black Sea region and will attempt to highlight their significance for Christian culture and spiritual thought.

ირინა ნაცვლიშვილი

ოსუ, ლიტერატურის ინსტიტუტი

**ბიზანტიურ წყაროებთან მიმართების
მსოფლმხედველობრივი და კულტურული მარკირები
შაბთააღმწერლის თხზულებაში**

შუა საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა განუყოფელი ნაწილია თავისი ეპოქის სააზროვნო და შემოქმედე-

ბითი პროცესისა, რომელიც, ერთი მხრივ, ბიბლიურ-პარადიგ-
მული სახისმეტყველებით წარმოგვიდგება, მეორე მხრივ კი,
თანადროული ცივილიზებული სივრცის სრულუფლებიან წევ-
რად ყოფნის სამართლიან ამბიციას ავლენს. ამგვარი მსოფლ-
მხედველობრივი და კულტურული მარკერები, ჟანრობრივი
სპეციფიკის გათვალისწინებით, სხვადასხვა ფორმით გამოვ-
ლინდა ძველი ქართული მწერლობის ყველა დარგში, მათ შო-
რის, ისტორიოგრაფიაშიც, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო ნი-
მუში XIV საუკუნის უცნობი ჟამთააღმწერლის თხზულებაა.

აღნიშნული თვალსაზრისით, საინტერესო სურათს წარ-
მოგვიდგენს ბიზანტიური და ადრექრისტიანული პერიოდის
რამდენიმე ბერძნული წყაროს მიმართ ქართველი ისტორიკოსის
დამოკიდებულების მსოფლმხედველობრივი და სტილური მა-
ხასიათებლები. ყურადღებას მივაქცევთ სამ ეპიზოდს, რომლებ-
საც ბერძნული ქრონოგრაფების ნარატივების კვალი ატყვია,
თუმცა მათი ფუნქცია თხზულების კონტექსტში, უმთავრესად,
ქართულ სივრცეში მიმდინარე მოვლენებთან შედარებაა; აღსა-
ნიშნავია, რომ ჟამთააღმწერელი შემოქმედის თავისუფლებით
უდგება თავის წყაროებს და რამდენადმე სახეცვლილად, ზო-
გიერთი სახეობრივი დეტალის დამატებით წარმოგვიდგენს.
ერთ-ერთი ეპიზოდი ჩალატა ნოინის მკვლელობას ასახავს, როცა
უდანაშაულო ქართველები განსაცდელისგან ღვთისმშობელმა
იხსნა. ამ მოვლენას მემატთანე 625 წელს წმინდა მარიამის მეო-
ხებით ქალაქ კონსტანტინოპოლის გადარჩენას ადარებს და,
სავარაუდოდ, ამბის გადმოცემისას ეყრდნობა VIII-IX სს-ის ბი-
ზანტიელი ქრონისტის, თეოფანეს, თხრობას; სხვა ორ შემთხ-
ვევაში კი ჟამთააღმწერელი მოხმობილი შედარებების წყაროდ
იოსებ ფლავიუსს ასახელებს: ერთი - მეფე რუსუდანის დროს
ხვარაზმელთა თარეშის შედეგად თბილისში დატრიალებული
ტრაგედიის კონტექსტშია ჩართული, მეორე კი - მამიდისაგან
განწირული დავით უფლისწულის სასწაულებრივ გადარჩენას
უკავშირდება. პირველში ქართული რეალია შედარებულია 70

წელს რომაელთა მიერ იერუსალიმის აღებასთან, რის შესახებაც ვრცლად არის მოთხრობილი იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა ომში“, თუმცა ჟამთააღმწერლის მიერ დამოწმებული ცნობები საფიქრებელს ხდის, რომ იგი შეიძლება არა უშუალოდ ფლავიუსის ნაშრომით, არამედ გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფით სარგებლობდეს. შედარების საფუძველზე, ცხადი ხდება, რომ ქართველ მემატთანეს წყაროს (თუ წყაროების) ტექსტში რიგი სახისმეტყველებითი კორექტივები შეაქვს. ჟამთააღმწერლის მიერ იოსებ ფლავიუსის დამოწმების მეორე შემთხვევა ბიბლიურ ისტორიას უკავშირდება და, ვფიქრობთ, ფუნქციონალურად უფრო დამატებითი აქცენტების გამოკვეთას ემსახურება, ვიდრე არსებითისას, რომელიც თავისთავად გაცხადებულია ბიბლიაში.

ჟამთააღმწერლის თხზულების დასახელებული ვრცელი პასაჟების ანალიზი ცხადად ავლენს, რომ წყაროთა ქრონოგრაფიულ ნარატივს ქართველი მემატთანე გარდაქმნის ახალ ესთეტიკურ დისკურსად, რომელშიც საქართველოს ისტორია წარმოდგენილია კაცობრიობის მარადიული თუ რომაულ-ბიზანტიური მოვლენების საერთო კონტექსტში; მიზანმიმართული აქცენტებით თვალსაჩინოს ხდის თანადროული ეროვნული ცნობიერების მსოფლმხედველობრივ და კულტურულ მარკერებს.

Irina Natsvlishvili

TSU, Institute of Literature

WORLDVIEW AND CULTURAL MARKERS IN RELATION TO BYZANTINE SOURCES IN THE CHRONICLER'S COMPOSITION

The medieval Georgian historical writing is an integral part of the intellectual and creative process of the epoch, which, on the one hand, is represented by biblical-paradigmatic tropology, and on the

other hand, demonstrates righteous ambition of being a full-fledged member of the contemporary civilized space. Such kind of worldview and cultural markers, with account of genre specificity, have been revealed in different forms in all areas of the old Georgian writing, including the historiography, one of the best examples of which is the composition of 14th-century unknown chronicler.

From this viewpoint, the worldview and stylistic characteristics of the Georgian chronicler's relation to some Greek sources of the Byzantine and Early Christian periods provide researchers with interesting details. Let us draw attention to the three episodes, which have a trace of narratives of Greek chronographs, though their function in the context of the composition is mainly a comparison with the events occurring in the Georgian space. It is noteworthy that the chronicler treats his sources with the freedom of a creator and presents them somewhat modified by adding some figurative details. One of them is an episode of the murderer of Chagata Noin in which the chronicler compares the salvation of falsely accused Georgians with the assistance of the Virgin to the salvation of Constantinople in 625 and presumably when retelling the event, he is based on the narration of Byzantine 8th-9th-century chronicler Theophanes the Confessor; and in two other cases the chronicler names Joseph Flavius as a source of this comparison: one episode is included in the context of the tragedy unfolded in Tbilisi as a result of the Khoresmians attacks in the times of Queen Rusudan and the second one is associated with the miraculous salvation of Prince David doomed to death by his aunt. In the first one the Georgian reality is compared with the siege of Jerusalem by Romans in the year 70 about which a detailed narration is given in Josephus Flavius's "Jewish Wars", although the information attested by the chronicler makes us pondering that perhaps he did not use Flavius's work directly, but the chronograph of George Hamartol. Based on the comparison, it becomes obvious

that the Georgian chronicler makes a number of tropological corrections in the source text (or sources).

The second instance of the chronicle's reference to Josephus Flavius's testimony is related to the biblical history and we think that functionally it serves to highlight additional accents rather than essential ones, which are already announced in the Bible.

An analysis of the mentioned passages of the chronicler's account clearly shows that the chronicler transforms the chronographic narrative of his sources into a new aesthetic discourse, in which Georgia's history is presented in the general context of eternal or Roman-Byzantine events of the mankind. Purposeful accents clearly demonstrate the worldview and cultural markers of contemporary national identity.

ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი
გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრი

ევროპელი მისიონერები გიორგი სააკაძის რელიგიური მრწამსის შესახებ

იოსებ ტფილელმა (სააკაძე) მიტროპოლიტმა თავის შესანიშნავ ეროვნულ-ისტორიული ჟანრის ბიბლიური მოტივებით სავსე პოემაში („დიდმოურავიანი“) დიდი ქართველი მხედართმთავარი გიორგი სააკაძე ქრისტიანად გამოიყვანა. ვახუშტის „ქართლის ცხოვრებაში“ გიორგი სააკაძე მაჰმადიანია. ისმის კითხვა: რეალურად რჯული შეიცვალა თუ არა დიდმა მოურავმა?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ევროპელ მეცნიერთა თუ იმ დროს მოღვაწე მისიონერთა ცნობები. აღსანიშნავია, რომ მარი ბროსეს გამოკვლევებით სააკაძე ქრისტიანია სპარსეთშიც და ოსმალეთშიც იძულებით გადახვეწისას. მარი ბროსეს ამ მტკიცებას „ქართველი პრინცი“ – გიორგი სააკაძის (იგივე დიდი

მოურავის) ქრისტიანობას ადასტურებს გამოჩენილი იტალიელი მოგზაურის და დიპლომატის პიეტრო დელა ვალეს ახლად აღმოჩენილი 1619-1621 წწ-ის მასალები, აგრეთვე მამა ვინსენტ ჰორმუზელის, მამა მიქაელო მოსკოს, არქანჯელო ლამბერტის, კონსტანტინოპოლისა და ალეპოს მისიონერის, კონტარინის და სხვათა ჩანაწერები.

Vazha Otarashvili, Eka Kvantaliani

Giorgi Saakadze's Research Center

EUROPEAN MISSIONARIES ABOUT THE FAITH OF Giorgi SAAKADZE

Ioseb Tbileli (Saakadze), the Metropolitan of Tbilisi, presented the great Georgian commander Giorgi Saakadze as a Christian in his poem "idmouraviani" with biblical scenes, according to Vakhushti, "Description of the Kingdom of Georgia", Giorgi Saakadze is a Muslim. Giorgi Saakadze was a Christian, which was confirmed by European scientists or missionaries at the time, for example: by Marie Brosset, Archangelo Lamberti, according to documents of Pietro Della Valle (1619-1621) recently discovered, and by Father Vincent de Hormuz, missionary of Constantinople and Alepe Contarini and others.

თამარ ოთხმეგური

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ანტიოქიის რეგიონის ქართული მნიშვნობრული პროცესების რეკონსტრუქციისათვის: XI საუკუნის 70-90-იანი წლები

XI საუკუნის 70-90-იან წლებში ანტიოქიის რეგიონში მიმდინარე მწიგნობრული პროცესები დაკავშირებულია ცნობილი

ქართველი მთარგმნელის, ეფრემ მცირის სახელთან. ამ პერიოდში ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში თავს იჩენს ახალი ინტელექტუალური მიმდინარეობა – ელინოფილიზმი, რომელიც ქართველთა მწიგნობრული საქმიანობის სხვადასხვა სფეროს მოიცავს. ამ მიმდინარეობის ფარგლებში ყალიბდება ახალი მთარგმნელობითი კონცეფცია, რომელიც ბერძნულთან დაახლოებული (*ad verbatim*) თარგმანების შექმნას გულისხმობს; სათარგმნ რეპერტუარში უპირატესობა ენიჭება ეგზეგეტურ, კომენტარულ ტექსტებს, სქოლასტიკის ჟანრს და სხვ. ელინოფილიზმი ასევე გავლენას ახდენს შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერ წიგნზე.

მოხსენებაში განვიხილავთ ეფრემ მცირის თარგმანების შემცველ რამდენიმე ხელნაწერს და კოდოკოლოგიურ-პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე განვსაზღვრავთ მათი გადაწერის/შედგენის ადგილსა და პერიოდს; წარმოვაჩინოთ ამ ხელნაწერთა ელინიზებულ ხასიათს და მათ ფუნქციას – საგანმანათლებლო დანიშნულებას; გამოვკვეთთ ამ ტიპის ხელნაწერთა მნიშვნელობას შუა საუკუნეების ქართული წიგნიერების განვითარებასა და ახალი ტიპის ქართველი მკითხველის ჩამოყალიბებაში. ზაქარიას წინასწარმეტყველების ოშკური ტიპის თარგმანის ხასიათით წმინდა წერილის ქართული თარგმანის ბერძნული ენის ცუდად მცოდნე მკითხველიც მიხვდება, რომ ორიგინალთან ძალზე ახლომდგომ ტექსტთან აქვს საქმე. თუ მათ სიტყვასიტყვით შედარებას მოინდომებს ვინმე, დაინახავს ქართული ენის ფორმირების ცოცხალ პროცესს, მის თვალწინ „დაიბადებიან“ ახალ-ახალი სიტყვები, ახლოდან დააკვირდება მთარგმნელს, როგორც შემოქმედს, როგორც მამიებელს, ნახავს, რა უჭირს მას.

ჩემს მოხსენებაში ამ საკითხებზე მსჯელობა ზაქარიას წინასწარმეტყველების ოშკური ტიპის თარგმანის მაგალითზე მსურს.

წინასწარმეტყველთა ხილვის აღწერა გარეგანი ენით მეტად რთულია. რთულია მისი თარგმნაც, მით უფრო ქართველი

მთარგმნელისთვის, რომლისთვისაც უცხოა ბერძნულის გზით გაშუალებული სემიტური აზროვნების თავისებურებები. ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტი სავსეა მხატვრული სახეებით, სიმბოლოებით, დატვირთულია იდიომატური გამოთქმებით, ფორმულებით, მრავალფეროვანი ლექსიკით: მილიტარისტული, იურიდიული, რელიგიური, ტექნიკური, შესამოსლის, არქექტურის და სხვ. საინტერესოა, მათი თარგმნისას მთარგმნელი სიტყვის ძირითადი მნიშვნელობიდან ამოდის თუ სათარგმნი სიტყვის ეკვივალენტს კონტექსტის შესაბამისად არჩევს? როგორ ახდენს ტექსტის სეგმენტირებას? სად იჩენს მთარგმნელი სიტყვასიტყვითობას და სად თავისუფლებას, როგორ ხდება თარგმანის ამ ორი ხერხის ბალანსი? როგორ ინარჩუნებს მთარგმნელი ტექსტის პოეტურ სტილს?

Thamar Otkhmezuri

National Centre of Manuscripts

RECONSTRUCTING THE GEORGIAN SCHOLARLY PROCESSES IN THE ANTIOCH REGION: THE 70S –90S OF THE 11TH CENTURY

From the '70s till late '90s of the 11th century the Georgian literary processes and book production in the Antioch region was closely connected with the outstanding Georgian scholar Ephrem Mtsire. This was a period when a new intellectual current *hellenophilism* appeared in Georgian literary tradition, which was reflected in different spheres of intellectual activity, such as the formation of new concept of *ad verbatim* translation, new literary repertoire for translation – preference for exegesis, commentaries, scholastic literature, etc. This tendency also shaped the medieval Georgian manuscript production.

The aim of the paper is:(a) to analyze several Georgian manuscripts including Ephrem Mtsire's translations and determine the place and date of their copying; (b) to represent a new hellenized format of

these manuscripts and to show how they had acquired a new function serving the Georgian readers to enrich their knowledge; (c) to underline the role these manuscripts played in shaping a new attitude of the Georgian readers toward reading.

ზურაბ პაპასქირი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზანტიის იმპერიასთან „ერთობისა და სიყვარულის“ იდეოლოგიის პროკაბანდა ქართულ საისტორიო თხზულებებში - „ცხოვრებად ვახტანგ გორგასლისა“ და „ცხოვრებად და უწყებად ბაგრატონიანთა“

„მატიანე ქართლისაჲდ“ წოდებული XI საუკუნის ანონიმი მემატიანის თხზულებაში ერთმანეთის მიყოლებით ვხვდებით ორ პასაჟს, რომელშიც გადმოცემულია მარიამ დედოფლის – გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფის, გიორგი I-ის (1014-1027) ქვრივისა და ქვეყნის ფაქტობრივი მმართველის – კონსტანტინოპოლში ოფიციალური ვიზიტის პერიპეტიები.

„მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის ამ ნარატივში ყურადღებას იქცევს თხზულებაში გამოყენებული ფორმულა: „**ძიება მშვიდობისა და ერთობისა**“ და „**ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისათჳს**“, რაც ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობებში საქართველოს სამეფო კარის გარკვეული პოლიტიკური კურსის გამოხატველია. მართალია, თვით „მატიანე ქართლისაჲში“ არა გვხვდება ამ მოვლენის შეფასება და ავტორი მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით იფარგლება, მაგრამ გვაქვს მეორე თხზულება – იმავე XI საუკუნის ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის (აშკარად ამ მოვლენების თანამედროვის) ქრონიკა: „**ცხოვრებად და უწყებად ბაგრატონიანთა**“, რომელშიც საქართველოს დედოფლის ეს ნაბიჯი პოლიტიკურადაა შეფასებული და „**მშვიდობა და ერთობა**“, აგრეთვე, „**ერთობა და სიყვარული**“ იმპერიასთან, გარკვეულწილად, იდეოლოგიურ დატვირთვას იძენს. ის ერ-

თნიშნად გამოცხადებულია ქვეყნის ხსნად. ბიზანტიის იმპერიასთან „მშვიდობისა და ერთობის“, „ერთობისა და სიყვარულის“ ეს პოლიტიკა მთლიანად ესადაგებოდა ოფიციალური კონსტანტინოპოლის მისწრაფებას იმპერიის გარშემო ერთგვარი „ზეეროვნული, კულტურულ-პოლიტიკური ერთობის“ შექმნისა, რომელიც მეცნიერებაში „ბიზანტიური თანამეგობრობის“ სახელითაა ცნობილი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე არ იყო ერთადერთი, ვინც ქადაგებდა ბიზანტიასთან „ერთობისა და სიყვარულის“ იდეოლოგიას. ამგვარი პროპაგანდის ნიშნები აშკარად შეიმჩნევა „ქართლის ცხოვრების“ კრებულის კიდევ ერთ მატრიანეში – „ცხოვრებად ვახტანგ გორგასლისა“, რომლის ავტორობას ჯუანშერ ჯუანშერიანს მიაწერენ. ამ ქრონიკაშიც მოგვეპოვება არაერთი პასაჟი, რომელშიც ღიადაა გამჟღავნებული ავტორის ბიზანტოფილური განწყობილებები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა იმპერიასთან ერთმორწმუნეობის ხაზგასმა, აგრეთვე, თანადგომა ვახტანგ გორგასლისა, რომელმაც „მემუსრვისაგან“ იხსნა „დიდი ქალაქი პონტოდასა“, მშვიდობა ჩამოაგდო ბერძენთა და სპარსთა შორის და, რომლისა „წრმლითა“ იმპერიამ დაიბრუნა „პალესტინე და ორი ნაწილი ჯაზირეთისა“.

Zurab Papaskiri

Sokhumi State University

ABOUT PROPAGANDA OF THE IDEOLOGY OF "ALLIANCE AND AMITY" WITH THE BYZANTINE EMPIRE IN GEORGIAN HISTORICAL WRITINGS" - *THE LIFE OF VAKHTANG GORGASALI* AND "*THE LIFE AND TALE OF THE BAGRATIONIS*"

The 11th c. anonymous author of *Matiane Kartlisa (The Chronicle of Kartli)* gives the account of queen Mariam's, widow of king Gi-

orgi I (1014-1027) and de facto ruler of country, visit to Constantinople. The covering of the visit contains two significant fragments which should be taken into consideration: "**to seek peace and concord**" and "**a pledge and guarantee of alliance and amity.**" The author of the chronicle gives no assessments, but these excerpts show the certain political orientation of the Georgian court in relations with Byzantine Empire. It is proven by another work: *The Life and Tale of the Bagrationis* by Sumbat Davitis-dze (also 11th c. author who was a contemporary of those events). He assesses the queen's visit from political viewpoint and clearly gives an ideological significance to "**peace and concord**" and "**alliance and amity.**" Those formulae are declared as the means of saving country. The policy of "**peace and concord**" and "**alliance and amity**" with the Byzantine Empire was in full accordance with the aspirations of the official Constantinople to create the "supranational cultural and political union" known as "the Byzantine Commonwealth" among historians.

Sumbat Davitis-dze was not alone in his political preferences. The propaganda of "**alliance and amity**" with the Byzantine Empire can be also seen in *The life of Vakhtang Gorgasali*, chronicle which is ascribed to Juansher Juansheriani. The numerous fragments of the chronicle clearly show author's Byzantophile tendencies. The following excerpts should be noted especially: the underscoring the same religion with the empire; the help of Vakhtang Gorgasali, who "saved from destruction the great city of Pont," "...created peace between the Greeks and the Persians" and "...with his sword recovered Palestine... and both parts of Jazira" for the empire.

ქართული ანბანის პირველი კვლიკაცია

ქართული ანბანი სტამბას პირველად, დღემდე ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით, 1608 წელს ნიურნბერგში ეზიარა. ამ დროს იქ გამოქვეყნდა გერმანელი ლუთერანი თეოლოგის, დიპლომატისა და მოგზაურის, სალომონ შვაიგერის (Salomon Schweigger) ნაშრომი „Ein neue Reyßbeschreibung aus Teutschland nach Constantinopel und Jerusalem [გერმანიიდან კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმისაკენ მოგზაურობის ახალი ჩანაწერები]“, რომელშიც მოცემულია ძველი ქართული ანბანი სახელწოდებათა ლათინური გრაფემებით და 1-ლი ფსალმუნის 1-ლი მუხლის ქართული თარგმანი ასევე ლათინური გრაფემებით. იქვე აღნიშნულია, რომ ეს ანბანი და ეს ტექსტი ავტორს წიგნაკში ჩააწერინა ბერმა იოსებმა 1579 წლის 29 ივნისს. როგორც ამ წყაროდან, ისე სხვა (ქართული და არაქართული) წყაროებიდან ცნობილია, რომ ამ დროს კონსტანტინოპოლში დიპლომატიური მისიით იმყოფებოდნენ ძმები ათაბაგები – ყვარყვარე და მანუჩარი. სალომონ შვაიგერის ჩანაწერების თანახმად, ბერი იოსები მათ ამაღლას განეკუთვნებოდა.

ქართველოლოგთა შორის აღნიშნულ ფაქტს ყურადღება პირველად მარი ბროსემ მიაქცია, მოგვეპოვება ს. შვაიგერის თხზულების შესაბამისი მონაკვეთის შემოკლებული თარგმანი ქართულ ენაზე (გ. ნათიძე) და ამ ფაქტის შეფასებაც (შოთა რევიშვილი). ამის მიუხედავად, ქართული კულტურული და თვით სამეცნიერო საზოგადოების დიდი ნაწილისთვისაც კი სალომონ შვაიგერის აღნიშნული ინფორმაცია უცნობია და ბევრი ფიქრობს, რომ ქართული ანბანი პირველად 1629 წელს დაიბეჭდა რომში. ჩვენს მონოგრაფიაში „ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორია საქართველოში: წინაისტორია და ისტორია [From the History of Evangelical-Lutheran Church in Georgia: Prehistory

and History]“, რომელიც შედგენილია ქართულ და გერმანულ ენებზე და ცალ-ცალკე გამოცემული (თბილისი, 2018), აღნიშნული მონაკვეთი სრულად არის თარგმნილი.

ქართული ანბანის შვავიერისეული პუბლიკაცია, გარდა ასაკისა, ყურადღებას ქართული დამწერლობათმცოდნეობის თვალსაზრისითაც იმსახურებს. ის არის ძველი ქართული ანბანის მინუსკული ვარიანტი, რომელიც ცნობილია ნუსხა-ხუცურის, ანდა კუთხურის (კუთხოვანის) სახელწოდებით. 38 ასონიშნიდან აქ წარმოდგენილია 36: გამორჩენილია „რაე“ და „ჰე“. ზოგიერთი ასოს („ტარ“, „ქან“, „ხან“) მოხაზულობა ზუსტი არ არის. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: აღნიშნული ფიქსაცია მოხდა სპონტანურად. გერმანელი თეოლოგის წიგნაკში ანბანის ჩამწერი ქართველი ბერი ამ საქმისათვის სათანადოდ მომზადებული არ უნდა ყოფილიყო; სავარაუდოა, რომ იმ მომენტში მას რაიმე ნიმუშზე ხელი არ მიუწვდებოდა და მხოლოდ საკუთარ მეხსიერებას დაეყრდნო. ამასთანავე: გავითვალისწინოთ, რომ კონსტანტინოპოლში შესრულებული ჩანაწერის პუბლიკაცია ნიურნბერგში 29 წლის შემდეგ განხორციელდა. ეჭვი არაა, რომ ამ დროს ქართველი დამწერის უზუსტობებს გერმანელ ასოთამწყობთა უზუსტობებიც დაემატებოდა. ამის მიუხედავად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ანბანის უძველესი ტიპოგრაფიული პუბლიკაცია მთლიანობაში ადეკვატურია და მას ქართული კულტურის ისტორიაში საპატიო ადგილი ეკუთვნის.

Nugzar Papuashvili

Georgian National Centre of Manuscripts

FIRST PUBLICATION OF THE GEORGIAN ALPHABET

The Georgian alphabet, as suggested by the materials known to us to date, was first published in Nuremberg, in 1608. At the same

time, the work by German Lutheran theologian, diplomat and traveller Salomon Schweigger "Ein neue Reyßbeschreibung aus Teutschland nach Constantinopel und Jerusalem [New memoirs of the trip from Germany to Constantinople and Jerusalem]", which describes an old Georgian alphabet with the names given with Latin graphemes and gives the Georgian translation of stanza 1 of Psalm 1, with Latin graphemes as well, was printed at the same publishing house. The book notes that it was monk Ioseb, who wrote the given wording and alphabet in the author's pocket book on June 29, 1579. Both, the given source and other (Georgian and non-Georgian) sources state that at that time, brothers Atabagis – Kvarkvare and Manuchar – were on their diplomatic mission in Constantinople. As Schweigger's memoirs state, monk Ioseb was among their retinue.

Of the Kartvelologists, Marie Brosset was the first to pay attention to this fact. We have a short version of the Georgian translation of the relevant section of the work by Schweigger (by G. Natidze) and opinion about the given fact (by Shota Revishvili). Despite this, the majority of the Georgian cultural and even scientific society is unaware of the piece of information given by Salomon Schweigger, and many think that the Georgian alphabet was first printed in Rome, in 1629. Our monograph "From the History of Evangelical-Lutheran Church in Georgia: Prehistory and History" written in Georgian and German and published as separate books (Tbilisi, 2018), this section is totally translated.

Schweigger's publication of the Georgian alphabet, besides its age, draws attention with its paleography. It is a minuscule version of the old Georgian alphabet known as Nuskhā-Khutsuri, or Kutkhuri (*square*). This alphabet has 36 of total 38 letters, with two letters missing („რჲე [rae]“ and „ჲე [wie]“). Besides, the outline of some letters is not accurate (e.g. of letters „ტარ [tar]“, „ქან [khan]“, „ხან [xan]“), and this is logical, if considering the following fact: the fixation was done spontaneously. The Georgian monk having written

the alphabet in the pocket book of the German man must not have been duly prepared for this act. Presumably, at that moment, he had no any sample of the alphabet at hand and relied on his memory only. Besides, one must consider that the record made in Constantinople was published in Nuremberg 29 years later. No doubt, the inaccuracies made by the Georgian monk having written the Georgian alphabet with his hand were augmented by the inaccuracies of German typesetters. Despite this, we can assume that the ancient topographic publication of the Georgian alphabet is adequate as a whole and deserves a dignified place in the history of the Georgian culture.

ბოჯანა პავლოვიჩი

სერბეთის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემია

Bojana Pavlovic'

Serbian Academy of Sciences and Art

**INTELLECTUALS OF THE PONTOS: CULTURAL RELATIONS
BETWEEN CONSTANTINOPLE AND THE CITIES OF THE BLACK
SEA REGION IN THE PALAIOLOGAN PERIOD**

The aim of this paper is to outline the network of intellectuals of the Black Sea Region and explore the nature of their connections to the common hearth of the oikoumenē, the City of Constantinople. The chronological framework is limited to the Palaiologan period (1259-1453). Two perspectives shall be in the focus of attention: the first one, related to the intellectuals coming from the cities which belonged to the Byzantine Empire (e. g. Pontoherakleia); the second, related to the intellectuals of the Empire of Trebizond. The difference in their perception of and relation to Constantinople is, of course, to be expected, for the Empire of Trebizond was an independent state which, for some years, outlived the Empire in Constantinople. The research shall, therefore, firstly be concentrated on identifying as many of the learned Byzantines stemming from the Pontos region as

possible, and on tracing their scholarly and other engagements in the capital city. One of the main representatives of this group is John, the metropolitan of Pontoherakleia, who was close to the court of the first Palaiologan emperor and whose nephew became one of the leading historians of the Late Byzantine Empire, Nikephoros Gregoras. The second group of intellectuals will be formed of the Trapezuntine learned elite, which Michael Panaretos certainly belonged to. Although it is not our primary focus to discuss the perception of Trebizond in the works of the Constantinopolitan educated elite or vice versa, some aspects of this problem will also be taken into consideration.

ნინო პოპიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროზელიტიზმი და ჰაგიოგრაფიული ტექსტი

ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის განვითარება თავის კვალს ტოვებს ქართულ ლიტერატურაში საეკლესიო-სასულიერო ლიტერატურის სახით. მათ შორის, აღსანიშნავია პროზელიტიზმი და მისი ასახვა ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში.

სარწმუნოების შეცვლის ქრისტიანული მოდელი ბიზანტიური ჰაგიოგრაფიიდან იღებს სათავეს. ქართულ ლიტერატურაში ცნობილია სამი ძეგლი – უცნობი ავტორის „კოლაელ ყრმათა წამება“, უცნობი ავტორის „ვესტათი მცხეთელის წამება“ და იოანე საბანისძის „აბოლ წამება“, რომლებშიც აღწერილია პროზელიტების ცხოვრება და წამება. აღნიშნულ ტექსტებში შეინიშნება საერთო ლიტერატურული მოდელები, თუმცა იკვეთება განსხვავებები, რომლებიც ისტორიულ და ეპოქალურ ხასიათს ატარებს.

პროზელიტიზმის წარმოშობა უკავშირდება იუდეურ რელიგიას, თუმცა გვხვდება ქრისტიანობაში მისი გავრცელების საწყის ეტაპზე. პროზელიტიზმის ძირითადი არსი წარმოადგენს

ერთი რელიგიის უპირატესობების გამოკვეთას და აღნიშნულის არგუმენტირებას, რასაც რელიგიური საფუძველი გააჩნია. ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ასახული პროზელიტიზმი, ერთი მხრივ, იმეორებს ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის ასახვის მოდელსა და თავისებურებებს, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის ახალ პერსონაჟს, პროზელიტს. მოხსენებაში ვისაუბრებთ პროზელიტიზმის ქრისტიანულ ასპექტებზე და მისი ასახვის თავისებურებებზე ქართულ ჰაგიოგრაფიაში.

Nino Popiashvili

Tbilisi State University

PROSELYTISM AND HAGIOGRAPHIC TEXT

The development of Byzantine church writing leaves its imprint on the Georgian literature as a church and spiritual literature. Noteworthy among them are proselytism and its reflection in hagiographic literature.

The Christian model of a change of faith originates from the Byzantine hagiography. Three monuments are known in Georgian literature: "The Martyrdom of Brothers of Kola" by an unknown author, "Martyrdom of Evstati Mtskheteli" by an unknown author and "The Martyrdom of Saint Abo" by Ioane Sabanisdze, which describe the life and torture of proselytes. These texts show general literary models although there can be seen some differences which have historical and epoch-making character.

The origin of proselytism is associated with the Jewish religion, although it is found in Christianity at an early stage of its spread. The main essence of proselytism is to highlight the advantages of one religion and arguing it, which has a religious basis. Proselytism, reflected in hagiographic literature, on the one hand, repeats the model and peculiarities of reflection of a hagiographic character, and on the other hand, creates the new character, proselytes. In the report we

will talk about the Christian aspects of proselytism and the peculiarities of its reflection in Georgian hagiography.

ერეკლე ჟორდანი

საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კავშირი

შავი ზღვა და შავიზღვისპირეთის ეპეყნები გვიანანტიკურ ხანასა და ადრეშუასაუკუნეებში

გვიანანტიკური ხანისა და ადრეშუასაუკუნეების წერილობით წყაროებში შავი ზღვის, შავიზღვისპირეთისა და იქ მცხოვრებ ხალხთა აღწერისას გამოყენებული ტერმინებისა თუ ხერხების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი საშუალებას გვამძღვეს, რომ უფრო სრულყოფილად შევისწავლოთ ამ ისტორიულ პერიოდებში შავიზღვისპირეთის შესახებ არსებული წარმოდგენები, გამოვავლინოთ მათ შორის არსებული მსგავსებანი და განსხვავებები, თვალი მივადევნოთ ამ წარმოდგენების განვითარების დინამიკას და განსაზღვროთ შავი ზღვისა და შავიზღვისპირეთის ადგილი შესაბამისი ეპოქების სამყაროსა და სივრცის შესახებ არსებული წარმოდგენების სურათში.

ბიზანტიური წერილობითი წყაროების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ ისტორიული პერიოდისათვის დამახასიათებელი აქტუალური ტერმინოლოგიის გამოყენება უფრო გამონაკლისი გახლავთ, ვიდრე წესი. ამ ძეგლების ეთნონიმებისა და ტოპონიმების ძირითადი ნაწილი ეთნიკურ მნიშვნელობას მოკლებული სახვადასხვა ტომების, ხალხების, რეგიონებისა და ქვეყნების აღმნიშვნელი, არქაული დასახელებანი გახლავთ. ამასთანავე ეს ტერმინები სავსებით შეესაბამება როგორც ანტიკური ხანის ეთნოგეოგრაფიულ და კოსმოგრაფიულ წარმოდგენებს, ასევე ქვეყნებისა და ხალხების კლასიციფირების ბიზანტიურ სისტემას.

მაგალითად, ანტიკური თუ გვიანანტიკური ხანის წერილობით წყაროებში შავი ზღვა წარმოდგენილია როგორც მსოფ-

ლიო ოკეანის ნაწილი და მიცვალებულთა სამეფო, ხოლო შავი-ზღვისპირეთის მცხოვრებნი კი, უპირველეს ყოვლისა, როგორც ნახევრადმითური, ცხოველთა მსგავსი არსებანი და კანიბალები. მაგრამ უკვე ადრებიზანტიური ხანის წერილობით წყაროებში, მაგალითად მე-8 საუკუნის ქართველი აგიოგრაფის, იოანე საბანისძის ნაწარმოებში „ზღვაჲ იგი პონტოჲსა“ გვევლინება როგორც „სამკვდრებელი ყოვლაჲდვე ქრისტიანეთაჲ“, სადაც, ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლათა“ თანახმად, ვითარცა ჭემმარიტი სარწმუნოების ხომალდის ნამდვილ მესაჭეს არა ერთხელ უვლია თავად მაცხოვარს.

როგორც გვიანანტიკური ხანის, ისევე ადრეშუასაუკუნეების პერიოდის წერილობითი წყაროების მონაცემთა თანახმადაც შავიზღვისპირეთი, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნიერების ბარბაროსული პერიფერია გახლავთ. ამას ცხადჰყოფს ადრეშუასაუკუნეების ხანის თხზულებებში, მაგალითად, სკვითეთისა და ეთიოპიის აღწერილობისას გამოყენებული ტერმინოლოგია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტოპონიმები „სკვითეთი“ და „ეთიოპია“ როგორც ანტიკური, ასევე ბიზანტიური ეთნოგეოგრაფიული წარმოდგენების თანახმად, შავიზღვისპირეთის, შესაბამისად, ჩრდილოეთისა და სამხრეთის რეგიონების საერთო დასახელებანი გახლავთ. მაგრამ განსხვავებით ანტიკური და გვიანტიკური ხანის წერილობითი ძეგლისაგან, შუა საუკუნეების თხზულებებში ეს ტერმინები გეოგრაფიულთან ერთად, უფრო ფართო – კონფესიურ მნიშვნელობას იძენენ და უპირატესად წარმართებით დასახლებულ ქვეყნებს აღნიშნავენ.

შეიძლება ითქვას, რომ ადრეული შუა საუკუნეების წერილობით ძეგლებში, ყოველ შემთხვევაში ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში მაინც, შავიზღვისპირეთის ამა თუ იმ ქვეყნის აღწერისას განმსაზღვრელი მახასიათებელი არა ამ ქვეყნის რეალური გეოგრაფიული მდებარეობა, არამედ იქ მცხოვრებ ადამიანთა კონფესიური კუთვნილება გახლავთ.

ამას, ჩვენი აზრით, ადრეშუასაუკუნეების ხანის ქართული წერილობითი ძეგლების მასალაც ნათლად ადასტურებს.

**THE BLACK SEA AND THE BLACK SEA REGION COUNTRIES IN
THE LATE ANTIQUITY AND THE EARLY MIDDLE AGES**

The historical and comparative analysis of the terms and methods used in the late antic and early medieval written sources for describing of the Black Sea, the Black Sea Region and its inhabitants allow us to study more fully the images of the Black Sea Region in these historical periods, to identify similarities and differences between them, to observe the dynamics of the changes of these ideas and determine the place of the Black Sea and the Black Sea Region in the concepts of the world and space of relevant epochs.

Based of the Byzantine written sources, it can be noted that the use of actual terminology for a particular historical period is more an exception than a rule. The main part of the ethnonyms and toponyms of these monuments are archaic definitions of various tribes, peoples, regions, and countries devoid of any ethnic significance. At the same time, they fully correspond to both the ancient ethnogeographical and cosmographic perceptions, and the Byzantine system of classification of different countries and peoples.

Thus, according to the information of ancient or late antic authors, the Black Sea is correlated with the part of the world Ocean and the realm of the dead, while the inhabitants of the Black Sea region countries are primarily characterized as some semi-mythical, beast-like creatures and cannibals. However, already in early Byzantine written monuments, for example in the work of the Georgian hagiographer of the 8th century, Ioane Sabanisdze, the "Sea of Pontus" is represented as the "domain of all Christians" where, according to "The Travels of Andrew the First-Called", more than once, as the helmsmen of the ship of true faith walked the Savior himself.

According to the ancient and medieval written sources, the Black Sea is primarily the barbaric periphery of the world. This is

evidenced by the terms and methods used in the early medieval written sources, for example in the descriptions of Scythia and Ethiopia. It should be noted that in accordance with both antic and medieval ethnogeographical perceptions, the terms “Scythia” and “Ethiopia” are the common names of different regions of the Northern and Southern Black Sea respectively. But unlike the written monuments of antiquity, in the early medieval writings, these terms, along with their geographical, take on a broader – confessional meaning and refer to predominantly the pagan countries.

It can also be mentioned that in early medieval written sources, at least in hagiographic monuments, the main, defining feature of one or another Black Sea country is rather the confessional affiliation of people living there, than the real geographic location of the country.

In our opinion, this is clearly confirmed by the material of the early medieval Georgian written sources too.

მაია რაფაეა

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

უცნობი ბერძნული ეპიგრამა იოანე ათონელის შესახებ

XVI ს-ის ერთ ბერძნულ ხელნაწერში, რომელიც თავის დროზე ეკუთვნოდა ათონის ქართველთა მონასტერს და ამჟამად ინახება მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (# 442), ბ. ფონკიჩმა მიაკვლია ერთ ეპიგრამას ბერძნულ ენაზე. ეპიგრამის ავტორია ვინმე პახომიოსი და მიძღვნილია იოანე ათონელის მიმართ. ეპიგრამა შეიცავს ინფორმაციული ხასიათის ცნობებს ივირონის სხვა ქართველი მოღვაწეების შესახებაც. ეპიგრამა უაღრესად შთამბეჭდავად და დიდი მოწიწებით ვითხრობს ქართველ ათონელთა უდიდეს დამსახურებასა და დიდ ავტორიტეტზე ათონის ბერძნულ სამშოში.

Maia Raphava

National Centre of Manuscripts

UNKNOWN GREEK EPIGRAM ON IOANNE THE ATHONITE

In one of the Greek manuscripts dated by the 16th c. which initially belonged to the Georgian Monastery of Athos and currently in preserved at the Moscow State Historical Museum (Moscow, Russia; № 442), B. Fonkich discovered one epigram written in Greek. The epigram is written by certain Pachomius and is dedicated to Ionne the Athonite. The epigram also contains valuable information about other Georgian Fathers on Mount Athos. The epigram presents impressive narrative about incontestable authority and merit of the Georgian Fathers among the Church brotherhood on the Mount Athos.

შარლ რენუ

ემერიტუსი პროფესორი, პარიზი

CHARLES RENOUX

Professor Emeritus, Paris

L'HYMNOGRAPHIE GEORGIENNE ET GRECQUE DU 15 AOUT : JEAN DAMASCENE

L'ancienne hymnodie géorgienne de la fête du 15 août, connue par des manuscrits du IX^e-X^e siècle et basée sur les apocryphes appelés *Transitus Mariae*, comporte quatre canons hymnographiques différents. L'un d'eux met en évidence les remaniements qu'a subis, au VIII^e siècle, le canon byzantin primitif, du fait du courant musical et poétique sabaïte, avant qu'il ne revête sa forme actuelle. La lecture des Homélies de Jean Damascène sur la Dormition amène à constater leur parenté avec l'ancien canon grec connu uniquement en géorgien, et avec le canon grec actuel. Au Damascénien, et non à Cosmas de Maïūmas, revient le canon actuel du 15 août. Les anciens manuscrits hym-

nodiques géorgiens sont une source pour l'histoire de l'hymnographie liturgique byzantine.

ნესტან სულავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბაძვა, ზიარება, განღმრთობა, როგორც სულიერი
განვითარების საფეხურები ნმ. ანდრია კრიძელის
„დიდკანონსა“ და დავით აღმაშენებლის „ბალობანი
სინანულისანში“**

ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში ბაძვის, ზიარებისა და განღმრთობის საღვთისმეტყველო გააზრებას ევანგელური საფუძველი აქვს. თუმცა, პრობლემა ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში განსხვავებულად წარმოჩნდება. ჰაგიოგრაფია, როგორც საღვთისმეტყველო ლიტურატურის დარგი, წმინდანის სულიერი განვითარების სამ ძირითად საფეხურს წარმოაჩენს. ესენია: 1. ბაძვა, 2. ზიარება და 3. განღმრთობა. ჰაგიოგრაფიული წმინდანისათვის ბაძვა ის საფეხურია, რომლის გავლა აუცილებელია ზიარებისა და სულიერი განღმრთობისათვის. ჰიმნოგრაფიაში სხვაგვარი ვითარებაა, რადგან ჰიმნოგრაფია ზესთ სოფლად ამაღლებულ წმინდანს წარმოაჩენს, რომლისთვისაც ბაძვა და ზიარება გავლილი საფეხურებია, ამ სამიდან იგი მუდმივად მესამე საფეხურზე დგას, ესაა განღმრთობილი ადამიანი/წმინდანი.

ბაძვასა და ზიარებას შორის ზღვარია. ბაძვა ღვთის მიმსგავსებას ნიშნავს, რაც საფუძველს ქმნის სახის ესთეტიურობის თვალსაზრისით აღქმისა. ბაძვა ამქვეყნიურ, მიწიერ მოვლენათა და საგანთა მიმართებაა ზესთა სოფლური მოვლენებისა და საგნებისადმი, ხოლო ზიარება ღმერთთან შერთვაა, განღმრთობაა, ზიარების შედეგად ადამიანი ახალ მეობას იძენს, მარადიულ ღირებულებებს მოიპოვებს, ღმერთთან სულიერ ქორწინებას

აღწევს, ღვთაებრივ, ანუ ზესთა სოფლურ სულს, სამოსელს პირველს იბრუნებს, ღმერთშემოსილი ხდება. ბაძვა და ზიარება გულისხმობს ორ მხარეს: ღმერთსა და ადამიანს. მაგრამ იმის გამო, რომ წმინდანებიც ხდებიან მისაბამნი, ბაძვა ორ ადამიანსაც გულისხმობს. ეს ფაქტი ბაძვას, ზიარებასა და განღმრთობას, როგორც სულიერი განვითარების საფეხურებს, ერთმანეთისაგან განასხვავებს, ამიტომაც ადამიანის სულიერ განვითარებაში ზიარება უფრო მაღალი საფეხური, ვიდრე ბაძვა, ხოლო განღმრთობა – უმაღლესი საფეხური.

ამ თვალთახედვით მნიშვნელოვანია ანდრია კრიტელის „დიდკანონსა“ და დავით აღმაშენებლის „გალობანზე“ დაკვირვება, რადგან ორივე საგალობელში ადამიანის სულიერი განვითარების სამივე საფეხურზეა საუბარი, რაც იმითაც განპირობებულია, რომ ორივე თხზულება თვით ავტორის სულიერ განწყობილებას ასახავს, პიროვნების სულიერ სამყაროს წარმოაჩენს, მათი თემა წმინდანი არაა. ამ მხრივ ორივე საგალობელი შთაგონებულია დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებით, რის შედეგადაც მათი ურთიერთმიმართება ჰიპოდიგმურ-პარადიგმულია. ფსალმუნებში, წმ. ანდრია კრიტელისა და დავით აღმაშენებლის საგალობელთა ხატ-სახეობრივი სისტემა, ჰიპოდიგმურ-პარადიგმული ბუნება ლიტურგიულ ცნობიერებას ეფუძნება და ამადლებულის კატეგორიას განეკუთვნება.

მოხსენებაში განხილულია ფსალმუნთა საფუძველზე ორი ქრისტიანული საგალობლის ავტორის თვალთახედვა ადამიანის მიერ ღვთის ბაძვის, ღმერთთან ზიარებისა და ადამიანის სულიერი განღმრთობის საფეხურებრივი გარდასახვის შესახებ.

**SIMILARITY, RECEIVING THE EUCHARIST, BECOME HEAVEN
AS A WAYS OF SPIRITUAL DEVELOPMENT ACCORDING TO
THE "BIG JUDGEMENT" OF ANDREW KRITELI AND "HYMNS OF
REGRET" BY DAVIT THE BUILDER**

In hymnography and hagiography understanging of receiving the Eucharist and become heaven comes from the New testament. But the importance of the task is different in hagiography and hymnography. Hagiography as a fied of orthodox knows three stages of spiritual development: 1. similarity, 2. Receive the Eucharist, 3. become heaven. For the holy person in hagiography become heaven is the main stage from which starts the way of eucharist and spiritual heaven life. We have the different situation in hymnography. Once in hymnography the character is the spiritually developed person who already passed those three stages.

There are great difference between similarity and Receiving the Eucharist. Similarity is something like be like the God and it is the aesthetic symbol. Similarity is the something like close contact with the God but receiving the Eucharist is process of joining the God. After receiving the Eucharist the human will get new characteristic. Gain the moral value, spiritual development, will dress in spiritual dress. Similarity and receiving the Eucharist means two sides: the God and the human. For the reason that the holy persona are worthy ones similairyt means two persons. As a result it is clear that in the spiritual development of the person receiving Eucharist is high stage then similarity but become heaven is the gihest stage of spiritual development.

To look in "Big Judgement" of Andrew Kriteli and "Hymns of Regret" by Davit the Builderis really interesting because in both of them those three stages are shown. In both stories the main character

is not holy person, main character is typical mortal one. Both stories are created on the base Psalms.

In our work there are the discussions about both stories and given the wisdom of the authors regarding the changes from mortal life to the spiritual development by the ways of similarity, receiving the Eucharist and become heaven.

ღალაი ურდულაშვილი

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

რევაზ სირაძის კულტურულ-სამეცნიერო მიღწევანი კეტილიძის- უმნიშვნელოვანესი ბიზანტიური კერის- კვლევის საქმეში

ქრისტიანული სამყაროს ყურეში მდებარე ჩვენი ქვეყანა იმ-თავითვე ავლენდა მისწრაფებას დასავლური ღირებულებები-სადმი. ყველაზე მკაფიოდ ეს ორიენტაცია გამომჟღავნდა რელი-გიურ-კულტურულ და სამწერლო ცნობიერებაში, თუმცა, აუცი-ლებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ არც აღმოსავ-ლური სამყაროს კულტურულ-ლიტერატურული ფასეულობანი იყო უცხო ქართველთათვის. ქრისტიანობის მიღების შემდგომ ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად გადაიხარა ქართველთა კუ-ლტურული ხედვის ვექტორი ბიზანტიისკენ. სათანადო კვლე-ვები მოწმობს, რომ გავლენები ორმხრივად საგულისხმო იყო ორივე ქვეყნისათვის. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლა ცხადყოფს ჩვენი მეცნიერების უდი-დეს ღვაწლს ამ ასპექტით. ამჯერად, საგანგებოდ შევჩერდებით ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის ფარ-თოდ აღიარებული მკვლევრის, პროფესორ რევაზ სირაძის სამე-ცნიერო მიღწევებზე თვალსაჩინო სამწიგნობრო კერის – პეტრი-წონის – შესწავლის კუთხით.

სამეცნიერო დავალებით ბულგარეთში არაერთგზის მივ-ლინებულმა მეცნიერმა რევაზ სირაძემ დეტალურად შეისწავლა

გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ დაარსებული პეტრიწონის სავანე და ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების საფუძვლიან კვლევას სიახლის შუქი მოჰვინა თავისი მიგნებებით.

მოკლედ ჩამოვაყალიბებთ რევაზ სირაძის დამსახურებას ჩვენთვის საინტერესო წახნაგით:

პეტრიწონში ყოფნისას რევაზ სირაძის ყურადღება მიიპყრო ღვთისმშობლის უძველესმა ხატმა, რომელიც დღემდე მონასტრის მთავარ სიწმინდეს წარმოადგენს. სათანადო კვლევა-ძიების შემდგომ მან აღნიშნული ხატის იდენტიფიცირება შეძლო ათონის ივერთა ღვთისმშობლის ხატთან და დაასკვნა, რომ მითითებული ხატი არის ასლი ათონის ივერთა სასწაულმოქმედი ხატისა, რომელსაც პორტაიტისას უწოდებენ და რომელიც დღემდე საქართველოს მფარველად ითვლება.

რევაზ სირაძის ინტერესი გამოიწვია მონასტრის სიახლოვეს მდებარე ეკლესიის კედელზე შესრულებულმა იოანე ღვთისმეტყველის ხატმა. მკვლევარმა მეცნიერული ალღოთი ივარაუდა, რომ ამ ხატთან ახლოს უნდა ყოფილიყო ქართული წარწერაც. სოფიის უნივერსიტეტის ჩარევითა და ბულგარელი ხელოვნებათმცოდნე ელკა ბაკალოვას მხარდაჭერით, სპეციალური აპარატურის მეშვეობით, ბათქაშის ქვეშ მართლაც აღმოჩნდა ქართული წარწერა. ბატონი რევაზის ვარაუდი გამართლდა.

რევაზ სირაძის სამეცნიერო მიღწევად უნდა ჩაითვალოს ასევე მისი სერიოზული დაკვირვებანი პეტრიწონის სალიტერატურო სკოლის თავისებურებებზე. ივირონისა და პეტრიწონის სამწიგნობრო სკოლათა შედარებითი ანალიზის გათვალისწინებით, და უკვე არსებულ შრომათა საფუძველზე, მან გამოკვეთა პეტრიწონის სავანის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები და ენობრივი სტილის თავისებურებანი.

ლოგიკური და თანმიმდევრული დისკურსის შედეგად, რევაზ სირაძე დაასკვნის, რომ ქართულ მწერლობაში ბიზანტინიზმის დანერგვაში უდიდესია პეტრიწონის სავანისა და მის

მოღვაწეთა მნიშვნელობა ივირონთან ერთად. სწორედ ამ კერათა მიზანმიმართული მუშაობით მოხდა ბიზანტინიზმის სრულად დანერგვა და ათვისება ჩვენს ეროვნულ კულტურულ-სამეცნიერლობო სივრცეში.

Lali Urdulashvili

Tbilisi Teaching University

THE CULTURAL-SCIENTIFIC ACHIEVEMENTS BY REVAZ SIRADZE IN THE RESEARCH OF PETRITSONI – THE MOST IMPORTANT BYZANTINIST CENTRE

Our country situated within the gulf of the Christian world has always been showing its interest in the values of the Western Europe. Religious-cultural and literary consciousness is the space to which the inclination to the western culture has been referred. However, it is worth mentioning that neither the values of the Eastern world had ever been strange to the Georgians. After the conversion into Christianity the vector of cultural vision of the Georgians was clearly and unambiguously deviated towards Byzantium. According to proper studies, the influences were mutually significant for both of the countries. The literary study of the Georgian-Byzantine relationships confirms the great dedication of our scientists in this aspect. This time, we are going to give special attention to the scientific achievements by Professor Revaz Siradze, a well-known researcher of the Christian culture and the history of Literature. We are going to lay special emphasis on his study of Petritsoni as an erudite centre.

Professor Siradze had a lot of scientific commissions to Bulgaria and he thoroughly studied the Petritsoni monastery that was founded by Grigol Bakurianisdze. Professor Siradze threw a new light upon the cultural and literary relationships of Georgia-Byzantium.

We will briefly make an allusion to the services of Revaz Siradze with the side that is interesting to us.

While visiting Petritsoni the Professor's attention was drawn by the ancient image of the Virgin Mary that has been representing the main holiness of the Monastery until today. Having done thorough research he was able to identify the abovementioned icon with the one of Mother Mary of all the Georgians at Athoni Mount. He came to the conclusion that the abovementioned icon was a copy of the miracle-working image of the Virgin at Athoni mount. The icon is called the Mother Mary of Porthaiti that has been considered protector of Georgia until now.

The professor's interest was raised by the image of Joan the Theologian. The icon had been painted on the wall of the church nearby the monastery. By a scientific sense the researcher guessed that a Georgian inscription must have been close to the icon. With the help of Sophia University and Elka Bakalova – a Bulgarian art expert, by means of a special equipment the Georgian inscription was really found under the plaster. The researcher's hope was realized.

Serious studies of the peculiarities of Petritsoni Literary school should be admitted as a scientific achievement by Revaz Siradze. Having taken into consideration the comparative analysis of Ivroni and Petritsoni literary schools, the professor emphasized the peculiarities of the linguistic style and the literary-esthetical principles of Petritsoni Monastery.

As a result of a logical and consequential discourse, Revaz Siradze makes a conclusion that Petritsoni Monastery together with Ivroni greatly contributes to foundation of Byzantinism in the Georgian writing. These centers were the very means by purposeful work of which it was possible to inculcate and assimilate Byzantinism in our national cultural-literary space.

ირაკლი ფალავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ბიზანტიური ტიპის ქართული მონეტები საქართველოს ეკონომიკაში მე-11 საუკუნეში

კვლევის ამოცანაა, შევისწავლოთ ზაგრატ IV-ის, გიორგი II-ისა და დავით IV-ის ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტების (ბყქმ) ეკონომიკური როლი.

საკვლევი მასალა: თანადროული ეპიგრაფიკული ძეგლები, სადაც ნახსენებია სამონეტო ტერმინი *აჟურა* (ორი გრაფიტი სვანეთიდან – ადიშის „მაცხვარში“ და ჩვაბიანის „თარინგზელში“, *ნიკორწმინდელის დაწერილი*); მონეტების პასპორტიზირებული აღმოჩენების ტოპოგრაფია და დეპასპორტიზირებული სამონეტო კომპლექსი; შედარებითი ანალიზისთვის გამოყენებულია მონაცემები საქართველოში ბიზანტიური და არაბული მონეტების მიმოქცევის შესახებ.

ეკონომიკური როლის შესაფასებლად ვსაზღვრავთ ბყქმ-ის გავრცელებულობას, ხვედრით წილს – 1) XI საუკუნეში საქართველოში მიმოქცევაში მყოფ მონეტებში; 2) შერეულ ქართულ-ბიზანტიურ განძში. მეორე მხრივ, ვცდილობთ გამოვავლინოთ მათი აღმნიშვნელი ტერმინი/ები თანადროულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში. ამისთვის ვაანალიზებთ ასევე მონეტების არა-ეკონომიკური მიზეზებით ემიტირებისა და გავრცელების ვერსიებსაც.

ბყქმ-ის აღმოჩენებს ვაჯგუფებთ:

1) განძებად; დაიყოფა ქვეჯგუფებად პასპორტის მიხედვით (პასპორტიანი – ზუფუდან / ლიხნიდან, ციხე სულორიდან; უპასპორტო – მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში მოხვედრილი); შემადგენლობის მიხედვით (ექსკლუზიურად ქართული მონეტებისგან შემდგარი – ციხესულორისა და უპასპორტო; შერეული, ქარბთულ-ბიზანტიური – ზუფუს / ლიხნის); ცალკეულ,

მეტ-ნაკლებად ზუსტი პასპორტის მქონე აღმოჩენებად; დაიყოფა პასპორტის მქონე შემთხვევით აღმოჩენებად, აღმოჩენებად დაუზუსტებელ გარემოებაში (მიახლოებით-პირობითი პასპორტით), და, ვოტიური ტეზავრაციის შემთხვევებად.

ვიზიარებთ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ შეხედულებას, რომ ეკლესიებში შეწირულობის სახით მონეტების მოხვედრა საყურადღებო კულტურული ფაქტია; ამასთან, ვთვლით, რომ, ამა თუ იმ მხარეში ეკლესიისთვის შესაბამისი მონეტის შეწირვის თავად შესაძლებლობა მიუთითებს ამ მონეტის ადგილობრივად მიმოქცევაზე (იმპორტი ნაკლებ მოსალოდნელია, მით უფრო, ყველა შემთხვევაში).

შეწირული მონეტების ტოპოგრაფიულ ანალიზში ჩართვა აჩვენებს, რომ ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტები მიმოქცეოდა არა მარტო აფხაზთა სამეფოში, ასევე კახეთ-ჰერეთის გაერთიანებულ სამეფოშიც; მაგრამ, არ გადიოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ – *ლოკალურ* მონეტას წარმოადგენდა (გაანალიზებულია მიზეზები).

აღმოჩენების ტოპოგრაფიისა და რაოდენობის, სინქრონული მონეტების აღმოჩენებთან შედარებით ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ ემისიის დანიშნულება არ იყო მხოლოდ პროკლამაციური, და არსებითი ეკონომიკური დატვირთვაც ჰქონდა.

განძები ადასტურებს, რომ დასაშვებ გადახდის / დაგროვების საშუალებად ერთდროულად მიიჩნეოდა ბიზანტიური ოქრო-ვერცხლის და ქართული ვერცხლის მონეტები; ახალი სამონეტო ქვეტიპის ემისიის დაწყების პარალელურად, წინა ტიპები არ კარგავდა ვალიდურობას, რჩებოდა დაგროვების ვალიდურ საშუალებად.

ბეჟმ-მა ან არ დატოვა კვალი თანადროულ საბუთებში, ან ისინი რაიმე ნიღბის ქვეშ იმალებიან. ჩვენი აზრით, ეს ნიღაბი არის *აჟურა*; მოგვეყავს არგუმენტაცია. ტერმინის გავრცელებულობით ვმსჯელობთ საფასის გავრცელებულობაზე.

GEORGIAN COINS OF BYZANTINE TYPE IN THE 11TH CENTURY GEORGIAN ECONOMY

Our research goal is to study the economic role of Georgian coins of Byzantine type (GCBT) issued by Bagrat IV, Giorgi II, Davit IV.

Study material: Contemporary epigraphic relics mentioning the monetary term *azhura* (two graffiti from the churches in Svaneti; *Charter of Nikortsmindeli*); coin finds topography, monetary complex without find location; data on the circulation of Byzantine and Arabic coins.

To assess their economic role, we study the distribution of GCBT, their share within 1) the coins circulating in contemporary Georgia; 2) the mixed Georgian-Byzantine hoard. We attempt to reveal the term/s defining GCBT in the contemporary written sources, and analyze the versions claiming these coins were issued / distributed for non-economic reasons.

The GCBT finds can be grouped as follows:

1. Hoards; two subgroups, according to find location and composition;
2. Single finds; three subgroups: accidental finds with precise location, finds with approximate location, votive deposits.

We would interpret the very possibility of donating a coin to a church in some region as a proof of its circulation there (importation is less probable).

A topographical analysis (including the donated coins) indicates that GCBT circulated both in West-Georgian and East-Georgian Kingdoms; however, they did not cross the boundaries of Georgia, constituting *a local coinage* (we analyzed the reasons).

The topography and number of the finds, when compared to the parallel numismatic material, implied, that this coinage had not only declarative purpose, but economic as well.

The mixed hoard proved, that GCBT were considered a legal tender *on par* with the Byzantine gold and silver coins. The older subtypes retained this status despite the newer subtypes being issued.

GCBT left no trace in the contemporary written sources, or, were concealed somehow (in the guise of *azhura*?). By means of the term diffusion, we analyze the diffusion of the coinage.

მამია ფალავა

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილების ერთი შემთხვევა ტაოურში

ტაოურ დიალექტზე დღეს საუბრობენ ისტორიული ტაოს ერთ ხეობაში, ელიასხევში (რომელსაც ადგილობრივები ხევას ხევის სახელითაც მოიხსენებენ) გაშენებულ რამდენიმე მცირე და მოზრდილ სოფელში, რომლებიც დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით სამ სამასახლისოში (სამუხტროში) არიან გაერთიანებული და ტაოსა და კლარჯეთის სასაზღვრო სოფელ ბინათში. საუკუნის წინ ქართულად მოლაპარაკე სოფლების რიცხვი გაცილებით მეტი იყო: ქართული ისმოდა პარხალში, ოთხთა ეკლესიაში, იშხანში, ფანასკერტში, იქნებ სხვაგანაც. ვიტყვით, რომ ერთდროს ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტის „ნამსხვრევებიდა შემორჩა“. მიუხედავად ამისა, შეკრებილი მასალა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ტაოურის შესახებ ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე.

ქვემოთ ყურადღებას მივაქცევ ხმოვანთკომპლექსთა ცვლილების ერთ შემთხვევას, კერძოდ, უს ფონეტიკურ გარდაქმნას. პროცესი, როგორც წესი, სამ ან ოთხ (ზოგჯერ მეტ) საფეხურია-ნია.

ა. სამსაფეხურიანია: **დუბუგებია<დუუბუგებია<*დაუბუგებია; ჭუგდო<წუუგდო<*წაუგდო; ჩუნთქია<ჩუუნთქია<*ჩაუნთ-**

ქია... პროცესი სამსაფეხურიანია, როდესაც ურთიერთქმედებენ მარტივი ზმნისწინისეული და ზმნის ფუძისეული ხმოვნები.

ბ. ოთხსაფეხურიანი: გუდუკაფიან <გუდუკაფიან <*გა-დუკაფიან <გადაუკაფიან; გუდუწურავ<გუდუწურავ<*გა-დუწურავ<გადაუწურავ...

გ. ხუთსაფეხურიანი: შუმუყვებით <შუმუყვებით <*შამუ-ყვებით <შემოყვებით <შემოფყვებით...

ოთხ და ხუთსაფეხურიანი გარდაქმნები გვაქვს, როცა ურთი-ერთქმედებენ რთული ზმნისწინები და ფუძისეული ხმოვანი.

დაისმის კითხვა: რა კვალიფიკაცია უნდა მივცეთ ხმოვანთ-კომპლექსთა გარდაქმნის საბოლოო შედეგს? ვფიქრობთ, საქმე გვაქვს ხმოვნის დისიმილაციურ დაკარგვასთან, სხვაგვარად, კომპლექსში ორი იდენტური ხმოვნიდან (უუ) ერთი იკარგება. დაკარგვის საფუძველი კი – დისიმილაციაა.

Mamia Paghava

Batumi State University

ONE CASE OF THE CHANGES IN THE VOWEL COMPLEX IN TAO DIALECT

Nowadays, Tao dialect is spoken in a few small and big villages which are located in the gorge of historical tao – Eliaskhevi (locals call it Khevai Khevi as well). According to the current administrative division they are united in three districts/neighborhood and in Binata which is the adjacent village of Tao and Klarjeti. A century ago, the number of Georgian speaking villages were much higher. Georgian could be heard in Parkhali, in monastery of Otkhta, in Ishkhaani, in Panaskerti and maybe in other places as well. We can say, that only the "shards are left" from the once broadly spread Dialect. Nevertheless, the collected material enables us to discuss Taoian on each and every linguistic level.

I would like to pay attention to one of the changes in the vowel composition, namely Phonetic transformation of „უ“. The process is usually three or four (sometimes more) step.

A. Three-steps: დუბუგებია<დუუბუგებია<*დაუბუგებია;
ჭუგდო<წუუგდო<*წაუგდო; ჩუნთქია<ჩუუნთქია<*ჩაუნთქია...
The process is three-step when interacting with each other preverbs and base verbs.

B. Four-steps: გუდუკაფიან <გუდუუკაფიან <*გადუუკაფიან
<გადაუკაფიან;
გუდუწურავ<გუდუუწურავ<*გადუუწურავ<გადაუწურავ...

C. Five-steps: შუმუყვებით<შუმუუყვებით<*შამუუყვებით
<შემოუყვებით <შემოუყვებით...

We have four and five-steps transitions when interacting with the difficult verb and the base sound.

Question: What qualifications should be given to the final result of the transforming of the sound? We think we are dealing with dismissal loss of the sound, otherwise in one of the two symmetrical voices in the complex (უუ) one is lost. The basic reason for loosing is – dissimilation.

ნათელა ფოფხაძე

საერო აკადემია ფაზისი

**ეართული საგეფოს ჩრდილოეთი საზღვარის
ნარბოჩენა მეთოხე-მეთოთხმეტე საუკუნეებში
მიტროპოლიტ ანანია ჰაფარნიძის 2019 წელს
დაბეჭდილ წიგნში**

დავესწარი ხსენებული წიგნის წარდგენასა და განხილვას თბილისში 6 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში. მკვლევარებით გადაჭედული დარბაზის საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. წიგნში წარმოჩენილია ჩვენი ეთნოსის ოთხი ათასზე მეტი სახელმწიფოებრიობის ძირითადი

მომენტები. წიგნის მიზანია რუსეთის იმპერიისა და საბჭოური სსრკ-ის იმპერიის დროს მკვლევრების მიერ დაშვებული შეცდომების ნაწილის გასწორება. წიგნის თემები მეც ვიკვლიე ათწლეულების მანძილზე დამოუკიდებლად და რამდენიმე საყურადღებო უცხოენოვანი სხვისი ტექსტი და სხვისი რუკა შევმატე მანამდე ჩვენი მკვლევრებისათვის ცნობილ საისტორიო მასალებს. ზოგი მათგანი გათვალისწინებულია იმ ახალ წიგნში, რადგან ავტორისათვის მიმქონდა ჩემი გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებელი ნაშრომები. ვისაუბრებ გეორგი-ს სახელით პირველი საუკუნიდან მოხსენიებული ჩვენიანების საცხოვრებელი არეს შეუცვლელად, დაუმახინჯებლად წარმოჩენის მნიშვნელობაზე. წიგნში ამ თემას მთელი თავი ეძღვნება. მასზე ისაუბრა სხდომაზე გამომსვლელმა მკვლევარმა ელენე ჯაველიძემ და მადლობა გადავუხადე ამისათვის. წიგნში გასწორებულია სხვა მკვლევრების მიერ დაშვებული შეცდომები სიტყვა *ალანის* გააზრებისას. ვისაუბრებ წიგნში მოტანილ საბუთებზე სიტყვა *ადიგეი*-ს შინაარსის შეცვლისა და დამახინჯების გამო. ანანია//თენგიზ ჯაფარიძემ ჩაღრმავებული კვლევით შეიტყო, შეიცნო და ამ წიგნში წარმოაჩინა, რომ ადიგეი იყო თემურ-ლენგის დროს აღმოსავლეთ ციმბირში მომხრეებთან ერთად მოხეტიალე ყაჩაღი. მისი სახელი ეწოდათ მის მომხრეებს და იმ მომთაბარე ჯგუფის წევრებისათვის კავკასიაში ვითომდა არსებული წარსულის გამოგონება იმ მრავალ დანაშაულთაგან ერთ-ერთია, რომელიც გასასწორებელი და შესაცვლელია. ვისაუბრებ აგრეთვე წიგნში განხილულ თემაზე: აფხაზეთის – ამ ქართული მხარის მოსახლეობაზე მეოთხე-მეთოთხმეტე საუკუნეებში. ეს წიგნი სამაგიდო წიგნად მიმაჩნია მეც, სხდომაზე გამოსული მკვლევრების დარად. ავტორმა წარმოაჩინა, რომ კოლხები ძველ საბუთებში ხშირად გეორგებად ან იბერებად, ქართველებად იწოდებიან და ეს სწორია. ქართლის, კახეთისა და სხვა ძირძველ ქართულ//კოლხეთურ მხარეთა მეფემ და მმართველმა ერეკლე მეორემ შვილიშვილებს სწორად ასწავლა მისი განფენილობა და

შენარჩუნების აუცილებლობა. მომწონს ამ ნააზრევის წარმოჩენა ხსენებულ ახალ წიგნში და ყველას ვურჩევ მის წაკითხვასა და საქმიანობაში გათვალისწინებას. ჩემი კვლევის სიახლე იმაში გამოიხატება, რომ ლურსმული შუმერული დამწერლობისა და იმჟამინდელი ნაწერების მოხმობით დაბეჭდილ რამდენიმეწიგან მასალაში ყურადღება მივაპყარი სიტყვა აბზოასა და სხვა სიტყვის – ზუაბ//ზოაბ გაიგივების შემოდებას მეოცე საუკუნეში სსრკ-ში. არასწორად მიმაჩნია და განვმარტავ, რატომ: დაუდევრობა გამოიჩინეს საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოდებად და შემოდების შემდგომ საბჭოთა მეცნიერებმა მანამდე არარსებული, ახალი ეროვნებების გამოგონებისას, მათთვის მიწების, ოლქებისა და/ან ავტონომიების გამოყოფით. ამით შეამცირეს ჩვენი ეთნოსის კუთვნილი ტერიტორიები და ომები გამოიწვიეს. ჩემი აზრით, დაშვებული შეცდომების გამოსწორება აუცილებელია.

Natela Popkhadze

National Academy Phasis

**NORTHERN LIMIT OF JURISDICTION OF
KARTVELIAN/GEORGIAN APOSTOLIC ORTHODOX CHURCH IN
THE FOURTH-FOURTEENTH CENTURIES ACCORDING TO THE
BOOK OF METROPOLITAN PROF. ANANIA JAPARIDZE**

I attended the presentation and discussion of this new book in Tbilisi in the big hall of the Georgian Academy of Sciences on March 6, 2019 filled with researchers. The book was praised. The aim of Anania Japaridze was to reveal the truth and change the attitude to this theme that was distorted during the Russian Empire and the USSR. Christianity started in Sakartvelo//Georgia since the first century and not since the fourth century. This is stressed in that book. The area of the activity and of the influence of the Orthodox Chris-

tian religion's centers situated in Antiochia and elsewhere was exaggerated while in fact several those areas were under the jurisdiction of the Kartuelian/Georgian Catholikosate situated in Mthkheta in Kartli/Kartu. Most themes discussed in that book were familiar to me as I have surveyed them during several decades as an independent scholar. I have revealed several maps and texts published by foreign researchers but unknown to scholars in Tbilisi. Some of them are used in that book of Anania Japaridze. Nino Javelidze praised the book for stating that the Georgoi have been mentioned by Strabo, Pliny, Tacitus and Mela in the first century in their geographical descriptions and I thanked her for it. Anania/Tengiz Japaridze revealed based on scholarly research that the Adigei appeared on the stage of history only in Timur Lang' times as a small group of the nomads ruled by the man called Adig ravaging areas in Eastern Syberia in the 14th century and their Caucasian history is a lie. I recommend that book written by Anania Japaridze to readers at large.

მანანა ფხაკაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ქართლის ცხოვრების“ ლათინური წყარო

ძველ ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში ლათინურიდან თარგმნილი თხზულებები ცნობილი არ არის. გამონაკლისს უნდა შეადგენდეს V ს-ის რომაელი მწერლის, რუფინუსის ლათინურ ენაზე 401 წლის ახლო ხანებში დაწერილი „საეკლესიო ისტორიის“ X თავის ფრაგმენტი, რომელიც, როგორც ექვ. თაყაიშვილმა დაადგინა, ლეონტი მროველს აქვს „ქართლის ცხოვრებაში“ გამოყენებული.

ლეონტი მროველის მიერ რუფინუსის ლათინური ტექსტით სარგებლობა, უდავოდ, განსაკუთრებულ შემთხვევას განეკუთვნება, და ამიტომაც მასთან დაკავშირებული მთელი რიგი

საკითხის გარკვევას მოითხოვს. აღნიშნული საკითხები კონკრეტული სახით ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ა) რა მოცულობით ითარგმნა ლათინური ტექსტი – ტყვე ქალის მხოლოდ სამკურნალო მოღვაწეობასთან დაკავშირებული ფრაგმენტის თუ ქართლის მოქცევისადმი მიძღვნილი მთლიანად X თავის სახით; ბ) მთლიანი თავის თარგმნის შემთხვევაში დასადგენია, თუ რატომ დასჯერდა ლეონტი ამ თავის მხოლოდ ერთ ფრაგმენტს და არ გამოიყენა სხვა ფრაგმენტები; გ) დასადგენია აღნიშნული ფრაგმენტის (თუ მთლიანად X თავის) თარგმნის თარიღი.

ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ რუფინუსის X თავის თარიღის დასადგენად, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები: ა) ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული X-XI საუკუნეებში რუფინუსის ტექსტის თარგმნა საეჭვოა, ვინაიდან ამისათვის არც სათანადო პირობები არსებობდა და ცოტა მოგვიანებით არც ეფრემ მცირე არ წამოიწყებდა ანალოგიური მასალის თარგმნას თეოდორი ტეკვირელის „საეკლესიო ისტორიიდან“. ბ) VI-VII საუკუნეებამდე ბიზანტიის იმპერიაში სახელმწიფო ენად ლათინური ენა რჩებოდა, რასაც, უდავოდ, ხელი უნდა შეეწყო ქართლში ლათინური ენის მცოდნეთა გამოჩენისათვის. გ) ქართულად გათავისებული ფორმით „კილიკის“ მოხსენიება „მარტვილობაჲ შუშანიკის“ ტექსტში, ნიშნავს, რომ ეს ტერმინი ქართულ ენას რამდენიმე ათეული წლით ადრე უნდა ჰქონოდა ათვისებული.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ რუფინუსის „საეკლესიო ისტორიის“ X თავი ჯერ კიდევ V ს-ის პირველ ნახევარში იყო თარგმნილი და ამ უძველესმა ქართულმა თარგმანმა ჩვენამდე მხოლოდ „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართული ფრაგმენტის სახით მოაღწია.

A LATIN SOURCE OF THE GEORGIAN CHRONICLES

There is little evidence of old Georgian literary translations from Latin. An exception is a fragment from Book 10 of Rufinus' Latin version of Church History, which, according to Ekvtime Takaishvili, was used by Leonti Mroveli in "The Georgian Chronicles".

Leonti Mroveli's use of Rufinus' text requires a close study of a number of related questions: a) how much of the Latin text was translated into Georgian – only the fragment describing a captive woman's working of healing miracles or the whole of Book 10, which narrates the story of the conversion of the Georgians; b) if Book 10 was translated in full, why Leonti only cites this fragment and does not refer to other episodes; c) the date of translating the fragment (or the Book) is to be established.

The research revealed that the following should be taken into account when attempting to date the Georgian translation: a) it is unlikely that Rufinus' text was translated into Georgian in the 10th-11th centuries as suggested in the Georgian scholarly literature due to the lack of necessary circumstances. Furthermore, Ephraim the Lesser would have hardly undertaken the translation of the same story from Theodoret's Ecclesiastical History a while later; b) Latin remained the official language in the Byzantine Empire until the 6th-7th centuries, which must have favored its spread in Georgia as well; c) naturalization of the word *kilik* in Georgian as attested in The Martyrdom of the Holy Queen Shushanik (5th century) suggests that the term should have entered the Georgian language several decades before.

The above-mentioned provides grounds to believe that Book 10 of Rufinus' Church History was translated into Georgian as early as the 5th century and only survived as a fragment included in "The Georgian Chronicles".

სოფიო ქადაგიშვილი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ქართველთა თვითაღქმა და ბიზანტია X-XI საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიაში

შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოს აქტიური პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან. ბიზანტიის კულტურული თუ ლიტერატურული მიღწევები ხშირად ხდებოდა ინსპირაციის წყარო ქართველი ინტელექტუალებისათვის. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ჰაგიოგრაფიაზეც. ქართული ჰაგიოგრაფია ბევრი კუთხით არის შესწავლილი, იქნება ეს ლიტერატურული თუ ისტორიული თვალსაზრისით. რამდენიმე გამოკვლევის გარდა, იდენტობის საკითხი პრაქტიკულად შეუსწავლელი რჩება. იმდენად მრავლისმეტყველია ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტები, რომ ფაქტობრივად წარმოადგენს უდიდესი ინფორმაციის საცავს, რომელიც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. მე-11 საუკუნეში ქართული ჰაგიოგრაფია განვითარების უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ფაქტობრივად, ეს პერიოდი ქართული ჰაგიოგრაფიისათვის ოქროს ხანას წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებული ადგილი უკავია წმ. გიორგი მთაწმინდელის, წმ. იოანე და წმ. ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრებას და გიორგი მცირის წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებას.

ზემოაღნიშნული თხზულებები ძალიან საინტერესოა იდენტობის საკითხების შესასწავლად. კულტურული დებატები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ქართული და ბიზანტიური იდენტობის გასაგებად.

წმ. იოანეს, წმ. ექვთიმეს და წმ. გიორგი მთაწმინდელების „ცხოვრებებს“ გამორჩეული ადგილი უკავია ქართულ ჰაგიოგრაფიაში. როგორც ცნობილია, მათი მოღვაწეობის ხანა X საუკუნის ბოლოდან XI საუკუნის მეორე ნახევრამდე პერიოდს მოი-

ცავს. ეს ის დროა, როდესაც სრულდება ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება, რასაც წინ უსწრებდა კულტურული ერთობა. ჰაგიოგრაფიული ძეგლები, მათ შორის, წმინდა ათონელების „ცხოვრებები“, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მატარებელია. ასეთი თხზულებები იქმნებოდა, რათა უფრო მეტად განმტკიცებულიყო და განვითარებულიყო ქართული თვითშეგნება. X საუკუნიდან საქართველოში გაცხოველდა სასულიერო მწერლობა, თანდათან ძლიერდებოდა და ფეხს იკიდებდა ქართველთა მოღვაწეობა საზღვარგარეთაც.

ზემოაღნიშნულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ასახულია ის პოლიტიკური ამბიციები და მდგომარეობა, რაც არსებობდა მე-11 საუკუნის საქართველოში. საქართველოს ისტორიაში იწყება ოქროს ხანა, რომელიც აისახა პოლიტიკური და კულტურული აღმასვლებით. თავის მხრივ, წმინდა მამების საქმიანობამ სულ სხვა ეტაპზე აიყვანა ქართული ლიტერატურა და კულტურა. ერთიანი პოლიტიკური ჩარჩოს შექმნის შემდეგ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების მიზანი იყო ქართული იდენტობის გამოკვეთა. ეს პროცესი აისახა ჰაგიოგრაფიაშიც.

მოხსენების მიზანია არა მხოლოდ ქართველთა ეთნიკური იდენტობის აღქმის გააზრება, არამედ განისაზღვროს, თუ როგორ არის დანახული ბიზანტია X-XI საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში.

Sopio Kadagishvili

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

GEORGIAN SELF-PERCEPTION AND BYZANTIUM ACCORDING 10TH-11TH GEORGIAN HAGIOGRAPHIES

The aim of the paper is not only to reveal Georgian identity markers from hagiographic monuments but to observe how Byzantine identity was seen by Georgian intellectuals.

Georgia had active cultural relationship with Byzantine during medieval centuries. It had been creating standards in different sphere that became source of inspiration for many people. Among them were Georgians as well. One of the role models were hagiographic contributions as significant sources for studying political, social and cultural aspects of late antic and medieval society.

Eleventh century is characterized as productive period in Georgian hagiography. It was connected to political process that proceeded with union of Georgian kingdoms as a single unit. Political processes pushed Georgian intellectuals to work on cultural upraising. One of the vivid exemplary templates are hagiographic monuments, namely Giorgi the Athonite's contribution *The Vitae of Blessed Fathers Ioane (John) and Ekvtime (Euthimius) the Athonites and Vitae of Giorgi the Athonite* with the authorship of Giorgi the Minor. The Holy Fathers along with St. Athanasios the Athonite became founders of monasteries at the mount Athos. Georgian fathers took Greek education and most of their life's they dedicated cultural activities at mount Athos. As well as their wide activities, holy fathers had close relation to Greek clergy and state men and translated works from Greek to Georgian. Taken Byzantine standards they added Georgian original one. Despite numerous valuables aspects, Georgian hagiography is worth studying while concerning identity issues because of its' historism and wide ethnic terms in the texts. By eleven century the key question for Georgian intellectual was conception of Georgian unity. Georgian identity became closer to Byzantine one. It was provoked by equal religion, political ambitions and cultural achievements. These aspects made Byzantine as the "significant others" to whom Georgian cultural elite tried to draw a line on Georgian self-consciousness.

Above mention contributions are rather interesting to study identity point of view. Cultural debates are significant not only for studying Georgian but Byzantine identity as well.

პირველი საწყისისადმი მიდგომის სამი პარადიგმა პლოტინის შემდგომ ნეოპლატონიზმში

პირველი საწყისის ბუნებასთან დაკავშირებული საკითხი თავიდანვე ნეოპლატონიზმის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენდა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ პირველსაწყისი ტოტალობისადმი სრულიად ტრანსცენდენტური უნდა იყოს. თუმცა, ვინაიდან ის ყველა საგანს იწვევს, ყველაფერს თავის თავში წინასწარაც უნდა გულისხმობდეს. მოცემული მოხსენების მიზანია, დამატკიცოს პირველი საწყისისადმი მიდგომის სამი პარადიგმის არსებობა პლოტინის შემდგომ ნეოპლატონიზმში, დამასკიოსის მთავარი შრომის – *De principiis* – ერთი მოკლე პასაჟის საფუძველზე (De princ. I, 86, 3-10 Ruelle), რომელშიც დამასკიოსი პირველსაწყისთან მიმართებით თავის წინამორბედთა პოზიციებს აჯამებს. ზემოთ ნახსენები პასაჟი შესაძლებელს ხდის პლოტინის შემდგომ ნეოპლატონიკოსთა შორის პირველი საწყისისადმი მიდგომის სამი პარადიგმის გამოყოფას და დადმავალი წესით მათ განლაგებას: 1. პირველი პარადიგმა ერთმანეთს უპირისპირებს პირველსაწყისს, რომელიც „სრულიად გამოუთქმელია“, და საწყისს, რომელიც მისი მომდევნო ტრიადისადმი თანუწყობელია. აშკარაა, რომ სრულიად გამოუთქმელი საწყისის ტრანსცენდენტობა შესაძლო მაქსიმუმამდეა აბსოლუტიზირებული. ამ პარადიგმას წარმოადგენენ იამბლიქოსი და დამასკიოსი, რომლებმაც აბსოლუტურად გამოუთქმელი საწყისი უფრო „პოზიტიურ“, მიზეზობრივად ქმედით ერთზე მაღლა დაუშვეს; 2. მეორე პარადიგმა ერთადერთი პრინციპის დონეზე ქმნის გამოუთქმელობისა და მიზეზობრიობის კომბინაციას. მათ, ვინც იამბლიქოსის შემდეგ მოღვაწეობდნენ, უმთავრესად, სირიანოსმა და პროკლემ, პირველი ტრიადის მიღმა ერთადერთი გამოუთქმელი მიზეზი აღიარეს,

ნაცვლად იმისა, რომ სრულიად გამოუთქმელი და ტრიადაზე აღმატებული საწყისები გამოეყოთ; 3. მესამე პარადიგმაში ყველაფრის ერთადერთი პირველსაწყისი ნოეტური ტრიადის მამად განიხილება. ჩანს, რომ პორფიროსმა მიატოვა აბსოლუტურად ტრანსცენდენტური საწყისის იდეა და ნოეტური ტრიადის პირველი ელემენტი მიიჩნია პირველსაწყისობისთვის საკმარისად. დამასკიოსი პირველი საწყისისადმი ასეთ მიდგომას „დამდაბლებად“ აღიქვამს და პორფიროსის პირველსაწყისის გამოუთქმელად დახასიათებაზე უარს ამბობს.

Ana Kiria

Tbilisi State University

THE THREE PARADIGMS OF APPROACHING TO THE FIRST PRINCIPLE IN POST-PLOTINIAN NEOPLATONISM

From the very beginning, the question about the nature of the first principle was the central problem of Neoplatonism. The problem is that the first principle must completely transcend totality of all things – yet because it causes all things, it must anticipate all things within itself. The aim of the given paper is to demonstrate the existence of the three paradigms of approaching to the first principle in post-Plotinian Neoplatonism, on the basis of a short passage of Damascius' main work *De principiis* (De princ. I, 86, 3-10 Ruelle), where Damascius sums up his predecessors' positions regarding the first principle of all. The aforementioned passage makes it possible to distinguish the three paradigms of approaching to the first principle among post-Plotinian Neoplatonists and to put them in descending order: 1. The first paradigm makes a contrast between a first principle which is 'completely ineffable' and one that is uncoordinated with the following triad. Evidently, the transcendence of the completely ineffable first principle is absolutized to the maximum extent possib-

le. This paradigm is represented by Iamblichus and Damascius, who postulated a totally ineffable first principle above a more 'positive', causally efficient One; 2. The second paradigm combines ineffability and causality within one single principle. Those who came after Iamblichus, notably Syrianus and Proclus, accepted the single ineffable cause beyond the primary triad, rather than distinguishing between the completely ineffable principle and the principle that presides over the triad; 3. In the third paradigm, the single first principle of all things is treated as the Father of the noetic triad. It seems like Porphyry abandoned the idea of the absolutely transcendent principle, and considered the first element in the noetic triad to be sufficient as a first principle. Damascius considering such an approach to the first principle as 'descent' refuses to characterize Porphyry's first principle as ineffable.

გელა ქისტაური

*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

ცეცხლისა და ჯვრის მითოლოგიურ - ჟრისტიანული მოტივების გააზრება - „ცეცხლისჯვრის“ სალოცავის ფუნქცია - შინაარსის შესწავლისათვის

საქართველოს მთიანეთში დღესაც მრავლად მოიძებნება წინაქრისტიანული ქართული სააზროვნო სისტემის ელემენტები, რომლებიც ქრისტიანობას შესისხლხორცებიან და მასთან ერთად ქმნიან მდიდარ და საკმაოდ საინტერესო სინკრეტულ ყოფას.

ამჯერად ჩვენი მიზანია, მთიულეთში, კერძოდ კი ხადას ხეობაში არსებული „ცეცხლის ჯვრის“ სათემო სალოცავის წარმოშობის მიზეზების, მისი ფუნქციისა და შინაარსის შესახებ ჩვენეული კვლევის წარმოჩენა.

აღნიშნული სალოცავის სახელწოდებაში, ჩვენი აზრით, თავმოყრილია ერთიანი უწყვეტი ქართული კულტურის ორი – წინარქრისტიანული და ქრისტიანული ცნობიერება, რაც, თავის მხრივ, იმის მიმანიშნებელია, რომ კონკრეტული სოციალური ფენის თუ საზოგადოების წინაქრისტიანულმა რელიგიურმა ცნობიერებამ ქრისტიანობასთან გამონახა საერთო ენა და ახალ რელიგიურ კულტურაში შესაბამისი ადგილი დაიკავა.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა „ცეცხლისა“ და „ჯვრის“ როგორც წინაქრისტიანულ, ასევე მათ ქრისტიანულ მოტივებსა და ამ მოტივების ურთიერთმიმართების საკითხს. ასევე ხაზი ექნება გასმული აღნიშნული სალოცავის კონკრეტული სოციუმისთვის, მის ისტორიულ, რელიგიურ და ეთნოსოციალური ფუნქცია-შინაარსის საკითხის კვლევას.

კვლევის საფუძველზე, ახლებურად იქნება გაანალიზებული ის ჰიპოთეზები, რომელთა მიხედვითაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული სინკრეტული რელიგიური ცნობიერება, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია ცეცხლის და ასტრალურ მნათობთა თაყვანისცემის გამოვლინების რწმენა-წარმოდგენებს, რომ ეს ყველაფერი, თითქოსდა, ირანული ზოროასტრული რელიგიური სისტემიდან ყოფილიყოს შეთვისებული.

Gela Kistauri

St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia

"THINKING OF THE MYTHOLOGICAL AND CHRISTIAN MOTIVES OF FIRE AND CROSS - THE FUNCTION OF THE " FIRE-CROSS" SHRINE - FOR THE STUDY OF THE CONTENT

In the mountainous region of Georgia today there are many elements of the pre-Christian Georgian thinking thinking system which entered Christianity, and together created rich and quite interesting mix.

This time our goal is to represent our research on the reasons, function and content for the origin of the "fire-cross" community shrine in Mtiuleti, exactly gorge of Khada.

In the name of the above mentioned shrine, in our view, we have two pre-Christian and Christian consciousness of Georgian culture, which itself indicates that the concrete social and public consciousness found a common language and a place in the new religious culture.

Particular attention will be paid to the issue of "fire" and "cross" as a pre-Christian and their Christian motivation and the interrelation of these motives. It will also emphasize the importance of the above-mentioned shrine, specific community, its historical, religious and ethno-social function – content.

Based on the survey, the hypothesis will be analyzed in a new way, according to which, – the eastern mountainous region of religious consciousness, in which there occupies a special place of fire and astral lights worship manifestations of faith – notion this is, allegedly, brought from the Iranian Zoroastrian religious system.

მაია ქუჭიშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბურ- ფუძე და მისგან ნაწარმოები ლექსები

მსოფლიოში გავრცელებული ენები თავისი განვითარების ეტაპებზე უცხო ენის გავლენას ოდითგანვე განიცდიდნენ, რომლის მიზეზადაც მიჩნეულია მეზობელ ხალხთა კულტურული, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვაგვარი ურთიერთობები. ასე ეთვისებოდა ერთმანეთს ენებში ლექსიკური ერთეულები, რომელთა წარმომავლობა, შესაძლოა, დადგინდეს მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით.

გურ-ფუძეს სხვადასხვა ენასა და დიალექტში სხვადასხვაგვარი სემანტიკური დატვირთვა აქვს, თუმცა საინტერესოა მათი მსგავსებებიც.

სულხან-საბა ორბელიანთან **გურიობა** ნიშნავს მიდევნებას არევით, თუ მიდევნება ოგურთა (**ოგური** – პირუტყვი მეგობარ(ნი)).

რ. გორდეზიანის განმარტებით, **გურ-უ (Guru)** – გროვას, **ზვინს** ნიშნავს საერთო ქართველურში.

გურ-ი ჯავახურ დიალექტშიც ცოცხალ არსებათა გროვას, ჯგუფს ნიშნავს.

გორ- მეგრული კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ გორ- ძირს. ასევე კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ გორ- ძირს ლაზური გორ- და სვანური გურ<გორ- ზმნური ძირები. საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე **გორ-/გრ-** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი-სარჯველაძე: 84).

გურ-ა სლავურში წყაროს, სათავეს, ქვასაც ნიშნავს. gurre – წყარო.

ალბანურში გურ- ფუძე გამოყენებულია შემდეგ ლექსიკურ ერთეულებში: ქვა, კლდე, მთა, წყარო. gurre/gurra კლდის ან ქვის სარწყავ წყაროს. გირია კი ტყეს ნიშნავს.

ჩრდილო-დასავლეთ საბერძნეთში არის სოფელი **გურა** Γκούρα. მრავალ ტოპონიმს დაედო საფუძვლად **გურ** ფუძე, რომელიც ნაწარმოებია ჰიპოკორისტული მანარმოებლებით. ძირითადად კი აღნიშნავს **წყაროს**, დიდს ან პატარას, ან სათავეს, ან მათ ერთობლიობას. ასევე, **გურ-** ფუძე გვხვდება ბერძნულ ანთროპონიმებში, კერძოდ, გვარსახელებში და მეტსახელად.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ **გურ- ფუძე**, თითქმის ყველა ზემოთ განხილულ ენებსა და დიალექტებში, მათ შორის საერთოქართველურში, ძველ ქართულში, ქართული ენის ჯავახურ დიალექტსა და თურქულში, მსგავსი სემანტიკითაა წარმოდგენილი და ნიშნავს **ერთობლიობას** (ცოცხალ არსებათა – ადამიანთა, პირუტყვთა, წყაროთა, ასევე, მცენარეთა გროვას, ზვინს).

აქვს სხვა მნიშვნელობაც ინდოევროპულ ენებში: ქვა, კლდე, ტუჩები, რაც სისველესთან ასოცირდება.

Maia Kukchishvili

Samtskhe-Javakheti State University

GUR – STEM AND ITS SEMANTIC UNITS

Languages around the world have always been impacted by foreign languages during their development due to the cultural, political, religious or other relations of neighboring nations. The lexical units in the languages were so intertwined that their origins can only be ascertained by etymological analysis.

Gur-stem has different semantic loads in different languages and dialects, though their similarities are also interesting.

At Sul Khan-Saba Orbeliani ***gurioba*** means taking cattle in the herd. According to R. Gordeziani's definition ***Guru*** means – flock, stack in common Kartvelian. **Gur-i** in Javakhian dialect means a flock/group of living creatures. Megrelian **Gor-** lawfully corresponds to Georgian **Gor-** stem. Consequently Lazuri **Gor** and Svanuri **Gur<Gor-** verb stems lawfully correspond to the Georgian **Gor-**stem. G. Klimov restored **Gor/Grache** type on the base of Kartvelian language (Fenrich—Sarjveladze:84).

Gur-a in Slavian means spring, spring mouth, stone. **gure-** a spring

In Albanian **Gur-stem** is used in the following lexical units: stone, rock, mountain, spring. **Gurre/gurra** means rock, stone spring. **Giria** – a forest.

There is a village **Gura** – Γκούρα in North-West Greece. **Gura** **Gur-**stem is a base of a lot of toponyms that are derived by hypocoristic affixes. It mainly denotes spring either big or small, or a mouth

or their unity. Greek **Gur**-stem meets us also in Greek **anthroponyms, specifically, in names and as nicknames.**

We may assume that **Gur**- stem is represented by similar semantics in almost all the above-mentioned languages and dialects, including Common Georgian, Old Georgian, Javakhetian and Turkish, and means Unity (of living beings – humans, animals, springs, as well as plant gathering, stack). It has the other meaning in Indo-European languages: stone, rock, lips, that is associated with wetness.

თინა შიოშვილი

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ერთი ქართული ხალხური ლექსის მუჰაჯირული „ოდისეა“

თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორმა ბოლო დრომდე შემოინახა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ბალადური ხასიათის ლექსი „...მალლიდანა გადმოდგარა...“

ჩვენებურები ერთხმად მიუთითებენ, რომ ამ ლექს-სიმღერას ხშირად ასრულებდნენ ნადების დროს და ქორწილებში.

მთა რაჭაში ამ ლექს-სიმღერას, როგორც ტრადიციული ბალადებისათვის არის დამახასიათებელი, საგაზაფხულო ფერხულში მღეროდნენ. მისი შემსრულებლები იყვნენ ქალები. სიმღერა სრულდებოდა ინდივიდუალურადაც ფანდურის აკომპანიმენტით.

არქაულ ლექს-სიმღერას „... მალლიდანა გადმოდგარა...“ კარგად იცნობს აჭარის ზეპირსიტყვიერებაც. მისი ადრეული ჩანაწერები მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებს ეკუთვნის და დღემდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია.

აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის დაფიქსირებული ვარიანტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეს არქაული ლექს-სიმღერა აჭარელ მუჰაჯირთა პირველმა თაობამ, ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშებთან ერთად, სამშობლოდან წაიღო და შთამომავლობას გადასცა.

Tina Shioshvili
Batumi State University

MUHAJIRIAN "ODYSSEY" OF ONE GEORGIAN FOLK POEM

The folklore of the descendants of muhajirs from Ajara populated in different regions of the Republic of Turkey kept ballad-type poem "... Standing on the top...", widely-spread almost in all Georgian regions.

Descendants of muhajirs from Ajara unanimously note that this poem-song was often performed at blasts and wedding ceremonies.

A mountain is a characteristic feature for this poem-song (as for traditional ballad), and during performance of spring perkhli (national dance). Women performed it. The song was also performed individually accompanied by panduri (a traditional Georgian three-string plucked instrument).

The archaic poem-song "... Standing on the top..." is well known within Ajara folklore. Its early records belong to the forties of the nineteenth century and are in current folklore rotation.

Research of the versions, fixed among the descendants of muhajirs from Ajara, shows that this archaic poem-song was taken from the Motherland by the first generation of the muhajirs and in line with other elements of folklore was transferred to the descendants.

სტეფენ ე. შუმეიკერი
ორეგონის უნივერსიტეტი, აშშ
Stephen J. Shoemaker
University of Oregon, USA

**MARY AT MAR SABA: THE GEORGIAN *LIFE OF THE VIRGIN*
ATTRIBUTED TO MAXIMUS THE CONFESSOR AND ITS
PALESTINIAN CONTEXT**

Scholars have recently proposed that the Georgian *Life of the Virgin* attributed to Maximus the Confessor should be considered a work of the tenth or eleventh century that depends on the *Life of the Virgin* by John Geometres. Nevertheless, such a dating and dependency are highly improbable. Renewed attention to the manuscript tradition of this earliest surviving biography of the Virgin provides rather decisive evidence that the text must have been written earlier than this. Indeed, it was almost certainly composed before the ninth century, most likely at the monastery of Mar Saba. The manuscript tradition allows us to identify the earliest known copy of this text in the scriptoria of this monastery, where it would also appear that this *Life* was translated from Greek into Georgian. This further means that the attribution of the *Life's* translation to Euthymius the Hagiorite by a single manuscript is almost certainly erroneous and is a consequence of Euthymius' widespread fame as a translator, particularly of writings by Maximus. Not only does the evidence of the manuscript tradition lead us to locate the composition of this biography at Mar Saba, but certain features of the narrative suggest the influence of the liturgical traditions of late ancient Jerusalem. This is particularly so with regard to the Virgin's lamentations at the Cross in this *Life of the Virgin*, the first known example of this genre. The Virgin's plaints in this text appear to be influenced significantly by the *stichera idiomela* for Good Friday that were in use in Jerusalem (and also Mar Saba) from the later sixth century onward. This close connection with

the hymnography of late ancient Jerusalem (among other features) adds further conformation for the production of this earliest Marian biography in Palestine sometime during the seventh century, or at the absolute latest in the eighth century.

ჯული შოშიაშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

სამეფო კარის ქრონიკები-ინსტინიანეს ეპოქა

მეექვსე საუკუნე ბიზანტიის ისტორიაში გამოირჩევა იმპერიის ცხოვრების საოცარი სპექტრით – სასახლის კარის თავბრუდამხვევი პერიპეტიებით, ძლევამოსილი ლაშქრობებით და სავლეთით – გერმანელთა ტომების და აღმოსავლეთით – სპარსეთის წინააღმდეგ; გრანდიოზული მშენებლობებით დედაქალაქსა და პერიფერიებში; სისხლიანი შეთქმულებებითა და სამშვიდობო გარიგებებით; ყოველივე ამას ჰყავდა თავისი ჟამთააღმწერელი, სიტყვის იშვიათი დიდოსტატი პროკოპი კესარიელი, რომლის თხზულებებიც ფასდაუდებელი წყაროა არა მარტო ბიზანტიის იმპერიის და მის ფარგლებში მცხოვრებთა, არამედ მეზობელი რეგიონების გასაცნობად და შესასწავლად ისტორიული, გეოგრაფიული, ტოპონიმური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

სამეფო კარის ცხოვრება იყო წარმმართველი ძალა იმპერიისა; იგი ასახავდა ეპოქის წინააღმდეგობრივ ხასიათს სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ-კულტურულ და რელიგიურ სფეროში.

სამეფო კარის ქრონიკების ფურცლებზე ჩანან იბერები, ლაზები, სვანები, როგორც ორი დიდი იმპერიის – ბიზანტიისა და სპარსეთის – ინტერესების გადაკვეთის სამიზნე.

Juli Shoshiashvili

Iliia State University, Institute of Oriental studies

CHRONICLES OF THE ROYAL COURT- THE EPOCH OF IUSTINIANE

Throughout the sixth century of the history of Byzantine, a wonderful specter of imperial life is distinguished – for shocking peripeties of the Royal Court, powerful raids against the German tribes in the West and against Persia in the East; For grand buildings in the capital city and in the suburbs, bloody plots and peaceful deals; All of them were followed by writer with exceptional speeches Procopius of Cesarea, whose works served as priceless sources for Byzantine Empire with all its inhabitants and also for getting acquainted and coming to know neighboring regions from the historical, geographic, toponymical and ethnographic points of view.

Life of the Royal Court was a leading power the empire; It reflected contradictory properties of the epoch in social-political, economic-cultural and religious fields.

On the pages of the Royal Court chronicles we can observe the Iberians, the Laz, Suans as a cross road of the interests of two great empires- Byzantine and Persia.

ჰელმუტ შნაიდერი

ემერიტუსი პროფესორი, კასელი, გერმანია

Helmut Schneider

Emeritus Professor, Kassel, Germany

WHO WAS DIONYSIUS THE AREOPAGITE?

The present article discusses a question of authorship of the *Corpus Areopagiticum*. The author analyzes the hypothesis of the Italian researcher Carlo Maria Mazzucchi, according to which the author of *Corpus Areopagiticum* was the famous Neoplatonic philosopher Da-

mascius. Mazzucchi's arguments (the importance of proper names in Corpus Areopagiticum and their interpretation, Damascius's relationship with Christianity, style of Damascius, biographical moments from Damascius's life) are critically examined and further arguments are advanced, which support his hypothesis.

მანუელა შტუდერ-კარლენი

ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია

Manuela Shtuder-Karlen

University of Fribour, Switzerland

MEDIEVAL GEORGIAN AND PALAIOLOGAN PAINTING: THE INTERACTION OF RITE AND IMAGE

The rich heritage and outstanding monuments of medieval Georgia testify to the vitality of cultural and artistic life in the region during Late Antiquity and the Middle Ages. The climax of monumental art in Georgia reached in the 14th century corresponds to the artistic expression of the Palaiologan period, characterised by the important role of hymnographic and liturgical texts in the creation of painted programmes. Therefore, Georgian church programs present the same specific combination of narrative and symbolic motifs and newly emerging iconographic themes from the end of the 13th century. The similar iconographic developments in Georgia and Byzantium are due in particular to the fact that since the 11th century mainly Greek liturgical texts, but also other texts from church literature, have been translated into Georgian in the Iveron Monastery on Mount Athos, an important centre for Byzantine-Georgian cultural exchange. It is noteworthy to stress that these new iconographic themes from the end of the 13th century correlate with contemporary liturgical trends. The study focuses on these programs and their interdependence with contemporary rites, as well as on the comparison of Georgian and Byzantine art production. Thus, the

liturgical ritual is reflected in the association of textual sources and image cycles depicted in sacred spaces, all aimed at emphasizing the idea of Christian truth.

This paper provides an exploration of the interplay and interaction of images and liturgy, and furthermore, illustrates the interdependence of image and word. Conclusions are drawn about the conceptualization and contextualization of the iconographic programs and contemporary rites in Georgian Art.

რუსტამ შუკუროვი

მ. ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოსკოვი

Rustam Shukurov

M. Lomonosov State University, Moscow

THE TURKS IN THE SOUTH BLACK SEA REGION IN THE 11TH THROUGH 15TH CENTURY

Starting with the last third of the eleventh century, the Seljuq Turks established themselves in former Byzantine Anatolia. However, despite several attempts, the Turks did not seriously tried to get an access to the Black Sea until the beginning of the thirteenth century and to become a real "maritime power". The paper will discuss the strategies of the Turkic invasions in the Southern Black Sea region in the eleventh through the fifteenth century, the periodization of Turkic penetration, the influence of the Turkic presence upon autochthonous population. Special attention will be paid to the reconstruction of the demographical map of the Southern Black Sea region. The paper will attempt to explain the Turkic "fear of the sea" (thalassophobia) and its consequences for the politics and culture of the region.

დოღუკან ჩაღლაიანი, ერგუნ ლაფლი
იზმირის უნივერსიტეტი, თურქეთი
Doğukan Çağlayan, Ergun Lafli
University of Izmir, Turkey

**A SIGILLOGRAPHIC RESEARCH IN THE MUSEUMS OF
BERGAMA, IZNIK, BANDIRMA, ODEMIS, MARMARIS, KIRSEHIR
AND YOZGAT IN WESTERN AND CENTRAL TURKEY**

In 2018 and 2019 a sigillographic research has been undertaken by D. Çağlayan and E. Lafli with the assistance of S. İkiyeş (Izmir) and Professor W. Seibt (Vienna) in the museums of Bergama, İznik, Bandırma, Ödemiş, Marmaris, Kırşehir and Yozgat in western and central Turkey through the several autorizations issued by each directorship of these local museums. Focus of this research was lead seals of Byzantine period. The number Byzantine lead seals in these museums are as follows: 31 examples in Bergama (Byzantine Πέργαμον), ten in İznik (Byzantine Νίκαια), eight in Bandırma (Byzantine Πάνορμος), ten in Ödemiş (Byzantine Οδεμήσιο), six in Marmaris (Byzantie Φύσκος), twelve in Kırşehir (Byzantine Μωκισσός or Ίουσπινιανούπολις) and five in Yozgat (Armenian Եռղիսս). Almost all of these seals are by acquisition by the local salesmen so that their provenance are not securely assigned, and only very few of them are excavated finds. Most of the are well preserved and in good condition. Especially the sigilliographic collection in the museum of Bergama is significant as it bears a great variety of Byzantine chronologies. It seems that some seals of this collection originate from Lydia instead of Pergamum. Most of the seals do range a period between the sixth century A.D. to the 12th century. In this paper concentration will especially be given to the seals originated from the southern Black Sea area, i.e. from Paphlagonia and Pontus.

კიმენური ჰაგიოგრაფია და ქართული ჰაგიოგრაფიული კანონი

ჰაგიოგრაფიული ჟანრის წარმოშობა-განვითარება მჭიდროდ უკავშირდება, ერთი მხრივ, ბიზანტიის პოლიტიკურ-რელიგიურ ცხოვრებას და, მეორე მხრივ, იმ ლიტერატურულ ტრადიციას, რომელიც ბიზანტიურმა კულტურულმა სივრცემ დაახვედრა ქრისტიანულს (ბიოგრაფიები, ენკომიები და ა. შ.). ქართული სამწერლობო ტრადიცია ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს კიმენურ და მეტაფრასულ თხზულებებად ჰყოფს. ტერმინ კიმენს-ლიტონს, მარტივი ტექსტების შინაარსით, ქართული ლიტერატურული ტრადიცია იცნობს. მედიევისტურ ლიტერატურაში ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას ქართული ტრადიციისგან განსხვავებულად – დარგობრივი კრებულების პრინციპით – ჰყოფენ. ქართულ ლიტერატურაში მიღებულ დაყოფას სტილისტურ-კომპოზიციური საფუძველი აქვს. ქართულ ქრისტიანულ სივრცეში ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს უკვე მე-4-5 საუკუნეებიდანვე ვხედავთ, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია ამ პერიოდის ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს ავთენტური სახით. ის ყველაზე ადრეული ძეგლები კი, რომლებმაც მოაღწიეს ჩვენამდე, ძალიან ახლოს დგანან მეტაფრასულ ლიტერატურასთან. ამავე დროს, შედარება ცხადყოფს სხვაობას, ერთი მხრივ, კიმენურ ტექსტების I/II ტომებში გამოქვეყნებულ ტექსტებს და ჩვენს უადრეს ორიგინალურ ქართულ ჰაგიოგრაფიულ და მეტაფრასულ ძეგლებს შორის. შესაძლოა, შემოვიღოთ ტერმინი „შუალედური რედაქციები“ - შუმანიკის, აბოს, ევსტათის და სხვა წმინდანთა წამებების აღმწერი ტექსტების - სტილისტურ-კომპოზიციური რაგვარობის აღსანიშნავად, ხოლო ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის განვითარების ეტაპების ამსახველი ტერმინოლოგია (ჩვენი ტრადიციულის პარალელურად, კიმენი/მეტაფრასი) გა-

ვუთანაბროთ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში მიღებულს.

Eka Chikvaidze, Nana Mrevlishvili

TSU, Institute of Georgian Literature

KIMENIC HAGIORGRAPHY AND GEORGIAN HAGRIOGRAPHIC CANON

The emergence and development of the hagiographic genre is closely related to political and religious life of the Byzantine, as well as the literary tradition of the Byzantine cultural space that had preceded the Christian one (biographies, etc.). Georgian literary tradition divides hagiographic texts into kimenic and metaphrastic works. The term kimen is familiar in Georgian literary tradition, through plain texts. In mediavelistic literature, unlike Georgian tradition, hagiographic literature is divided based on the principle of field-specific collections of works. The division adopted in Georgian literature has stylistic and composition basis. Hagiographic works are found in Georgian Christian space from 4th and 5th centuries; yet, authentic versions of hagiographic works of that period have not survived. Those surviving works of the early period are very close to metaphrastic literature. Furthermore, the comparison evidences the difference between texts published in Kimen I/II, our earliest original Georgian hagiographic works and metaphrastic works. We can adopt a term "interim editions" to denote the stylistic and compositional type of the texts describing the martyrdoms of Shushanik, Abo, Evs-tati and other saints. And match the terms reflecting the stages of the development of hagiographic literature (parallel to our traditional one – Kimen/Metaphrasi) with those adopted throughout the international scientific community.

ნანა ჩიკვატია

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**ანასტასი სინელის „წინამძღუარის“
ანდერძ-მინაწერების შესახებ**

ძველი ბერძნული ტრაქტატის, „ოდეგოსის“, ძველქართულად „წინამძღუარის“ შესახებ არაერთი სტატია თუ მონოგრაფია გამოქვეყნებულა XVIII საუკუნიდან დღემდე. ის დღესაც სარგებლობს მეცნიერთა დიდი ინტერესით. თხზულება ადრევე ითარგმნა ქართულად არსენ იყალთოელის მიერ, შესულია მის ცნობილ კრებულ „დოგმატიკონში“. ხელნაწერებში თხზულებას ახლავს უამრავი უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი ცნობების შემცველი ანდერძ-მინაწერი. მათგან ბევრი ავტორისეული და ბერძნული ორიგინალიდან არის გადმოსული, ბევრი კი მთარგმნელის შემოქმედებითი ინიციატივის გამოხატულებად ჩანს. მთარგმნელისეული ანდერძ-მინაწერები მრავალმხრივ საყურადღებოა და საგანგებო კვლევას მოითხოვს.

Nana Chikvatia

National Center of Manuscripts

**ON COLOPHONS AND INSCRIPTIONS OF "VIAE DUX"
(HODEGOS) OF ANASTASIUS OF SINAI**

Many researches were published about the old Greek treatise "Viae Dux" (Hodegos) (in ancient Georgian "Tsinamdzghuari") since the 18th c. until the present days. This work still attracts attention of the scientists. "Viae Dux" was translated into Georgian in the early times by Arsen of Ikalto and was included in his well-known collection "Dogmaticon". In the old Georgian manuscripts this treatise is accompanied by many colophons and inscriptions containing extremely interesting and valuable information. Some of them belong to

the author of the treatise and originate from the Greek manuscripts. Others are written by the Georgian translator. These colophons and inscriptions are remarkable from many different points of view and deserve the special attention and study.

ნარი ჩხაბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჟამისწირვის ტერმინის განსაკუთრებული გაგებინათვის

„ჟამისწირვა“ მართლმადიდებელი ეკლესიის უმთავრესი ღვთისმსახურების აღმნიშვნელი უმნიშვნელოვანესი ქართულენოვანი საღვთისმეტყველო ტერმინია. ჟამნი (ჟამი, დრო) ყოველდღიური საზოგადო მსახურებისთვის განკუთვნილი ლოცვებია, წირვა – იგივე ლიტურგიკული ღვთისმსახურება. ნაშრომში ვმსჯელობთ ჟამისწირვის, როგორც ღვთისადმი დროის შეწირვის პროცესზე, იმ დროის, რომელიც ღვთივბოძებული ფასდაუდებელი საჩუქარია და მისი გამოყენებისთვის ისევე მოგვეკითხება, როგორც ღვთისგან მიცემულ ტალანტთა გამო მოეკითხათ ქრისტეს იგავში ტალანტების შესახებ.

აღვნიშნავ, რომ ჟამის (დროის) ღვთისადმი გონივრული შეწირვა ხდება ჟამისწირვისას, როცა ქრისტესთან თანამყოფობას ვცდილობთ გონის სრული მობილიზება-კონცენტრაციით, ანუ სრულიად ვუძღვნიტ ჩვენს ცნობიერებას ღმერთს იმ დონეზე, რომ სხვა ყველაფერი ამსოფლიურისგან მაქსიმალურად ვთავისუფლდებით და ვცდილობთ მთლიანად ვეკუთვნოდეთ უფალს. ამდენად, ჟამისწირვის ტერმინოლოგიურ-შინაარსობრივი გაგება მიუთითებს ღვთისადმი დროის შეწირვაზე. რამდენადაც ვწირავთ დროს ღმერთს, იმდენად ვუახლოვდებით მას, თავდება დრო და, უჟამობაში (უდროობაში) გადასვლისას, ვუერთდებით ღვთაებრივ მარადისობას.

**FOR THE SPECIAL UNDERSTANDING OF THE TERM
"ZHAMISTSIRVA"**

Zhamistsirva [žamisčirva] is the Georgian theological term denoting the Devine Liturgy – the primary worship service of the Orthodox Church. Zhami means time, tsirva – liturgy. In my article, zhamistsirva is argued to be the process of sacrificing time to God. Time is an invaluable gift that we received from God, and we will be judged depending on how we make use of it, as in the Parable of the Talents where the servants were accountable for using wisely the talents given by their master.

When we attend the liturgy we want to be in total harmony with Christ. We try to mobilize fully our mental faculties and dedicate our consciousness to God at the level where everything earthy disappears, and we entirely become a part of the Lord. Therefore, the terminological-contextual understanding of zhamistsirva signifies sacrificing time to God. The more time we spend with God, the closer we draw to him. As the end of our time nears and we step into timelessness, we join divine eternity.

მარიამ ჩხაბერიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**„დასავლეთისა“ და „აღმოსავლეთის“
დიქტონარის გააზრება და ქართული იდენტობის
წრთობა IV-XV საუკუნეებში**

„დასავლეთისა“ და „აღმოსავლეთის“, „ევროპასა“ და „აზიას“ შორის კოლიზიის სახით კაცობრიობის ისტორიის რეპრეზენტირებას აქვს ღრმა ფესვები. ჰეროდოტეს „ბერძენ-სპარსელთა ომები“ და სამუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“

ანტიკურობიდან დღემდე ამ ტრადიციის განგრძობადობის თვალსაჩინო მოწმობაა. ეს ბინარული ოპოზიცია იყენებს გეოგრაფიულ ტერმინებს. მაგრამ გეოგრაფია ამ შემთხვევაში სიმბოლურია, ტერმინები მიუთითებს არა ადგილზე, არამედ იდეებზე. ისინი თავისებურად არეკლავს რეალობას. მაგრამ რა რეალობას არეკლავს ისინი? ცხადია, ესაა იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი.

ძველი ქართველები თავიანთ თავს განიხილავდნენ ოიკუმენას აღმოსავლეთ ნაწილად, ამ ოიკუმენაში დასავლელების, ანუ ბერძნების მყოფობაც იგულისხმებოდა. „ნამდვილი“ აღმოსავლეთი კი სპარსეთად ჰყავდათ წარმოდგენილი. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართული სახელმწიფოს „აღმოსავლური“ იდენტობა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მეოთხე საუკუნეში ქართველი ჰაგიოგრაფისათვის წინარექრისტიანული ქართლი „ჩრდილოეთი“ იყო, იმიტომ, რომ მას ნამდვილი რწმენის მზე აკლდა. თუმც მალე სიტუაცია კვლავ შეიცვალა. იდეოლოგია, რომელიც ქართველთა გაქრისტიანებიდან უახლოეს ხანებში შეიქმნა ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ, ქართველებს უფლის რჩეულ ხალხად წარმოაჩენდა, რამდენადაც ქართველები ცხოვრობდნენ სწორედ იმ ადგილას, სადაც უფლის კვართი იყო დაფლული. შესაბამისად, იმდროინდელი წარმოდგენებით, მეორედ მოსვლის ჟამს, სწორედ იქ უნდა დამკვიდრებულიყო „ახალი იერუსალიმი“. ამგვარად, ქართული მესიანიზმის ადრექრისტიანული ვერსია გულისხმობდა, რომ ჯვარცმის შემდგომ მსოფლიოს საკრალური ცენტრი იერუსალიმიდან საქართველოში გადმოინაცვლებდა. ეს ცენტრი კი, ამ იდეოლოგიის მიხედვით, გაიაზრებოდა, როგორც „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ შეყრის ადგილი: პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი სპარსელი უფლისწული გახლდათ, ხოლო დედოფალი ნანა – ბერძენი პრინცესა. ამგვარად, ქართული სამეფო ოჯახი წარმოდგენილი იყო როგორც ორი დაპირისპირებული ცივილიზაციის

პერსონიფიკაცია და ქართლის სამეფო კი – ამ ცივილიზაციათა შეყრის ადგილი.

მოხსენება მიზნად ისახავს, თვალი გაადევნოს ქართულ სინამდვილეში „დასავლეთისა“ და „აღმოსავლეთის“ დიქოტომიის კონცეპტუალიზების დინამიკას ამ დროიდან, ანუ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღებიდან კონსტანტინოპოლის დაცემამდე პერიოდში. კვლევა აჩვენებს, რომ ქართველები საკუთარ თავს განიხილავდნენ სწორედ „დასავლეთისა“ და „აღმოსავლეთის“ დიქოტომიის გათვალისწინებით და სამშობლოს ადგილმდებარეობას მათ წარმოსახვებში ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, იმდენად დიდი, რომ ხშირად ის ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიის ნაწილადაც კი გვევლინება.

მოხსენება ეფუძნება მრავალფეროვან მასალას, როგორც ნარატიულს, ასევე დოკუმენტურ წყაროებს. გამოკვლევაში გათვალისწინებული თეორიული კვლევების ქვაკუთხედს კი წარმოადგენს აზრი იმის თაობაზე, რომ კოლექტიური კულტურული იდენტობის ფორმირებისათვის გადამწყვეტი როლი აქვს საზოგადოების შეხედულებებს, იდეებს, ღირებულებებს.

Mariam Chkhartishvili

Tbilisi State University

PERCEPTION OF A ‘WEST’-‘EAST’ DICHOTOMY AND FORGING GEORGIAN IDENTITY IN 4TH-15TH CC

The representation of human history as a collision between ‘West’ and ‘East’, ‘Europe’ and ‘Asia’ has deep roots. *The Greco-Per-sian Wars* by Herodotus and *The Clash of Civilizations?* by Samuel Huntington are good illustrations to this tradition’s continuity from antiquity till modern times. This binary opposition uses geographical terms; however, they do not refer to locations, but rather sets of prin-

ciples. Geography is symbolic here. It mirrors reality, albeit very specifically. But what kind of reality does it mirror? Of course, these are processes of identity formation.

Ancient Georgians saw themselves as an eastern part of the oecumene in which the presence of westerners (Greeks) was also implied. The "real" East in antiquity was represented by Persia. With the coming of Christianity, the eastern identity of the Georgian state was challenged. In the fourth century, for Georgian hagiographer pre-Christian Georgia was a northern country, because of a "lack of sunshine of true faith". However, the situation soon changed. According to the ideology created shortly after the adoption of Christianity as an official religion, Georgians were chosen among all Christian peoples as they lived in the place where Lord's Tunic was kept and where, during the Second Coming, the 'New Jerusalem' would be established. Thus, this version of Georgian messianic ideology implied that after the Crucifixion, the sacral centre of the world would be moved from Jerusalem to Georgia. The world centre was viewed as a place of West/East convergence. The first Christian king of Georgia Mirian was a Persian prince and his spouse queen Nana, a Greek princess. Thus, the Georgian royal family represented the personification of two contesting realms, and Georgia was the place of their meeting.

The paper aims to follow the dynamics of conceptualization of West/East dichotomy from 4th century until the fall of Constantinople. Research has revealed that for Georgians the location of the homeland had profound importance for their self-identification; in many cases these perceptions even were built into the myths of ethnic "specialness".

The presentation is based on narrative as well as documental sources and theoretical assumptions according to which the decisive role in making of collective-cultural identities belongs to the community's perceptions, ideas, and values.

ოლეგ ციბენკო

ელაინური კულტურის ცენტრი, მოსკოვი

Oleg Tsybenko

Hellenic Cultural Center, Moscow

BYZANTIUM: THE BEGINNING AND THE END OF THE HISTORIC PHENOMENON

The problem of defining the beginning and the end of a historic phenomenon in general, and in particular of such an uncertain phenomenon as Byzantinism, must be connected with the problem of understanding its essence – in our case, the essence of Byzantinism.

The problem of defining the end of Byzantinism is usually solved in a rather tentative manner: scholars state the existence of ‘post-Byzantinism’. The point of its beginning is usually ascribed to the political end of Byzantium, the date of which is considered absolutely definite and determined, that is May, 29 1453, the day of the capture of Constantinople by an invading Ottoman army (according to the Greek traditional historical thinking, the Fall of the City – Ἀλωσις της Πόλεως). Yet, this symbolical ‘certainty’ leads to an absolute factual uncertainty, because the Byzantine territory in both its wide meaning of the ‘Empire’, and its narrow meaning of the ‘national source’ (the Balkan and island Greece) had long before this date ceased to exist as a *political* Byzantine territory. And, vice versa, there were other territories that did not belong to the Byzantium’s political successor - the Ottoman Empire – and that went on existing as *culturally Byzantine* (since they kept to the traditions of Byzantine culture; basing on this fact, scholars speak about ‘post-Byzantinism’ and the ‘Eastern Question’) for several centuries after this date.

This cultural and political multiplicity (πολυμορφία), or amorphous being (αμορφία), is characteristic of Byzantium’s beginning (απαρχαί) just as much as of its end. Suffice it to say that Byzantium’s culture evoked from the conflation and transformation of two ‘big’

lines – the political tradition of Roman Empire and the cultural tradition of Ancient Greece. The beginning of Byzantinism, therefore, comprises the same problem of the deficiency of borders, though the deficiency itself is of an opposite type: at the beginning there are no definite *formal* (political, territorial, historical) borders, but there are certain *inner*, or *cultural* borders that separate Byzantium from Antiquity.

მაია ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**„ვეფხისტყაოსნის“ გოგიერთი ლექსიკური ერთეულის
მნიშვნელობა ემიგრანტი მკვლევრის,
ლადო ბელიაშვილის რუსთაველოლოგიური ნაშრომის
მიხედვით**

„ვეფხისტყაოსნის“ კოსმოლოგიის შესწავლის ერთ-ერთ პირველ საყურადღებო ცდას წარმოადგენს ქართველი ემიგრანტი მკვლევრის, ვლადიმერ (ლადო) ბელიაშვილის (1904-1961) მიერ 1956 წელს პარიზში გამოცემული წიგნი „რუსთაველის და დანტეს იდუმალი“ (სიტყვა პირველი) (Les Secrets de Rousthaveli et de Dante Alighieri. Premier discours). წიგნის ავტორი მიიჩნევს, რომ რუსთაველს პოემა ჩაფიქრებული ჰქონდა თავისი ასტრონომიული ცოდნის დაფარულად გამოხატვის საშუალებად, რადგან სამყაროს აგებულების შესახებ მისი განსხვავებული, არაოფიციალური მოსაზრებანის საჯაროდ გამხელა იმ დროს, ქრისტიანული ინკვიზიციის პირობებში, არ შეიძლებოდა და ამიტომ მიმართა ალეგორიულ თხრობას, კამუფლაჟს.

ლადო ბელიაშვილის დასახელებული ნაშრომის საფუძვლიანმა შესწავლამ ცხადყო, რომ მისი ზოგიერთი დასკვნა ემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ კოსმოლოგიის აღიარებული მკვლევრის, პროფესორ გიორგი თევზაძის მიერ 1979 წელს საქართველოში გამოქვეყნებული მონოგრაფიის „რუსთაველის კოს-

მოლოგია“ დასკვნებს და რომ იგი „ვეფხისტყაოსნის“ კოსმოლოგიის მკვლევართა წინამორბედია. აქედან გამომდინარე, წიგნი „რუსთაველის და დანტეს იდუმალი“, მიუხედავად ნაკლოვანებებისა, რომლებსაც თავად ავტორიც აღიარებს, ქართული ემიგრაციისა და კულტურის ისტორიაში კუთვნილი ადგილის დამკვიდრების ღირსია. მას სათანადო მნიშვნელობა აქვს რუსთველოლოგიის ისტორიოგრაფიისა და კოსმოლოგიისათვის.

ამასთან, პოემის იმ ზოგიერთი სტროფის ბელიაშვილისეული წანაკითხ-ინტერპრეტაციები, რომლებითაც საცნაური ხდება რუსთაველის კოსმოლოგიური შეხედულებები და რომლებშიც ხატოვნად არის აღწერილი ესა თუ ის ასტრონომიული მოვლენა, ქმნიან ერთგვარ საფუძველს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სიტყვა-ცნებისა და ტერმინის ახლებური გაგებისა თუ დაზუსტებისათვის, რასაც გვთავაზობს წიგნის ავტორი. ვფიქრობთ, მათ აქვთ არსებობის უფლება და გარკვეული მნიშვნელობა პოემის ტექსტოლოგიური ხასიათის კვლევებისათვის.

წარმოდგენილი მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ლექსიკური ერთეულის („მთვარე“, „ჟამი“...) ლაღო ბელიაშვილისეულ, ტრადიციულისგან განსხვავებულ, გაგებას ეძღვნება.

Maia Tsertsvadze

Georgian Technical University

THE MEANINGS OF SEVERAL LEXICAL ITEMS IN "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN"

BASED ON LADO BELIASHVILI'S WORK ON RUSTAVELI

One of the first notable attempts of the investigation of cosmology in "The Knight in the Panther's Skin" is presented in "Les Secrets de Rousthaveli et de Dante Alighieri Premier Discours", published in Paris, in 1956 by Georgian immigrant researcher Vladimir (Lado) Beliashvili (1904-1961). The author of this book maintains that this

epic was employed by Rustaveli as a means of indirectly expressing his astronomical knowledge, as public disclosure of Rustaveli's different and unofficial views about the structure of the universe were not advisable under the conditions of the Christian Inquisition. Therefore, Rustaveli employed the indirect, allegorical narrative.

The thorough study of the work by Lado Beliashvili has revealed that some of his conclusions coincide with those presented in the monograph "The Rustaveli Cosmology" published in 1979, in Georgia by Professor Giorgi Tevzadze, a widely-known researcher of the cosmology of "The Panther's Skin", and that Beliashvili is the predecessor of the research concerning the cosmology of "The Panther's Skin". Therefore, despite the shortcomings which the author himself points out, the book "Les Secrets de Rousthaveli et de Dante Alighieri. Premier discours", deserves to be allotted a niche in the history of Georgian emigration and culture. In addition, it is of great importance for the historiography and cosmology of Rustaveli Studies.

Interpretation and re-reading of some strophes of the epic by Beliashvili through which Rustaveli's cosmological perceptions can easily be seen and which describes astronomical phenomena figuratively, lead to re-interpretation of some words and terms of the "Knight in the Panther's Skin". These interpretations certainly have the right to exist and, as well as this, the standpoint of Beliashvili has some significance for the research of the epic's text.

The present paper is dedicated to the different from the traditional understanding of several lexical items (for example, "mtvare" ("the moon"), "zhami" ("time" ...) by Lado Beliashvili.

მონაზონი იოანე (მამუკა ცუხიშვილი)

საქართველოს საპატრიარქო

ბიზანტიური მონეტები დასავლეთ საქართველოში

საქართველოში არსებულმა ყველა ნუმიზმატიკურმა კოლექციამ თავი მოიყარა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რითაც საფუძველი ჩაეყარა ერთ-ერთ უმდიდრეს საცავს, რომელიც ყოველწლიურად იზრდება არქეოლოგიური მონაპოვრით. ნუმიზმატიკური ფონდების სისტემატურ შევსებაში აღსანიშნავია დავით კაპანაძის მოღვაწეობა, რომელმაც ცალკე გამოყო საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტებისა და განმების ფონდი. საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ გამოცემული ქართული ნუმიზმატიკისადმი მიძღვნილი ყველა ნაშრომის მატერიალურ ბაზას ეს ფონდი წარმოადგენს. დავით კაპანაძეს ეკუთვნის აგრეთვე სახელმძღვანელო „ქართული ნუმიზმატიკა“.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტების კვლევა-ძიებაში დიდი წვლილი მიუძღვით თამარ ლომოურს, სერგი მაკალათიას, ა. ზოგრაფს, კ. გოლენკის. ინგლისელმა მეცნიერმა დევიდ ლენგმა 1955 წელს ნიუ-იორკში გამოაქვეყნა განმაზოგადებელი მონოგრაფია ქართული ნუმიზმატიკის შესახებ. ნუმიზმატიკის ცალკეულ დარგებში მუშაობენ ქართველი მეცნიერები: თ. აბრამიშვილი, გიორგი დუნდუა, ირინე ჯალაღანია, რ. ქებულაძე და სხვ.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტების თავისებურებანი, რომელიც მოიცავს IX-XI საუკუნეებს.

Monk Ioane (Mamuka Tsukhishvili)

Patriarchate of Georgia

BYZANTINE COINS IN WESTERN GEORGIA.

All numismatic collections in Georgia have been brought together at the Simon Janashia State Museum of Georgia, which is based on one of the richest locations that are growing annually by archaeological achievement. The systematic filling of numismatic funds especially highlights the activities of David Kapanadze, who separately singled out a fund of coins and treasures found in territory of Georgia. This fund is the material base of all the work devoted to Georgian numismatics published in Georgia or abroad. David Kapanadze also owns the guide "Georgian Numismatics".

A great contribution to the study of coins found on the territory of Georgia was made by Tamar Lomouri, Sergi Makalatia, A. Zograf, K. Golenk. The British scientist David Leng published New York in 1955 on the general monograph of Georgian numismatics. Georgian scientists work in separate fields of numismatics. Abramishvili, Giorgi Dundua, Irine Jalagania, R. Kebuladze and others.

The presented work deals with the peculiarities of the Byzantine coins found in Western Georgia, comprising IX-XI centuries.

ლია წერეთელი

თსუ, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„პირ-ოქრორიდე“ „ვეფხისტყაოსანში“

(სახისმეტყველება)

„პირ-ოქრო რიდე“ განმარტებულია, როგორც თავსაფარი, თავსახვევი, მოსასხამი (სულხან-საბა ორბელიანი, ვ. ნოზაძე, ა. შანიძე). რიდე არაბული სიტყვაა („რიდაჰ“), „ინდოთა, სპარსთა, არაბთა ქუდისა წილ საბურავი“ (სულხან-საბა ორბელიანი).

„ვეფხისტყაოსანში“ და უძველეს ქართულ ტრადიციულ ყოფაში, კაზის მსგავსად, მამაკაცისა და ქალის სამოსია.

„პირ-ოქრო-რიდე“-ს რუსთველისეული სახისმეტყველება თვალნათელია. რიდე ნახვისთანავე ღვთიურ სასწაულად აღიქმება, გაურკვეველია ქსოვილის შედგენილობა და ნაქსოვის სახეობა. იგი არაფერს ჰგავს „ნაქმარს“.

პირ-ოქრო რიდეს ფერთამეტყველება ორსახოვანია. ფერად „შავია“, ოქროსფერით დაფერილი (ა. შანიძის განმარტებით, „ზედაპირი ოქროთი ამოქარგული“), ანუ, ვეფხის ტყავის მსგავსად, რიდე შავი და ყვითელი ფერის, მიწიერისა და ღვთაებრივის განსახოვნებაა. არ არის შემთხვევითი, რომ რუსთველი რიდეს ცეცხლში ნაწრობსა და ნაჭედს ადარებს. პოემაში ცხადდება, რომ „არ ნათლად ნათელი“ ადგას ფარდაგს, სადაც ნესტანი მყოფობს და „მოშლით პირ-ოქრორიდე“ ჰბურავს. ხაზგასმულია, რომ ოქრო ქსოვილი ანათებს, სხვიმფენარია.

ოქროვანი და ოქროქსოვილი რიდე რუსთველამდე სამეფო და საღთისმშობლო სამოსის სამშვენისია. ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, ქრისტიანულ ხატწერასა და იკონოგრაფიაში ოქრო ქსოვილს საღვთო შინაარსი აქვს. „ოქროანი ფესუედი“ და ოქროქსოვილის ნაირსახეობანი ღვთივ მიმადლებულობის, სისპეტაკისა და სიწმინდის აღმნიშვნელია. წმიდა ათანასი დიდის, წმიდა ევსუქის ეფრემ მცირისეულ თარგმანთა განმარტებებში „ფესუედი ოქროანი“, სამოსის კიდეზე ფოჩები საღვთო ნათლის აღმნიშვნელია. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი განმარტავს, რომ ღვთის მადლი არის უქმნელი ნათელი, არანივთიერი, ხილვადი ცეცხლი. ნათელია, რომ რუსთველი ამ სახისმეტყველებას სრულქმნის: „პირ-ოქრორიდე“ არის ოქროქსოვილით დაფერილი, „არ ნათლად ნათელი“-თ გარემოსილი, საოცარი და საკვირველი, „ცეცხლში ნაწრობის“ თუ ნაჭედის მსგავსი...

ტარიელის ვეფხისტყაოსნობა თანაფარდია ნესტან-დარეჯანის „პირ-ოქრო რიდეთი“ შემოსილობისა, ორივე „უცხო და საკვირველად“ თვალსაჩინოა მნახველისათვის.

რუსთველის „პირ-ოქრო რიდე“ პიროვნული სრულქმნილების თანაზიარია. ქაჯეთის ციხეში ნესტანის წერილთან ერთად სატრფოსთვის „ნიშნად“ რიდეს წვერის „გარდაკვეთა“, როგორც სულიერი სიწმინდისა და ღვთიურობის „წილად“ მიღება, რუსთველამდე ცნობილია: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ მოთხრობილია, რომ როდესაც წმინდა ნინო დასწრულა, მოდიოდა ხალხი მის სანახავად და „მოსწყვედდიან ფესუსა სამოსლისასა“, ანუ სახარებისეული სიმბოლიკა ნათელია, წმინდანის სამოსი სიწმინდეა, სრულქმნილებაა და მისი ნაწილი ევლოგიად, სახსოვრად ცხადდება, სასწაულებრივი ძალა აქვს.

რუსთველი მაღალმხატვრულად სრულქმნის „პირ-ოქრო რიდეს“ სახისმეტყველებას პოემაში.

Lia Tsereteli

TSU, Institute of Georgian Literature

„პირ-ოქრო-რიდე“ (PIR-OQRO-RIDE) IN RUSTAVELI'S POEM

პირ-ოქრორიდე (PIR-OQRO-RIDE) is a cloak that can be used by men as well as women. The word "რიდე" derives from Arabic. In Rustaveli's poem, it has a medieval symbolic meaning. Nestan's cloak, just like her fate, is black. And her cloak is ornamented by yellow, like the skin of a tiger. Black and yellow colours are also symbolic. Black represents earthly things, whereas yellow embodies divine. The article deals with the symbology of that cloak and its connection to the Byzantine tradition.

ხატმწერთა იდენტობა ბიზანტიასა და საქართველოში: ვიზუალური და ტექსტუალური მოწოდებები

ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთ კარდინალური მნიშვნელობის საკვლევ საკითხს მხატვართა იდენტობა წარმოადგენს. შემოქმედთა კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური კუთვნილება განაპირობებს მყარ საფუძველს მათ მიერ შექმნილ ხელოვნების ნაწარმოებთა რაობის გაგებისათვის. ბიზანტიური კულტურული არეალის საეკლესიო ხელოვნების ქმნილებების ავტორთა შესახებ საკმაოდ მწირი ცნობების მიუხედავად, შესაძლებელია მათი სოციო-კულტურული წრის განსაზღვრა, რაც, თავის მხრივ, ხელოვნების ნაწარმოებთა სწორი ინტერპრეტაციის საწინდარია.

ბიზანტიური და შუა საუკუნეების ქართული ფერწერული ხატების შემქმნელთა შესახებ ინფორმაცია არ არის მრავალრიცხოვანი და, როგორც წესი, ეს ინფორმაცია თვით ხელოვნების ნაწარმოებზეა შემონახული. მხედველობაში მაქვს ოსტატთა წარწერები თუ, იშვიათ შემთხვევაში, მათი გამოსახულებები.

მოხსენებაში, ძირითადად, ყურადღება გამახვილდება მე-11-13 სს-ის ფერწერულ ხატებზე სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრიდან, რომლებზეც მათ ავტორთა „ავტოგრაფები“ და/ან გამოსახულებები არის შემორჩენილი. ჩვენ ხელთ არსებული მასალის განხილვა საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ ხატწერის ქმნილებათა შექმნის გარემოებები და მათი მომდევნო ისტორია, რაც, თავის მხრივ, შეავსებს ჩვენს ცოდნას ბიზანტიური „კულტურული ოიკუმენეს“ მხატვრული ცხოვრების რაობის შესახებ.

ხატმწერთა წარწერებში ავტორთა იდენტობა სხვადასხვა სახითა და ფორმით არის გაცხადებული. წარწერათა ანალიზი იძლევა საშუალებას განისაზღვროს თანადროულ საზოგადოებაში მხატვრის (ხატმწერის) როლი და ადგილი. წარწერათა ხე-

ლოვნების ნაწარმოებებზე განთავსება უკვე მათ შემქმნელთა მნიშვნელობასა და დაწინაურებას ნიშნავს.

საგულისხმოა, რომ ხატმწერთა შორის გვხვდება „მომგებლებიც“, რომლებიც საკუთარ „ღვაწლს“ საგანგებოდ შემუშავებული ხერხებით გადმოგვცემენ. ამის მაგალითად სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართველი მღვდელ-მონაზვნის იოანე თოხაბის ექვსი ხატი წარმოგვიდგება. ჩემი მოხსენების მთავარი ფოკუსი სწორედ ეს ხატები და მათი ავტორი იქნება. იოანე ერთ-ერთ ხატზე წარწერებთან ერთად საკუთარ გამოსახულებასაც განთავსებს და ამ გზით უზრუნველყოფს თავის „პერმანენტულ“ მყოფობასა და თანაყოფნას ლიტურგიკულ სივრცეში. იოანეს ბერძნულ-ქართული წარწერები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისადმია განკუთვნილი, კომპლექსურად წარმოაჩენს მის იდენტობას.

შემორჩენილი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ხატმწერთა მიერ ვერბალური და არავერბალური ფორმით გაცხადებულია როგორც მათი ღვთისმოსაობა, ასევე სოციალური სტატუსი და კულტურული თუ ეთნიკური კუთვნილება, რაც მიგვითითებს, რომ შუა საუკუნეების საზოგადოების წევრებისთვის საკუთარი იდენტობის წარმოჩენას მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა.

Nino Chichinadze

Ilia State University

ICON PAINTERS' IDENTITIES IN BYZANTIUM AND GEORGIA: VISUAL AND TEXTUAL EVIDENCES

The painters' identity is one of the crucial problems in art historical studies. The ethnical, cultural, religious and social identities of artists condition the artistic and aesthetic features of their works. Although the information about masters of the Byzantine cultural

oicumene is rather scars, still it is possible to define their socio-cultural milieu. The identities of authors allow a better understanding of their artistic production.

In majority of cases the information about the Byzantine and medieval Georgian icon painters is supplied by their works. The painters' inscriptions and images hint on their personality. My paper examines 11th-13th century painted icons preserved at St. Catherine's monastery on Mount Sinai with painters' inscriptions. Some of these icons also bear portraits of icon-painters. Among the painters are representatives of various ethnic groups and social strata. The study of the data dealing with painters' identities will shed more light on the creation and subsequent history of these icons.

I will focus on icons of Georgian priest-monk Ioane Tokhabi, who was a painter and donor of six icons now on Sinai. His cons, apart from eloquent bilingual Greek-Georgian inscriptions, preserved an image of icon-painter, depicted in proskynesis at the foot of the enthroned Virgin on one of his icons. By portraying himself the painter and donor ensured his permanent presence and commemoration.

To sum up, the painters' inscriptions and images, which were intended both for "celestial and earthly audience" had a multiple religious and symbolic function. By displaying their identities both in verbal and non-verbal form, the painters together with their piety demonstrated their socio-cultural status, which as it seems, was important markers of their identities.

**შავი ზღვა და მისი აუზის მნიშვნელოვანი კუნძულები
კონსტანტინე პორფიროგენეტის
"De Administrando Imperio"-ს მიხედვით**

კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (920-959) არა მხოლოდ როგორც იმპერატორი იქცევს ყურადღებას, არამედ როგორც რამდენიმე მნიშვნელოვანი ტექსტის ავტორი. მისი ერთ-ერთი ნაშრომი "De Administrando Imperio" („იმპერიის მართვის შესახებ“), თავისი ფორმის და შინაარსის თვალსაზრისით, უნიკალურია არა მარტო მე-10 საუკუნის, არამედ, ზოგადად, შუა საუკუნეების ლიტერატურის ისტორიაში. იმპერიის მეზობლად მოსახლე უამრავი ტომისა თუ ეთნოსის შესახებ არსებული ეს ძვირფასი წყარო, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა იმდროინდელ მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტს აფიქსირებს. არცთუ ცოტაა მასში იმ პერიოდის საქართველოს შესახებ უნიკალური ინფორმაცია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ბუნებრივია, კონსტანტინე პორფიროგენეტის ყურადღების ცენტრში აუცილებლად მოექცეოდა შავი ზღვა თავისთავად და, ასევე, მისი აუზის გეოგრაფიული სივრცე იქ მოსახლე ერებითა თუ ტომებით. ამ კონტექსტში თხზულებიდან განსაკუთრებით ორი თავი უნდა გამოვყოთ: №42 და №53. მათგან პირველს ვრცელი სათაური აქვს და მიზნად ისახავს ბალკანეთის ნახევარკუნძულის (თესალონიკე-ბელგრადი), შავიზღვისპირეთის, დნესტრისპირეთის, ბოსფორის სრუტის და მიმდებარე ტერიტორიების გეოგრაფიის აღწერას. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ვრცელი და ზოგადი შესავლის შემდგომ იწყება სომხეთის და იბერიის შესახებ სპეციალურად დაწერილი თავები (№43 და 44 სომხეთზე; №45 და №46 იბერებზე). მათზე კონსტანტინე პორფიროგენეტის ინფორმაცია ზედმიწევნით და დაწვრილებით არის მიმოხილული სპეციალურ ლიტერატურაში. შესაბამისად, მოხსენებაში ამა-

ზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. ჩვენი მიზანია შავ ზღვასთან დაკავშირებით ამ ტექსტის ანალიზი. ამ კონტექსტში, ასევე, მნიშვნელოვანია თხზულების №53 თავი, რომლის სათაურია „ციხე-სიმაგრე ქერსონის ისტორია“. ეს ვრცელი თავი, არც მეტი, არც ნაკლები, 14 ნაბეჭდი გვერდისგან შედგება. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სწორედ ამ თავით მთავრდება ეს თხზულება. პორფიროგენეტი შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქის, ქერსონის ისტორიას რომის იმპერატორის, დიოკლეთიანეს პერიოდიდან იწყებს და ბევრ საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის.

მოხსენებაში ამ ორი თავის დეტალურად განხილვასთან ერთად, წარმოდგენილი იქნება შავი ზღვის, როგორც პოლიტიკურ და გეოგრაფიულ სივრცეზე ტექსტის ინფორმაციის ანალიზი. ეს მის მნიშვნელოვან პუნქტებზე მე-10 საუკუნეში და მანამდე არსებული შეხედულების შესახებ საგულისხმო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს.

Eka Tchkoïdze

Ilia State University

**THE BLACK SEA AND IMPORTANT PLACES OF ITS BASIN
ACCORDING TO "DE ADMINISTRANDO IMPERIO" BY
CONSTANTINE PORPHYROGENITUS**

Constantine VII Porphyrogenitus (920-959) was one of the most important figures in Byzantine history not only as an imperore but also as an author of significant texts. His "De Administrando Imperio" in terms of both content and structure is a valuable source in the whole Middle Ages. It contains significant and sometime exclusive information about Byzantine empire's neighboring countries. Porphyrogenitus' data about Iberians (Georgians) has been analyzed several times. Consequently, it will not be a subject of the current paper.

In this text there are two chapters №42 and 53 dealing with the Black Sea and its basin. The first one has an extensive title and aims to describe the geography from the Balkans (Thessalonica and Belgrade are mentioned namely) to the Bosphorus and the Black Sea area. It is not accidental that the chapters following it are dedicated to the Armenians (# 43 and 44) and the Iberians (№45 and 46). The chapter №53, the last one in the Porphyrogenitus' text, is pretty broad (14 printed pages) and tells us the "Story of the city of Cherson".

The paper will analyze in detail these two chapters and all direct or indirect information concerning the Black sea and the nations or tribes of its basin. It will enable us to have a better understanding of how the Black Sea was perceived in the 10th century and what was the information about it and its important port-cities at that period.

რამაზ ხალვაში

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტბელ აბუსერისძის საბალობლის ერთი ლიტერატურული წყაროს შესახებ (ციტატა სემეტიბრის მეტაფრასიდან)

ტბელ აბუსერისძის ჰიმნოგრაფიულ კანონში „გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“ ზოგიერთი მწვალებლისა და ერესის შესახებ ინფორმაცია ერთდროულად რამდენიმე ლიტერატურული წყაროდან მომდინარეობს. ასეთია, მაგალითად, ორიგენესადმი მიძღვნილი მონაკვეთი (III.2-4), სადაც მხოლოდ ერთი დასდებელი (III.2) ემყარება გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფს“, III.3-4 დასდებლების წყარო კი ბოლო დრომდე დაუდგენელი იყო.

კვლევამ დაადასტურა, რომ აღნიშნული დასდებლების ლიტერატურული წყაროა პალეალავრელი განდგილის – კვირიაკოს განშორებულის (449-556 წწ.) მეტაფრასული ცხოვრება,

რომელიც სექტემბრის მეტაფრასულ კრებულშია შეტანილი. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან კვირიაკოს განშორებულის მთავარ დამსახურებად „ნეალავრელი“ ორიგენისტების დამარცხება ითვლებოდა, რაც საგანგებოდაა აღნიშნული მის ბიოგრაფიაში.

ლიტერატურულ წყაროში ტბელ აბუსერისძეს უმნიშვნელო ცვლილებები შეუტანია: 1) ნეალავრელი ორიგენისტების ყველა შეხედულება ორიგენესთვის მიუწერია (ნაცვლად სიტყვებისა „იტყვან“, „დაამტკიცებენ“, ტბელ აბუსერისძე წერს: „იტყვს“, „დაამტკიცებს“); 2) ციტატა გადაუკეთებია საგალობლის რიტმულ-მელოდიური სტრუქტურის გათვალისწინებით.

Ramaz Khalvashi

Batumi State University

ABOUT ONE LITERARY SOURCE OF TBEL ABUSERIDZE'S HYMN (QUOTE FROM SEPTEMBER METAPHRASIS)

In Tbel Abuseridze's hymnographic law "Galobani Mtsvalebel-ta Shechunebisani" the information about some healers and heresies comes from several literary sources at the same time. Such is, for example, the section dedicated to Origen (III. 2-4), where only one dasdebeli (hymn sung after psalm) (III.2) is based on the "Chronograph" of George Amartoli, while the source of the dasdebeli III.3-4 has been unidentified until recently.

The study confirmed that that the literary source of the mentioned dasdebelis is the metaphrasical life of the Palealevorean hermit - Kviriako Ganshorebuli (who separated) (449-556), which is included in the September collection of metaphrasis. This is not just a coincidence as the main achievement of Kviriako Ganshorebuli is the defeat of "Nealavrean" Origenists what is especially mentioned in the biography of the hermit.

Tbel Abuseridze made minor changes in the literary sources: 1) all opinions of Nealavrean Origenists were attributed to Origene (instead of the words "itkvan", "daamtkeben", Tbel Abuseridze writes: "itkvs", "daamtkebs"); 2) the citation was changed too in accordance with the consideration of the rhythmic-melodic structure of the hymn.

ანა ხარანაული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გელათის ბიბლიის თარგმანის ხასიათი – ბაძვა და შეჯიბრი

ცნობილია, რომ გელათის ბიბლიის, ისევე, როგორც ე. წ. გელათის სკოლის სხვა თარგმანებს, ახასიათებენ, როგორც „ელინოფილურს“ თუ „ულტრაელინოფილურს“ და ამ დახასიათების ქვეშ, ჩვეულებრივ, თარგმანის სიტყვასიტყვით, ფორმალურ სტილს გულისხმობენ. მოხსენებაში ყურადღება გამახვილდება ისეთ შემთხვევებზე, როცა კომენტარის მთარგმნელი თავის დედანს სცილდება და დაისმის საკითხი ამგვარი თარგმანის კვალიფიკაციისა.

Anna Kharanauli

Tbilisi State University

THE CHARACTER OF GELATI BIBLE TRANSLATION- IMITATION AND EMULATION

It is known that the translation of Gelati Bible, as well as other translations of so-called Gelati School, are characterized as "elinophilic" or "ultra-elinophilic"; and under this character, as usual, the word-for-word, formal style of translation is meant. The paper will

deal with the cases when the translation of the Biblical commentaries diverges from its source, and the question of qualification of such translation will be discussed.

ელგუჯა ხინთიბიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული წარმოშობის ბიზანტიური თხზულება- შუასაუკუნეების ევროპული მწერლობის შედგენი

XII-XV საუკუნეების ევროპული მწერლობის ერთი უაღრესად პოპულარული თხზულებაა *ვარლამისა და იოასაფის ისტორია*, რომელიც, შორეული ინდოეთიდან მომდინარე ამბავზე შექმნილი ბიზანტიური თხზულების XII საუკუნის ლათინური თარგმანით, ევროპის თითქმის ყველა ენაზე მრავალგზის გადა-
მუშავდა და გადაითარგმნა.

XX საუკუნის ბიზანტინისტიკა, ამ თხზულების ბერძნული ორიგინალის ავტორის ძიებისას, ორ კანდიდატურას ასახელებდა: VII-VIII საუკუნეების მიჯნის დიდ ბიზანტიელ წმინდა მამას – იოანე დამასკელს და X-XI საუკუნეების მიჯნის ათონელ ბერს, დიდ ქართველ მწერალსა და მთარგმნელს, წმინდა ეფთვიმე ათონელს.

ეფთვიმე ათონელის ავტორობის თეორია ეფუძნება ჩვენამდე XI საუკუნიდან მოღწეულ სამ ცნობას, დაცულს ბერძნულ, ლათინურ და ქართულ ენებზე. ამ თეორიას თანმიმდევრულად იცავდნენ როგორც ქართველი, ასევე რამდენიმე ევროპელი ბიზანტინისტი.

XXI საუკუნის პირველი ათწლეულიდანვე ევროპულ ბიზანტინისტიკაში ერთხმად იქნა აღიარებული, რომ *ვარლამისა და იოასაფის ისტორიის* ავტორი წმ. ეფთვიმე ათონელია, ეს სიახლე დაეფუძნა სამ არგუმენტს:

ვარლამისა და იოასაფის ისტორიის ბერძნული თხზულება ეფთვიმე ათონელის მიერ შექმნილია X საუკუნის ბოლო ათ-

წლეულებში და არა XI საუკუნეში; ამ თხზულების შექმნა უკავშირდება აღმოსავლეთ ევროპის გაქრისტიანების, კერძოდ, კიევის რუსეთის მიერ ქრისტიანობის მიღების ფაქტს, რომელიც ინსპირირებული იყო ბიზანტიის სამეფო კარისა და ეკლასიის მიერ; ვარლამისა და იოასაფის ისტორიის ბერძნული თხზულების შედარება XI საუკუნემდე არსებულ ორ – არაბულ და ქართულ ვერსიასთან ადასტურებს, რომ ბერძნული ტექსტი ქართული რედაქციის გადამუშავებითაა შექმნილი.

ბიზანტიური თხზულების ქართული გზით შექმნის დამადასტურებელი ეს სამივე არგუმენტი ქართველ მეცნიერთა მიერ იყო გამოვლენილი, წარდგენილი ბიზანტინისტთა მსოფლიო კონგრესებზე და გამოქვეყნებული ევროპაში.

წმ. ეფთვიმე ათონელის ავტორობის მტკიცებისას, ევროპელ მეცნიერთა მოსაზრებებში არის პრინციპული ხარვეზები და შეცდომები, რაც აუცილებელს ხდის საკითხის შემდგომ კვლევას ბერძნული, ქართული და ლათინური წყაროების შეპირისპირების საფუძველზე.

Elguja Khintibidze

Tbilisi State University

THE BYZANTINE STORY OF GEORGIAN ORIGIN – THE MASTERPIECE OF THE MEDIEVAL EUROPEAN LITERATURE

The 12-15th centuries Latin translation of one of the most popular Byzantine stories of European Literature *Story of Barlaam and Ioasaph*, based on the narrative coming from the farthest India was many times rendered in various European languages.

The quest for the authorship of the Greek version of the story has led the 20th century scholars of Byzantine studies to name two authors: Saint John Damascene – the great Byzantine monk of the 7-

8th centuries and Georgian monk Saint Euthymius the Athonite from the 10-11th centuries.

The theory claiming the authorship of the Georgian monk Euthymius the Athonite is based on three records survived from the 11th century in Greek, Latin and Georgian languages. This was the theory consistently supported by Georgian and several European scholars of Byzantine studies.

The European scholarly circles of the Byzantine studies from the first decade of the 21st century unanimously acknowledged Euthymius the Athonite to be the genuine author of the *Story of Barlaam and Ioasaph*. This theory was supported by the three arguments:

Firstly, the Greek *Story of Barlaam and Ioasaph* was created by Euthymius the Athonite in the late 10th rather than in the 11th century. The creation of *The Story* is closely linked to the epoch when Eastern Europe was converted to Christianity, the Kiev Russ in particular, the event was initiated by the Byzantine Court and the Church. The comparison of the Greek version of the *Story of Barlaam and Ioasaph* with that of two versions existing before the 11th century – Arabian and Georgian proves that the Greek version of the text was created through the rendering of the Georgian version of this *Story*.

All these three arguments proving the fact that the Byzantine version of *The Story* was rendered through that of Georgian were revealed and represented to the World Congresses of Byzantine Studies by Georgian scholars and were later published in Europe.

The argumentation of the authorship of Euthymius the Athonite by the European scholars contains some discrepancies and mistakes that requires further study of the Greek, Georgian and Latin versions of the *Story* in close juxtaposition with one another.

H 1896 პალიმფსესტის შედგენილობისათვის

ქართული მწერლობის უძველეს ნიმუშებს ყველაზე მეტად პალიმფსესტებში ვხვდებით. ამით აიხსნება პალიმფსესტთა უდიდესი მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისა და დამწერლობის კვლევის საქმეში.

ამჯერად, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი № **H 1896**. ხელნაწერი წარმოადგენს სხვადასხვა ფრაგმენტისგან შემდგარ პალიმფსესტს, რომლის ზედა ფენა საგალობელთა კრებულის ტექსტია და ქრონოლოგიურად მე-14-15 საუკუნეებში უნდა იყოს შესრულებული. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ქვედა ფენას, აქ ორი ხელნაწერი გამოიყოფა. პირველი ნაწილი (5, 8, 9 ფფ.) წარმოადგენს ასომთავრული გრაფემებით შესრულებულ ტექსტს. კარგად ჩანს მხოლოდ დიდი ზომის საზედაო ასოები, ძნელად გასარჩევი, მცირედ შემორჩენილი ტექსტის გამო კი ვერ ხერხდება რაობის დადგენა.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, ის (1-4, 6-7 ფფ.) შესრულებულია მარცხნივ დახრილი, კოხტა ნუსხური გრაფემებით, რომლის საზედაო ასოები მკვეთრად დიდი ზომისაა, გადის ტექსტიდან და ორ სტრიქონს შორის მანძილს მოიცავს. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ქვედა მე-11 საუკუნეს განეკუთვნება. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პალიმფსესტი შეიცავს ძლისპირნისა და ღვთისმშობლისანის ტექსტს, რომელიც განსხვავდება აქამდე გამოცემული ტექსტისგან.

ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში იერუსალიმის საბაწმინდური ჰიმნოგრაფიული სკოლის განვითარების მომდევნო ეტაპს წარმოადგენს ბიზანტიური რიტმული პოეზია. ქართულ ჰიმნოგრაფიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესასწავლად. ამ შესწავლის საქმეში კი პალიმფსესტი № **H 1896** კარგ ნიმუშს წარმოადგენს.

ON THE COMPOSITION OF THE PALIMPSEST H 1896

The oldest examples of Georgian literature mostly are shown in Georgian palimpsests. This is reason why palimpsests bear the biggest importance in studying of Georgian literature and writing.

In recent times, the manuscript **H 1896** brought our interest, which is kept at the National Centre of Manuscripts. The manuscript is a palimpsest containing different fragments. The overtext of it is collection of chants dated back to the 14th-15th century. How about the undertext, which is subject of our interest at this time, here we have two different manuscripts. First part of it (5, 8, 9 folios) is written in Asomtavruli graphemes. Only capital letters are well visible and because of vague appearance and lack of the text it is hard to identify content of the fragments.

How about the second part of the palimpsest (1-4, 6-7 folios), it is written with refined graphemes inclined to the left. Capital letters are noticeably big sizes, stand beyond the column and occupy space between two lines. According to palaeographical characteristics the undertext was written in XI century. Study revealed that content of the palimpsest is Hirmologion and Theotokia, which differs from the published text remaining to the last time.

In the development of Georgian hymnography the following stage after the Sabatsminda (Jerusalem) Hymnographic School was the Byzantine rhythmic poetry. Georgian Hymnography bears quite significant importance for studying of Byzantine Hymnography and here we have the palimpsest № **H 1896**, which represents a good example of this study.

ევანგელოს ხრისოსი

ათენის უნივერსიტეტი, საბერძნეთი

Evangelos Chrysos

University of Athens, Greece

THE BLACK SEA REGION AS PLACE OF EXILE IN HISTORY AND MYTH

In ancient and in medieval times the Black Sea region was frequently selected as a place for exile for persons of prominence who lost their important position and were punished to abandon their place of residence. Personalities such as Ovid, John Chrysostom, Pope Martin and Maximus Confessor, all exiles in the Black Sea, are honored in history and literature as adorable victims of political or religious discrimination.

In this paper the effort will be made to explain this phenomenon and study the rationale, the political and/or religious conditions and the technical arrangements that were to be taken to serve the purpose of the exile in the Black Sea area in the early medieval period.

Due to distance and lack of trustworthy information about the whereabouts of some of the well-known cases of exile, the records on their experience acquired at home additional color that transferred them to the realm of legend or myth. Such is the legend of the exile and the discovery of the remains of Pope Clement I in Cherson in the ninth century.

ნანა ხახუტაიშვილი

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქორწინო ტრადიციები ბიზანტიური და ქართული სამართლებრივი ძეგლების მიხედვით

ქორწილი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა თითოეული ადამიანის ცხოვრებაში, რადგან ის ოჯახის შექმნით გვირგვინდება,

ხოლო ოჯახი, ნებისმიერი საზოგადოების განვითარების, სიმტკიცის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელიც არა მარტო ასახავს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს, არამედ, გარკვეულწილად, ზემოქმედებს კიდევ მასზე. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში განსხვავებულია ქორწილის მოწყობისა და წარმართვის წესი, თუმცა არსებობს ბევრი მსგავსებაც, განსაკუთრებით სამართლებრივი კუთხით.

ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ ქართული და ბიზანტიური სამართლებრივი ძეგლების ანალიზის საფუძველზე, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით, წარმოგვედგინა საქორწინო წეს-ჩვეულებების გარკვეული თავისებურებები ამ ორ ქვეყანაში და ის ცვლილებები, რაც მათ დროთა განმავლობაში განიცადეს. საკითხის განხილვისას, სამართლებრივი ძეგლების, წერილობით წყაროებში შემორჩენილი ცნობების გარდა, ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყენებინა ეთნოგრაფიული მასალაც.

საკითხები, რომლებსაც ჩვენ ვიხილავთ ნაშრომში, ეხება საქართველოსა და ბიზანტიაში ნიშნობისა და ქორწინების ინსტიტუტებს და მათ განსხვავებულ და მსგავს მიზეზთა გამოკვეთას სამართლებრივი კულტურისა და იურიდიული აზროვნების განვითარების ჭრილში.

ქორწინება, რომელიც წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ლეგალურ საფუძველს, ყოველთვის არ იყო მსგავსი. ქორწინებაზე საზოგადოების სანქცია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხასიათს ატარებდა. გარკვეულ პერიოდში ქორწინების აღსასრულებლად მხოლოდ ხალხური წეს-ჩვეულებების ჩატარება კმაროდა. მოგვიანებით, ჯვრისწერის შემოღებით, ეს ფუნქცია ეკლესიამ იტვირთა. და, ბოლოს, დადგინდა სამოქალაქო ქორწინება.

ქრისტიანობის გავრცელებამ და ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა როგორც ბიზანტიური, ასევე ქართული საზოგადოების ცხოვრე-

ბაში. ამ ცვლილებებმა გამოიწვია ფასეულობათა მთელი სისტემის რადიკალური შეცვლა. ყოველივე ეს კი, თანდათანობით, ასახვას პოულობდა სამართლებრივი კუთხითაც. ცვლილებები შედიოდა ძველ საკანონმდებლო აქტებში, იქმნებოდა ახალი სამართლებრივი ძეგლები.

Nana Khakhutaishvili

Batumi State University

MARRIAGE TRADITIONS BASED ON BYZANTINE AND GEORGIAN LEGAL MONUMENTS

A wedding is an important event in every person's life as it is concluded successfully with the creation of a family, and the family, in the respect of a strength, is an important social institution for the development of any society, which not only reflects the processes taking place in society, but also, to some extent, impacts on it. Different people around the world have different rules for arranging and organizing a wedding, though there are many similarities, especially in legal point of view.

In this essay we have tried, on the base of the analysis of Georgian and Byzantine legal monuments, to present some peculiarities of wedding customs in these two countries and the changes they have undergone over the time, using historical-comparative method. When discussing the issue, in addition to legal monuments and written references, we also tried to use ethnographic material.

The issues that we have touched upon in this work concern the institutions of engagement and marriage in Georgia and Byzantium and their different and similar causes in the context of the development of legal culture and legal thinking. Marriage, which is the legal basis for the relationship between men and women, was not always resembling. The public sanction on marriage was different at different

times. At some period in time, only folk customs were enough to perform when fulfilling a marriage. Later, with the introduction of marry, a church took its responsibility of this function. Finally, civil marriage was established.

The spread of Christianity and the establishment of feudal relations have made some changes in the life of both Byzantine and Georgian society. These changes have led to a radical change of the whole system of values. All of this was gradually being reflected in legal terms as well. Changes were made to the old legislative acts, new legal monuments were created.

ჯაკლინ სრისტენი

ნანტერის უნივერსიტეტი, პარიზი

Jacqueline Christien

University of Nanterre, Paris

SPARTA ON THE MEDITERRANEAN SEA

Notre vision de Sparte est largement imprégnée de ce que nous véhiculent nos sources qui sont surtout du Ve siècle, période d'affaiblissement sensible pour Sparte, cependant que triomphait Athènes; et cette vision entraîne celle d'une cité repliée sur ses terres et à l'écart des grands courants intellectuels et économiques. Mais cette vision, que nous prenons pour une réalité permanente, n'est que celle de nos sources principales, en particulier Thucydide . En fait Sparte a connu d'autres phases historiques, et pour comprendre la Sparte du milieu du VIe siècle il faut s'intéresser à la Sparte de Lysandre, la Sparte triomphante, qui voit des Spartiates intervenir partout , de la Sicile à la mer Noire, plutôt qu'à la Sparte inquiète du milieu du Ve siècle.

Mais, pour le VIIe et VIe siècle il serait intéressant de reprendre la question des routes maritimes fréquentées par les Spartiates, dans l'hypothèse d'un système emporique, en suivant les Dioscures. Là où

passent les vaisseaux lacédémoniens, les Dioscures les accompagnent fidèlement et l'on s'aperçoit que la céramique laconienne est plus abondantes qu'on ne le croyait, en particulier là où l'on commence à repérer le vernis noir. Les dernières recherches mettent l'accent sur le fait que ce commerce n'était pas passif, mais que les artistes (et d'autres sans doutes) allaient à la rencontre de la clientèle. Peu à peu le visage de la Sparte du VIe siècle commence à prendre place dans les circuits commerciaux du VII et VIe siècle.

ქეთევან ჯერვალიძე
ნინო პეტრიაშვილი
თბილისი

ბიზანტიური ეპისტოლოგრაფია და კირადი ეპისტოლეები ბიორბი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“

გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის თარიღიანი ძეგლია, საკმაოდ ვრცელი, რაც განპირობებულია მთავარი გმირის ცხოვრების წელთა რაოდენობით. გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 102 წლის. თხზულება გრიგოლის გარდაცვალებიდან (861 წ.) 90 წლის შემდეგ, 951 წელს არის დაწერილი. ნაწარმოები ჟანრობრივად და თემატურად ძალიან მდიდარია: გამორჩეულია ბიბლიური პასაჟებითა და ლიტერატურული წყაროებით, ისტორიული ფაქტებით, რიტორიკული ფიგურებისა და მხატვრული აქსესუარების გამოყენებით.

ამ თხზულების შესახებ ბევრი ნაშრომია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შექმნილი. ქართველ მეცნიერებს უმუშავიათ ბიზანტიურ ეპისტოლოგრაფიაშიც, თუმცა, პირად ეპისტოლეებს გიორგი მერჩულის თხზულებაში არავინ შეხებია, ჩვენ გარდა. ეპისტოლეები, ოღონდაც ზეპირი სახის, გვხვდება

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაშიც“ (V ს.), ასევე, უცნობი ავტორის, „კონსტანტი კახაის მარტვილობაშიც“ (IX საუკუნის ბულო) და ისინი შესწავლილია.

გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ სულ ოთხი პირადი ეპისტოლეა. ოთხივე სხვადასხვა პირის მიერ დაწერილი და სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტიდან გაგზავნილი: 1. დედა ფებრონიას წერილი გრიგოლ ხანძთელისადმი, თ. 58; 2. მამა გრიგოლის წერილი გარდაცვლილი დებისადმი, თ. 59; 3. დემეტრიოსის წერილი ჰემესიდან მამა გრიგოლისა და დედა ფებრონიასადმი, თ. 41; 4. მამა გრიგოლის მოწაფეთა წერილი იერუსალიმიდან მოძღვრისადმი, თ. 63.

როგორც ვხედავთ, პირადი ეპისტოლეებიდან მხოლოდ ერთი დაუწერია, ან მიეწერება გრიგოლ ხანძთელს, ორი პირადად მამა გრიგოლისადმია განკუთვნილი, ერთი – მამა გრიგოლისა და დედა ფებრონიასადმი ერთობლივად. ამათგან ერთი ეპისტოლე – „გრიგოლ ხანძთელის წერილი შესვენებული დებისადმი“ ჩვენ მიერ სხვადასხვა მიმართულებით (რიტორიკული ფიგურები, იმდროინდელი იურიდიული ტერმინოლოგია, ცოდვის პარადიგმა, ეპისტოლეს სანდოობა) საკმაოდ ვრცლად იქნა შესწავლილი და გამოქვეყნებული (იხ.: „ბიზანტინოლოგია საქართველოში – 3“, 2011; „უდაბნოთა ქალაქმყოფელი წმ. გრიგოლ ხანძთელი“, ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი, 2018). წარმოდგენილი მოხსენებით და შემდეგ სამეცნიერო სტატიით ეს საკითხიც – პირადი ეპისტოლეები თხზულებიდან – ბიზანტიური ეპისტოლოგრაფიის გათვალისწინებით, შესწავლილი იქნება.

გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გარდა, სულ რომ არაფერი გადარჩენილიყო ბიზანტიური წერილობითი სააზროვნო სივრციდან, ჩვენი ძეგლით შესაძლებელი იქნებოდა მთელი ბიზანტიური მწერლობის პოეტიკის კონსტრუირება. გიორგი მერჩულე და მისი თხზულება არასოდეს დაიღვლებიან ჩვენი გაოცებით.

Ketevan Jervalidze
Nino Petriashvili
Tbilisi

BYZANTINE EPISTOLOGRAPHY AND PRIVATE EPISTLES IN
THE LIFE OF ST. GREGORY OF KHANDZTA BY GIORGI
MERCHULE

The life of St. Gregory of Khandzta by Giorgi Merchule is an Old Georgian hagiographic literary work, which unlike other compositions bears an actual creation date. Due to the long life of the main character, the book itself is quite long as well. *Gregory of Khandzta* passed away at the age of 102. The composition was written in 861 AD exactly 90 years after the death of the worthy father. The genre and theme of the composition are very rich; it is distinguished by an abundance of the biblical passages, literary sources, historical facts, and rhetorical figures and methods.

Although Georgian scientists have intensively worked on Byzantine epistolography along other topics and much research has been done by researchers on this particular composition as well, the private epistles in *the life of Gregory of Khandzta* first time were researched by us. Oral epistles are also evidenced and well-studied in *the Passion of St. Shushanik* by Iakob Tsurtaveli (Jacob of Tsurtavi) (c. V) and *the Life and Passion of Kostanti-Kakhay* by an unknown author (c. IX).

There are only four private epistles in *the life of St. Gregory of Khandzta*. All four are written by different people and sent from different geographical locations: 1. the letter of mother Fevronia to *Gregory of Khandzta*, (chap. 58); 2. the letter of Father Gregory to the "deceased sisters", (chap. 59); 3. the letter of Demetrios (Homs) to father Gregory and mother Fevronia, (chap. 41); 4. the letter of the disciples (Jerusalem) of father Gregory to their teacher (chap. 63).

Among these four private epistles only one is written by father *Gregory* himself, or is attributed to him; the other two are addressed

to father Gregory, and the last one is to father Gregory and mother Fevronia. One of the epistles, "the letter to the 'deceased sisters'" were intensively studied by us and published in 2018. ("Byzantine Studies in Georgia – 3", 2011; "Flourisher of Deserts St. Gregory of Khandzta", the Guide of the Institute of Literature, 2018).

The current research aims to study private epistles through the lens of Byzantine epistolography and bring an element of novelty into the Georgian epistolography.

Even if nothing has survived from the Byzantine literary inheritance, we would be still able to reconstruct the poetics of the whole Byzantine literature only by considering the composition *the life of St. Gregory of Khandzta*. Giorgi Merchule and his composition will never stop surprising us.

გრიგოლ ჯობაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შავი ზღვა და მენტალური განუხლები საკითხი ქართულ შუასაუკუნეობრივ საისტორიო ტრადიციაში

მოხსენების მიზანია კონცეპტ „ზღვასთან“ დაკავშირებული იმ რამდენადმე პარადოქსული ვითარების აღნიშვნა, რომელიც „ქართლის ცხოვრებით“ წარმოჩნდება IV-XV სს-ში.

ქართველისთვის ზღვა, როგორც ასეთი, უცხო არ არის, მაგრამ ტექსტი დუმს ზღვის ან ზღვისპირა სამყაროს პირდაპირ, არამეტაფორულ პრაგმატიკაზე. ამის მიზეზი, უწინარესად, მენტალური გაუცხოება გვგონია: ნარატივი ითხოვება აღმოსავლეთ საქართველოში აღმოსავლელი ქართველ(ებ)ის მიერ, რომლისთვისაც შორი და, ამდენად, უცხოცაა ზღვა და მისი სპეციფიკა; აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრის ცნობიერებაში ზღვა, ძირითადად, უკავშირდება „ბერძნებს“, „საზღვარს“, რომელსაც ბერძნები გვიწესებენ და სხვ.

საპირისპირო სიტუაცია ჩანს დასავლეთ საქართველოში, თუმცა „დასავლურ ქართული ისტორიული წარატივის“ ავტორები ბერძნები არიან და არა – ქართველები. მათეული ინფორმაცია არ შეიცავს (და არც უნდა შეიცავდეს!) ქართველთა მიერ აღქმული სამყაროს სურათს.

Grigol Jokhadze

Ilia State University

THE BLACK SEA AND THE ISSUE OF MENTAL ESTRANGEMENT IN GEORGIAN MEDIEVAL HISTORICAL TRADITION

The paper deals with some kind of paradoxical situation, which appears in the historical narrative of Medieval Georgia as a maritime country. We practically have no traces of exact, nonfigurative sea pragmatics, and it is explainable: starting from the 5th c., Byzantine Empire had a dominant position over the Black Sea. Geographically, the Sea is far from East Georgia. As a result, there is only one step from distance to estrangement. In the mentality of East Georgia, sea, mainly, refers to the Greeks and a ‘limit’ established by them... The picture diametrically changes as we move to West Georgia though the authors of "The West Georgian Historical Narrative" are Greek, not Georgian (Georgica), and it does and could not depict a mental image of Georgian's world.

ვიქტორია ჯუღელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბასილი კესარიელის ეპისტოლეები და მათი ქართული თარგმანები

ბიზანტიელ მოღვაწეთაგან ბასილი კესარიელი (329/330-379 წწ.) ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ღვთისმეტყველად, მწერლად და საეკლესიო მოღვაწედ მიიჩნევა. საქართველოში მის

მიმართ ინტერესი, მისი ნაშრომების თარგმნა და გადაწერა არ შენელებულა საუკუნეთა განმავლობაში. დიდად მნიშვნელოვანია მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა, 368 ეპისტოლე, რომლებიც საუკეთესოდ ასახავენ ბასილი დიდის ცხოვრებაში განვითარებულ მოვლენებს და ყველაზე კარგად წარმოაჩენენ მის სულსა და შინაგან განწყობას. ბასილი დიდის ეპისტოლეები ქართულად ითარგმნებოდა ქართული მწერლობის როგორც ძველ, ისე ახალ და უახლეს ხანებში. ძველი ქართული თარგმანებით მოღწეული ბასილი კესარიელის წერილები გადმოღებულია სხვადასხვა დროს, არაბული და ბერძნული ენებიდან, სხვადასხვა მთარგმნელთა – ანონიმი მთარგმნელის (VIII-X სს.), ეფთვიმე ათონელის (X-XI სს.), გიორგი ათონელის (XI ს.), ეფრემ მცირისა (XI ს.) და არსენ იყალთოელის (XI-XII სს.) მიერ. ანონიმი მთარგმნელის, ეფთვიმე და გიორგი ათონელების და ეფრემ მცირის თარგმანები გამოიცა ნინო ქაჯაიას მიერ („ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები“, თბ., 1992), ხოლო არსენ იყალთოელის თარგმანები დაბეჭდილია „დიდ სჯულისკანონსა“ (1975 წ.) და „დოგმატიკონში“. მთლიანობაში, ძველ ქართულ თარგმანთა შორის, სრული თუ ფრაგმენტული სახით, შემორჩენილია ბასილი კესარიელის 40 ეპისტოლე.

ბასილი დიდის ეპისტოლეთა მიმართ ინტერესი გაცხოველდა XIX ს-ში. ამ პერიოდში ისინი რუსული ენიდან გადმოიღეს გაიოზ რექტორმა (1746-1821) და ანონიმმა მთარგმნელმა. ბასილი კესარიელის ეპისტოლეთა დიდი ნაწილი 1799 წელს გადმოიღო ეპისკოპოსმა გაიოზ რექტორმა მოზდოკში, სადაც მას მთარგმნელობითი სკოლა ჰქონდა დაფუძნებული. გაიოზ რექტორის მიერ გადმოღებული ეპისტოლეები (ეპ. 151-359) დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის S 381 ნუსხაში (1846 წ.). აქვეა დაცული A 820 ნუსხა (XIX ს-ის I მეოთხედი), რომელიც შეიცავს, დაახლოებით ამავე ხანებში, ანონიმი მთარგმნელის მიერ რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილ კიდევ ორ ეპისტოლეს: ეპ. 1 და ეპ. 2.1-3 (ფრაგმ.).

რაც შეეხება ბასილი დიდის წერილთა უახლესი პერიოდის თარგმანებს, თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოღებულია მხოლოდ კანონიკური ეპისტოლეები შემდეგი მიმდევრობით: 188, 199, 217, 160, 236.4, 55, 54, 53 („საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი“, 1987).

ჩვენი კვლევა შეეხება ბასილი დიდის წერილებს მთლიანობაში, კერძოდ კი გაიოზ რექტორისა და ანონიმი მთარგმნელის მიერ XVIII-XIX სს-ში გადმოღებულ ეპისტოლეებს.

Viktoria Jugeli

Tbilisi State University

THE LETTERS OF ST. BASIL OF CAESAREA AND THEIR GEORGIAN TRANSLATIONS

The interest and translation of the writings of st. Basil of Caesarea, one of the most outstanding theologian, writer and leading figure of the early church, were continuous in Georgia. In the VIII-XII cc., his letters were rendered in Georgian from Arabic and Greek languages by anonymous translator (VIII-X cc.), Eptvime Athoneli (X-XI cc.), Giorgi Athoneli (XI c.), Ephrem Mtsire (XI c.) and Arsen of Ikalto (XI-XII cc.). Totally, in the earlier and medieval periods of Georgian literature, fully or fragmentary, there were translated his 40 epistles. The interest towards the letters of Basil of Caesarea was revived in the XIX c., when the Georgian scholar, lecturer, translator and diplomat, the bishop of Mozdoc, Gaioz the Rector (1746-1821), rendered from Russian the great part of his letters (151-359). The translation is preserved in the S 381 manuscript (1846) of the National Centre of Manuscripts of Georgia. Another translator, who rendered the epistles of st. Basil in the XIX c. is anonymous. He translated from Russian the letter 1 and fragments from the letter 2. The translation is preserved in the manuscript A 820 (the first quarter of the XIX c.) of

the National Centre of Manuscripts. In the modern period of the Georgian literature there were translated only 6 canonical epistles of st. Basil: 53-55, 160, 188, 199, 217, 236.4. The present research concerns with the letters of st. Basil in general, and in particular – with the epistles rendered by Gaioz the Rector and anonymous translator in the XVIII-XIX cc.

ავტორთა საძიებელი

აბულაძე თეონა 16	ელოევა ფატიმა 73
ალიბეგაშვილი გიორგი 10	ენდოლცევა ეკატერინა 74
ასათიანი ვალერი 12	ვარშალომიძე ირინე 75
ბარამიძე ირაკლი 20	ვაჩნაძე ნათელა 77
ბარამიძე მაია 17	ვინოგრადოვი ანდრეი 80
ბარაშკო ოლგა 22	ზაბოლოტნი ევგენი 81
ბახტაძე დალი 23	ზაქარაძე ლალი 82
ბახტაძე ნოდარ 26	ზოსიძე ნუგზარ 83
ბერელაშვილი ეკატერინე 28	თავამაიშვილი გიორგი 99
ბერიშვილი გიორგი 31	თენიეშვილი ლევან 93
ბერიძე ვარდო 34	თინიკაშვილი დავით 87
ბერიძე მაკა 35	თოდაძე ხათუნა 88
ბერიძე მერაბ 35	თომაძე ნინო 91
ბერიძე ოლიკო 38	იველაშვილი თინა 96
ბიბიკოვი მიხეილ 41	იველაშვილი ირმა 97
ბოკელავაძე ეთერ 42	ინაიშვილი ნინო 99
ბორჩხაძე კესო 44	კარალიძე ჯემალ 105
ბუკია ლატავრა 46	კარპოვი სერგეი 107
ბუკია მახარე 46	კახიძე ემზარ 136
გაბაშვილი მანანა 48	კვანტალიანი ეკა 163
გაფრინდაშვილი ხათუნა 52	კვანტიძე გულიკო 107
გვაზავა ქეთევან 57	კიკვაძე მაია 110
გიგინეიშვილი ლევან 61	კომახიძე ირინა 112
გიორგაძე მარინე 63,145	კოსოუროვი დიმიტრი 115
გიუნაშვილი ელენე 77	კოჭლამაზაშვილი ექვთიმე 116
გოგოლაძე თამარ 65	კუზნეცოვი პავლე 119
გოგოლიშვილი ოთარ 67	ლაბაძე რუსუდან 121
გრიგალაშვილი ია 55	ლაფლი ერგუნ 216
დავითაძე თამილა 69	ლეთოდინი ანა 124
დიასამიძე ხათუნა 20	მაგრაქველიძე თამარ 126
ელიზბარაშვილი ელისო 70	მალუტაშვილი ნინო 112

მამასახლისი ირმა 132
 მამასახლისი ქეთევან 128
 მამულაშვილი-ბოტკოველი 134
 მამულაძე შოთა 136
 მაშავა ბესიკ 137
 მაჩაბელი კიტი 140
 მაჭავარიანი მაია 142
 მახარაძე ნელი 144
 მგელაძე ნუგზარ 63,145
 მელიქიშვილი დამანა 146
 მოისწრაფეშვილი თენგიზ 83
 მრევლიშვილი ნანა 217
 მღებრიშვილი ლალი 150
 მშვიდლობაძე თინათინ 152
 მჭედლიძე მაგდა 155
 ნადიბაიძე დალი 157
 ნაცვლიშვილი ირინა 159
 ნემსაძე ადა 124
 ობრეი ე. იანგი 95
 ოთარაშვილი ვაჟა 163
 ოთხმეხური თამარ 164
 პავლოვიჩი ბოჟანა 173
 პაპასქირი ზურაბ 167
 პაპუაშვილი ნუგზარ 170
 პეტრიაშვილი ნინო 250
 პოპიაშვილი ნინო 174
 ჟორდანია ერეკლე 176
 რაფავა მაია 179
 რენუ შარლ 180
 საღინაძე რუსუდან 110
 სულავა ნესტან 181
 ტუნაძე თემურ 145
 ურდულაშვილი ლალი 184
 ფალავა ირაკლი 188
 ფალავა მამია 191
 ფოფხაძე ნათელა 193
 ფხაკაძე მანანა 196
 ქადაგიშვილი სოფიო 199
 ქამადაძე კახაბერ 136
 ქირია ანა 202
 ქისტაური გელა 204
 ქუჭრიშვილი მაია 206
 შიოშვილი თინა 209
 შნაიდერი ჰელმუტ 213
 შოშიაშვილი ჯული 212
 შტუდერ-კარლენი მანუელა 214
 შუკუროვი რუსტამ 215
 შუმეიკერი ე. სტეფან 211
 ჩალაიანი დოღუკან 216
 ჩიკვაძე ეკა 217
 ჩიკვატია ნანა 219
 ჩხაბერიძე ნარი 220
 ჩხარტიშვილი მარიამ 221
 ცერცვაძე მაია 226
 ციბენკო ოლეგ 225
 ცუხიშვილი მამუკა 229
 ძნელაძე ნინო 75
 წერეთელი ლია 230
 ჭიჭინაძე ნინო 233
 ჭყობიძე ეკა 236
 ხალვაში მერაბ 99
 ხალვაში რამაზ 238
 ხარანაული ანა 240
 ხახუტაიშვილი ნანა 246
 ხინთიბიძე ელგუჯა 241
 ხოსიტაშვილი ირმა 244

ბრისოსი ვვანგელოს 246
ბრისტიენი ჟაკლინ 249
ჯერვალბე ქეთევან 250

ჯოხაძე გრიგოლ 253
ჯუღელი ვიქტორია 254

INDEX OF AUTHOTS

Abuladze Teona 16	Christien Jacqueline 249
Alibegasshvili Giorgi 11	Chrysos Evangelos 246
Asatiani Valeri 14	Davitadze Tamila 70
Aubrey E. Young 95	Diasamidze Khatuna 21
Bakhtadze Dali 24	Dzneladze Nino 76
Bakhtadze Nodar 27	Elizbarashvili Eliso 72
Baramidze Irakli 21	Eloeva Fatima 73
Baramidze Maia 18	Endoltseva Ekaterina 74
Barashko Olga 22	Gabashvili Manana 50
Berelashvili Ekaterine 30	Gaprindashvili Khatuna 53
Beridze Maka 37	Gigineishvili Levan 62
Beridze Merab 37	Giorgadze Marine 64,146
Beridze Oliko 39	Giunashvili Helen 79
Beridze Vardo 34	Gogoladze Tamar 66
Berishvili Giorgi 32	Gogolisvili Otar 68
Bibikov Mikhail 41	Grigalashvili Ia 56
Bokelavadze Eter 43	Gvazava Ketevan 59
Borchkhadze Keso 45	Inaishvili Nino 102
Bukia Latavra 47	Ivelashvili Irma 98
Bukia Makhare 47	Ivelashvili Tina 96
Çağlayan Doğukan 216	Jervalidze Ketevan 252
Chichinadze Nino 234	Jokhadze Grigol 254
Chikvaidze Eka 218	Jordania Erekle 178
Chikvatia Nana 219	Jugeli Viktoria 256
Chkhaberidze Nari 221	Kadagishvili Sopio 200
Chkhartishvili Mariam 223	Kakhidze Emzar 137

Kikvadze Maia 111
 Kamadadze Kakhaber 137
 Karalidze Jemal 106
 Karpov Sergei 107
 Khakhutaishvili Nana 248
 Khalvashi Merab 102
 Khalvashi Ramaz 239
 Kharanauli Anna 240
 Khintibidze Elguja 242
 Khositashvili Irma 245
 Kiria Ana 203
 Kistauri Gela 205
 Kochlamazashvili Ekvtime 118
 Komakhidze Irina 114
 Kosourov Dmitry 115
 Kukchishvili Maia 208
 Kuzenkov Pavel 119
 Kvantaliani Eka 164
 Kvantidze Guliko 109
 Labadze Rusudan 122
 Lafli Ergun 216
 Letodiani Anna 125
 Machabeli Kiti 141
 Magrakvelidze Tamar 127
 Makharadze Neli 145
 Malutashvili Nino 114
 Mamasakhlisi Irma 133
 Mamasakhlisi Ketevan 130
 Mamuladze shota 137
 Mamulashvili-Botkovelevi M. 135
 Mashava Besik 139
 Matchavariani Maia 143
 Melikishvili Damana 148
 Mgebrishvili Lali 151
 Mgeladze Nugzar 64,146
 Moistsrapeshvili Tengiz 85
 Mrevlishvili Nana 218
 Mshvidobadze Tinatin 154
 Mtchedlidze Magda 156
 Nadibaidze Dali 158
 Natsvlshvili Irina 161
 Nemsadze Ada 125
 Otashvili Vazha 164
 Otkhmezuri Tamar 166
 Paghava Irakli 190
 Paghava Mamia 192
 Papaskiri Zurab 168
 Papuashvili Nugzar 171
 Pavlovic' Bojana 173
 Petriashvili Nino 252
 Pkhakadze Manana 198
 Popiashvili Nino 175
 Popkhadze Natela 195
 Raphava Maia 180
 Renoux Charles 180
 Saginadze Rusudan 111
 Schneider Helmut 213
 Shioshvili Tina 210
 Shoemaker J. Stephen 211
 Shoshiashvili Juli 213
 Shtuder-Karlen Manuela 214
 Shukurov Rustam 215
 Sulava Nestan 183
 Tavamaishvili Giorgi 102
 Tchkoidze Eka 237
 Tenieshvili Levon 94

Tinikashvili Davit 87
Todadze Khatuna 89
Tomadze Nino 92
Tsereteli Lia 232
Tsertsvadze Maia 227
Tsukhishvili Mamuka 230
Tsybenko Oleg 225
Tunadze Temur 146

Urdulashvili Lali 186
Vachnadze Natela 79
Varshalomidze Irina 76
Vinogradov Andrey 80
Zabolotnyi Evgenii 81
Zakaradze Lali 83
Zosidze Nugzar 85